# დიდი წყალბურთელი დაგვიბრუნდა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 სექტემბერი ოთხშაბათი 2009

№206 (12885) ფასი 60 თეთრი



## რევაზ ჩომახიძე საქართველოს ნაკრებში ითამაშებს

>> გვერდი 13

## საქართველო ბეჭებზე

ჩვენი ძიუდო ჩვენი ცხოვრების მორევში

>> გვერდი 11



## გავშიფროთ ბელარუსი

ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

>> გვერდი 12

## ანანიძე ითამაშებს, მერებაშვილი გამოირიცხა



რეპორტაჟი საქართველოს ნაკრების გუშინდელი ვარჯიშიდან >> გვერდი 2

## არ იცოდი, რომა ასე მოხდებოდა?

პირველი სამწვრთნელო ცვლა იტალიაში

>> გვერდი 7



## სპალეტი რანიერიმ შეცვალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები | საქართველო-იტალია | შესარჩევი მატჩი

# მერებაშვილი გამოირიცხა

იტალიასთან 5 სექტემბრის მატჩისთვის შეკრებილ საქართველოს ეროვნულ გუნდს გუშინ მზადების მეორე დღე ჰქონდა. 18 საათზე **ექტორ კუპერმა** ბიჭებს თენგიზ სულაქველიძის სახელობის საერთაშორისო საფეხბურთო აკადემიის სპორტკომპლექსში მოუყარა თავი. წვრთნა, რომელიც საათნახევარს გაგრძელდა, მოედნის ირგვლივ ნელი სირბილით დაიწყო. ძუნძულს გაწელვითი ვარჯიშები მოჰყვა, მერე გოლკიპერთა ტრიო მეკარეების მწვრთნელმა **მამუკა აბუსერიძემ** ჩაიბარა. დარჩენილ კონგინგენტს კი კუპერმა და მისმა თანაშემწეებმა - **ხოსე ფანტაგუციმ** და **მიგელ პუებლომ** გააძრეს სიქა... გრძელი და მოკლე პასები, კარში დარტყმები და ასე შემდეგ...

**გიორგი ლომაია, ზურაბ მამალაძე, გრიგოლ ბედიაშვილი, კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ფოფხაძე, თემურ ლონლაძე, უჩა ლობჟანიძე, ამირან სანაია, გურამ კაშია, ლექსო კვახაძე, ლევან კობიაშვილი, ლევან ყენია, ჯანო ანანიძე, ლევან ხმალაძე, ლუკა რაზმაძე, გიორგი სეთურიძე, ლევან ცქიტიშვილი, ლადო დვალიშვილი, მათე ვაწაძე** - გუშინ კუპერის განკარგულებაში ეს 20 ფეხბურთელი იყო. როგორც ხედავთ, მათ შორის არ არის თბილისის „დინამოს" ლიდერი **გიორგი მერებაშვილი**. ის ტრავმამ შეაწუხა. ტრავმა კი მსუბუქი არ არის, რადგან „დინამო" შემტევი ნახევარმცველი შეკრებიდან გაათავისუფლეს. განმარტებისთვის ნაკრების ექიმ **დიმიტრი ზაალიშვილს** მივმართეთ:

*„წინა ჯვარედინი იოგის მიკროტრავმის შედეგად გიორგი მერებაშვილს შეშუპება აქვს, რომელიც ტკივილსა და მწვავე შეგრძნებას იწვევს. მაგნიტორეზონანსული გამოკვლევების შედეგად გადავწყვიტეთ, რომ ის სამკურნალოა. მას დასვენება და მკურნალობა ესაჭიროება - შესაბამისად, სექტემბერში ეროვნულ გუნდს ვერ დაეხმარება",* - განმარტა ნაკრების ექიმმა.

ამასობაში, **ჯანო ანანიძის** გარდა, ეროვნულ გუნდს მცველები **ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ფოფხაძე** და **ამირან სანაია** დაემატნენ. დღეს უნდა ჩამოსულიყო **ოთარ მარცვალაძე**, მაგრამ მას ვიზის პრობლემა აქვს და დააგვიანდება (იმის შანსი, რომ დღეს ჩამოვიდეს, ძალზე მცირეა). თუ მარცვალაძე ხვალ ჩამოვა, ისლანდიასთან ამხანაგურ მატჩში თამაშს მაინც მოახერხებს, 4 სექტემბერს კი ვიზის გაკეთება ველარ მოესწრება. რაც შეეხება **დავით დევდარიანს**, ის კი უკვე დაბრუნდა, მაგრამ გუშინ მისი ბებიის დაკრძალვა იყო და ნაკრებს დღეს შეუერთდება.



ნაკრებმა იტალიასთან მატჩისთვის მზადება დაიწყო

## ანანიძე იტალიასთან ითამაშებს, მარცვალაძე ვერ ჩამოდის...

ისევ ვარჯიშს დავუბრუნდეთ. მწვრთნელებმა დაცვითი და შემტევი სტილის ფეხბურთელები მწვრთნელებმა ცალ-ცალკე გამოყვეს და ცენტრიდან იერიშების ორგანიზებაზე ამუშავეს. დავალების მიხედვით, მთავარი აქცენტი შეტევის განვითარებასა და კარში ზუსტ დარტყმაზე გაკეთდა.

შემდეგ კუპერმა ფეხბურთელები მთელ მოედანზე ათამაშა, მაგრამ ეს არ იყო ტიპური „ორკარა", უფრო ტაქტიკური ხასიათის ვარჯიშს ჰგავდა. **კალაძე-ხიზანიშვილის** ტანდემის გარდა, დაცვის ცენტრში კუპერი **კვახაძე-გ. კაშიას** დუეტსაც დააკვირდა...

ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ ჩვეულებრივი მობილიზებით ირჯებოდა ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე**. მონდომება არ აკლდა ეროვნული გუნდის სტაჟიან ტრიოს, **ხიზანიშვილი-კობიაშვილი-ცქიტიშვილის** სახით, ისევე, როგორც დვალიშვილს, ყენიასა და სხვებს...

წვრთნას, 50-მდე სხვადასხვა ასაკის ქომაგი ესწრებოდა. აშკარა იყო **ჯანო ანანიძისადმი** ინტერესი. კუპერმა ის ნახევარდაცვის ორივე ფლანგზე მოსინჯა. მწვრთნელი ჯანოს პოზიციურად არ ზღუდავდა, მაგრამ მისგან სახიფათო პასს ან გოლს ითხოვდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ანანიძე ეროვნულ გუნდში თბილად მიიღეს. ეტყობა, ჭაბუკი ტალანტი ნაკრებში ადაპტაციის უმტკივნეულოდ გაივლის. ჩანს, კუპერი მას იტალიასთან დებიუტისთვის ამზადებს. ძნელი სავარაუდოა, არგენტინელმა ჯანო სასტარტოში გაამწესოს, მაგრამ დიდი შანსია ჯანო მსოფლიოს ჩემპიონთა წინააღმდეგ თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთოს.

დაბოლოს, ნაკრების კაპიტანი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეროვნულში თამაშს მოწყურებულია, მობილიზებულია და თანაგუნდელებსაც მონდომებისკენ მოუწოდებს.

*„წინ მნიშვნელოვანი მატჩი გველის. იტალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია და თბილისურ მატჩზე დიდ იმედს ამყარებს. მჯერა ქომაგებისგან მხარდაჭერა არ მოგვაკლდება, ჩვენ კი ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ გულშემატკივარი კარგი თამაშით გავახაროთ. რამდენიმე თვეა ნაკრებში არ მითამაშია და როგორც ყოველთვის მონდომებული ვარ. მჯერა, ვისაც 5 სექტემბერს მოუწევს თამაში, მოედანზე მსაქსიმალურად დაიხარჯება და სასურველი შედეგისთვის ბოლომდე იბრძოლებს",* - აღნიშნა კახა კალაძემ.

აი, ასეთი იყო ეროვნული ნაკრების გუშინდელი დღე. კუპერის გუნდი მზადებას აგრძელებს.

**დავით ცაბაძე**

ფრიდონ გეგეშიძის ფოტოები



ჯანო ანანიძის პირველი ვარჯიში ეროვნულ გუნდთან



ლევან კობიაშვილი (მარცხნივ) და ლუკა რაზმაძე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზქდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დებიუტანტი

## ჯანო ანანიძე

# მე ვარ ქართველი და ვითამაშებ საქართველოს ნაკრებში!

ბოლო ორი თვის განმავლობაში რუსები ყველანაირად ცდილობდნენ, მოსკოვის „სპარტაკის" 16 წლის ვუნდერკინდ ჯანო ანანიძეს საქართველოს ეროვნულ გუნდში რომ არ ეთამაშა. საამისოდ, ისინი არც ფულს იშურებდნენ და არც ათასგვარ ხრიკს, რაც ფეხბურთელს, მათი ჭკუით, აიძულებდა, უარი ეთქვა მშობლიური ქვეყნის ნაკრებში თამაშზე. შეთხზეს რაღაც წერილიც, რომელშიც ჯანო, ვითომდაც ასაკის გამო, ამ ეტაპზე უარს ამბობდა საქართველოს ნაკრებში თამაშზე. იყო მომენტი, როცა ამის იმედი ჩვენც გადაგვეწურა - 12 აგვისტოს ქართული დელეგაცია ამაოდ ელოდა მალტაში მის ჩასვლას. აღმოჩნდა, რომ ეს იყო რუსების ბოლო გაბრძოლება...

მაგრამ ასე იყო თუ ისე, ანანიძე უკვე თბილისშია და მშობლიური ქვეყნის ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ის დღე, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი პირადად შეხვდა და ესაუბრა ჯანოს მამას, ამირან ანანიძეს...

სწორედ ახალკაცმა გახსნა გუშინდელი პრესკონფერენცია. ცხადია, მედიასთან შეხვედრის მიზეზი გახლდათ ანანიძე, რომელიც ახალკაცს ფეხბურთის ფედერაციაში ეწვია...



ნოდარ ახალკაცი და ჯანო ანანიძე — ავტორის ფოტო

- როგორც ხედავთ, ჯანო ანანიძე თბილისშია და ეროვნულ გუნდთან ერთად ემზადება. ის აქამდე 17-წლამდელთა ნაკრებში ასპარეზობდა, ახლა კი მთავარ გუნდში თავის გამოჩენის შანსი ეძლევა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მას 17-წლამდელებიდან ეროვნულ გუნდში ნახტომი მივულოცო. ამასთან, მინდა მადლობა გადავუხადო ჯანოსა და მის ოჯახს იმ სიმტკიცისთვის, რასაც მთელი ამ ხნის განმავლობაში იჩენდნენ. მან თავიდანვე განაცხადა, რომ მხოლოდ საქართველოს ნაკრებში ითამაშებდა. ამის შემდეგ მის გადასაბირებლად არაერთი მცდელობა იყო, მაგრამ ჯანო ბოლომდე მყარად დადგა საკუთარ პოზიციაზე. აქვე, მინდა ერთიც განვაცხადო - ჩვენ საკმაოდ მწვავე, მაგრამ დიპლომატიური მოლაპარაკებები ვაწარმოეთ მოსკოვის „სპარტაკის" ხელმძღვანელობასთან და მინდა, მადლობა ვუთხრა ამ კლუბის ხელმძღვანელობასა და მთავარ მწვრთნელ ვალერი კარპინსაც... საბოლოოდ, საღმა აზრმა გაიმარჯვა - კარპინმა და „სპარტაკის" თავკაცობამ მიიჩნია, რომ მათთვის მთავარია, ფეხბურთელი იყოს კარგ ფორმაში და მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ქვეყნის ნაკრებში ითამაშებს, - თქვა ახალკაცმა და იქვე გვთხოვა, ანანიძის ინტერესებიდან გამომდინარე, მოსკოვის „სპარტაკზე" მწვავე კითხვები არ დაგვესვა.

მერე ანანიძის ჯერიც დადგა:

- მე ვარ ქართველი და თავიდანვე ვთქვი, რომ ჩემი ქვეყნის გარდა, სხვა ნაკრებში არ ვითამაშებდი. მალტასთან თამაშისთვის ეროვნულ გუნდში გამოძახებული ვიყავი, მაგრამ, მაშინ არ მოხერხდა მალტაში ჩემი ჩასვლა... ახლა აღარ მინდა, ამ თემას შევეხო... რაც მთავარია, უკვე თბილისში ვარ. დიდი მადლობა ამხელა ნდობისთვის. კარგად მესმის, რომ ჩემს ასაკში ეროვნულ ნაკრებში გამოძახება იშვიათობაა. თუ იტალიასთან მომიწევს თამაში, ყველაფერს გავაკეთებ ჩემი ხალხის, ჩემი საქართველოს გასახარებლად.

**- მსოფლიოს ჩემპიონების წინააღმდეგ ფსიქოლოგიურად შებოჭილი ხომ არ იქნები?**

- ამაზე უკეთესი დებიუტი რომელი მეტოქის წინააღმდეგ უნდა ინატროს ფეხბურთელმა? თუმცა ეს ექტორ კუპერის გადასაწყვეტია. თუ იტალიასთან თავის გამოჩენის შანსი მომეცემა, ისეთივე მონდომებული ვიქნები, როგორიც „სპარტაკის" მატჩებში ვარ. ფსიქოლოგიურად შებოჭილი არ ვიქნები.

**- 16 წლის ასაკში ეროვნულში გამოძახება მართლაც ძალზე დიდი იშვიათობაა. რამდენად ელოდით, რომ ეროვნულ გუნდში გიხმობდნენ?**

- აქამდე, 17-წლამდელთა ნაკრებში მიწვევდნენ და ვფიქრობ, ცუდადად არ მითამაშია. ფეხბურთელი ყოველთვის პროგრესს ესწრაფვის და მეც ეს მიზანი მაქვს. როცა „სპარტაკის" ძირითადში მოვხვდი, მაშინვე ეროვნულ გუნდში თამაში დავისახე მიზნად. ასე რომ, ფსიქოლოგიურად ყოველთვის მზადყოფნაში ვარ.

**- რამდენიმე პოზიციაზე გიწევთ თამაში. თავად სად გირჩევნიათ?**

- ნახევარდაცვაში, მარცხენა ფლანგზე და შუაში.

**- თუ შეხვდი უკვე ნაკრების მწვრთნელ ექტორ კუპერს?**

- არა, ჯერ არ მინახავს.

**- საქართველოს ეროვნული ნაკრები ზრდასრული ფეხბურთელების გუნდია. რამდენად შეძლებთ ამ გუნდში ადგილის დამკვიდრებას?**

- თავის დროზე, 17-წლამდელთა ნაკრებში რომ გამომიძახეს, ასაკით სხვებზე უმცროსი ვიყავი, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა არ მქონია, გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედაც მიმიჩნევდნენ. გარდა ამისა, მოსკოვის „სპარტაკიც" ზრდასრული ფეხბურთელების გუნდია, თანაც - უცხო ქვეყანა, უცხო გარემო. იქ ნელ-ნელა ვმკვიდრდები და წესით, ჩემი ქვეყნის ნაკრებში დამკვიდრებაც უნდა შევძლო.

**- საქართველოს ეროვნულ გუნდზე რა წარმოდგენა გაქვთ?**

- ჩინებული მწვრთნელი გვყავს, კარგი ფეხბურთელები... მართალია, ბოლო მატჩებში ნაკრების შედეგები არასახარბიელოა, მაგრამ მჯერა, მალე ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება.

**- „სპარტაკის" მთავარ გუნდში ფეხის მოკიდებისთვის ბრძოლა უკვე დაიწყეთ. როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანში შეძლებთ ძირითადში დამკვიდრებას?**

- 17 წლისა ოქტომბერში ვხდები და ამ ასაკში „სპარტაკის" მთავარ გუნდში დამკვიდრება წარმოუდგენელია. გუნდის თავკაცი ვალერი კარპინი ნელ-ნელა მაჩვევს სიტუაციას. მეც ძალებს არ ვზოგავ, საკუთარ თავზე ვმუშაობ და ყველაფერს ვაკეთებ საიმისოდ, რომ გაისად უკვე მთავარ გუნდის მოთამაშე ვიყო.

**- ეროვნულ გუნდში თქვენი კარიერა 2009 წლის სექტემბერში იწყება. გაქვთ თუ არა იმისი რწმენა, რომ გავა 10 წელიწადი და თქვენი თაობის მოთამაშეებით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს?**

- ნაკრებში სათამაშოდ სწორედ ამ რწმენით ჩამოვედი. საერთოდ, ცხოვრებაში მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდები. მჯერა, მალე მოვა დრო, როცა ჩვენი ეროვნული ნაკრები ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. ჩემის აზრით, საამისოდ 10 წელიწადი არ არის საჭირო, ამის მიღწევა 5-6 წელიწადშიც შეიძლება.

**დავით ცაგაძე**

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

# იქნებ, ფრე მოვახერხოთ...

**საინტერესოა, რას ფიქრობ იტალიასთან მოახლოებულ მატჩზე ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ხიზანიშვილი. მსოფლიოს ჩემპიონთა წინააღმდეგ ჩვენს დაცვას დიდი გარჯა მოუწევს. გარდა ამისა, ხიზანიშვილს ამ დღეებში გავრცელებულ ინფორმაციაზეც ვკითხეთ - თითქოსდა, „ბლექბერნიდან" „ნიუკასლში" გადადის...**

- მე მგონი, დარწმუნდით, რომ მონდომება არავის აკლია, - დაიწყო ხიზანიშვილმა, - მსოფლიოს ჩემპიონებთან ურთულესი მატჩი გველის, თუმცა ჩვენი უპირატესობა ის არის, რომ შინ ვთამაშობთ. საკუთარი ქომაგების წინაშე თავი არ უნდა შევირცხვინოთ.

**- ამჯერად, „სკუადრა აძურას" სხვა შემადგენლობით ვხვდებით. ნაკრების ამჟამინდელ კონტინგენტზე რა აზრისა ხართ?**

- ჩვენი დღევანდელი ნაკრები საგრძნობლად სახეცვლილია. ეს შემადგენლობა განსხვავებულია იმისგან, რომლითაც ბოლოს იტალიას ვეთამაშეთ. უდინეში უფრო მეტი გამოცდილი ფეხბურთელი გვყავდა, ახლა კი გუნდი შედარებით ახალგაზრდულია. ბუნებრივია, გათვლა მომავლის გუნდზეა და რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ამ ახალგაზრდების გვერდით თამაში. ისიც კარგად გვესმის, რომ ჩვენ, ნაკრების სტაჟიან წევრებს, ახალგაზრდების გვერდით მეტი პასუხისმგებლობაც გვეკისრება... როგორც არ უნდა იყოს, გულშემატკივარი ჩვენგან ლამაზ თამაშს ელოდება და ვეცდებით, იმედები არ გავაცრუოთ. კარგია, რომ კახა კალაძე დაგვიბრუნდა. ის ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ძალაა და მჯერა, ამჯერადაც დიდ სარგებელს მოუტანს ნაკრებს.

**- როგორც ჩანს, კუპერი ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელების სინთეზით ცდილობს ახალი გუნდის ჩამოყალიბებას. როგორ ფიქრობთ, ამ კონტინგენტით როგორი გუნდი შეიქმნება?**

- ძალიან მინდა, ამ ახალგაზრდებმა დიდი ფეხბურთი ითამაშონ. ახალი სისხლი გუნდისთვის აუცილებელია, მაგრამ ჩემი აზრით, იმ გამოცდილი ფეხბურთელების დავიწყებაც არ შეიძლება, რომელთაც კვლავაც შესწევთ ძალა, დაეხმარონ ეროვნულ გუნდს. თუმცა ეს ჩემი კი არა, მწვრთნელების გადასაწყვეტია. ამ შემადგენლობას ერთი-ორი გამოცდილი ფეხბურთელი რომ დაემატოს, ამით მხოლოდ მოვიგებთ.

**- ჩვენი გუნდი კარგა ხანია უშანსოდაა. რისი იმედი უნდა გვქონდეს ამ ფონზე? თანაც მსოფლიოს ჩემპიონის წინააღმდეგ...**

- იტალიელები თბილისში სამ ქულას გეგმავენ, სხვანაირად ვერც წარმოუდგენიათ. ჩვენ კი ჩვენი მიზანი გვაქვს - საკუთარ მოედანზე გულშემატკივარს კარგი თამაში უნდა ვაჩვენოთ. ამას უკვე დიდი ხანია ელის ჩვენი ქომაგი და მჯერა, შევძლებთ კიდეც. წინასწარ გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ იტალიასთან ჩვენს ნაკრებს ყოველთვის კარგად გამოსდის თამაში და ვნახოთ... იმედი მაქვს, ამ შაბათსაც გამოგვივა. იქნებ, ფრე მოვახერხოთ. სულაც არ მგონია, რომ ეს შეუძლებელია.

**- სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე „ნიუკასლში" თქვენს გადასვლაზე იყო ლაპარაკი. რატომ არ შედგა ეს ტრანსფერი?**

- კი, ეს ვარიანტი რეალურად განიხილებოდა... „ნიუკასლში" განათხოვრებაზე იყო მოლაპარაკებები, მაგრამ კლუბები ვერ შეთანხმდნენ და გარიგებაც არ შედგა. „ბლექბერნში" დავრჩი და იმედი მაქვს, თამაშის შანსი მომეცემა. ასეთ შემთხვევაში დავამტკიცებ, რომ ძირითად შემადგენლობაში დაყენებას ვიმსახურებ.

**დავით ცაგაძე**


ზურაბ ხიზანიშვილი — ფრიდონ გეგეშიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ

## ლევან ცქიტიშვილი

# მოდით სტადიონზე და არ ინანებთ

**დიდი ხანი არაა, რაც ეროვნულ ნაკრებს ლევან ცქიტიშვილი დაუბრუნდა. კლაუს ტოპმიოლერის დროს იგი ქვეყნის მთავარ გუნდში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო, ექტორ კუპერმა კი მოგვიანებით მიაქცია ყურადღება. იმის მიუხედავად, რომ დღესდღეობით უკლუბოდაა, ჩვენი ნაკრების არგენტინელი თავკაცი ვეტერან ნახევარმცველს მაინც ენდობა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ცქიტიშვილს იტალიასთან მატჩშიც მიეცემა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ლევანი ამ მნიშვნელოვანი შეხვედრისთვის ოპტიმისტურადაა განწყობილი.**



ლევან ცქიტიშვილი გუშინდელ ვარჯიშზე

ფრიდონ გეგეშიძის ფოტო

**- როგორი ატმოსფეროა გუნდში მალტასთან განცდილი მარცხის შემდეგ?**

- ის მართლაც საშინელი თამაში იყო, მაგრამ დღეს იმ წარუმატებლობაზე ფიქრის დრო არაა. ყველანი იტალიასთან დაპირისპირებისთვის ვემზადებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართველ გულშემატკივარს ყველა უსიამოვნება დავავიწყოთ. დარწმუნებული ვარ, მოედანზე თითოეული ჩვენგანი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენს.

**- საქართველოს ნაკრები იტალიასთან უშანსოდ თითქმის არასოდეს მარცხდებოდა...**

- მართალია, და ეგებ ამჯერად მაინც გაგვიმართლოს. იტალიასთან წინა მატჩებში აშკარად გვაკლდა იღბალი, ამის გარეშე კი გრანდთან ვერაფერს მიაღწევ. შესაძლოა, დღეისათვის იტალიის ნაკრები არ იყოს იდეალურ ფორმაში, მაგრამ რაც უნდა იყოს, ეს გუნდი მსოფლიო ჩემპიონია.

**- იტალიასთან სამი წლის წინ ჩატარებულ საშინაო მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყავით.**

- ეს შეხვედრა არასოდეს დამავიწყდება. მეც კარგად ვითამაშე და მთელმა გუნდმაც, საბოლოო წარმატებამდე მცირედი დაგვაკლდა. ვიმედოვნებ, მეც კვლავ გამომივა იტალიელთა წინააღმდეგ თამაში და გუნდიც შედეგიანად გაირჯება.

**- პროგნოზს ხომ არ გააკეთებდით?**

- პროგნოზისგან თავს შევიკავებ, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სტადიონზე მოსული ქომაგი არ ინანებს და ჩვენი შესრულებით კარგ ფეხბურთს იხილავს. საქართველოს ნაკრების ყველა ფეხბურთელი ამ მატჩს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდება.

**- თქვენი ახალი კლუბის ვინაობა საბოლოოდ გაირკვა?**

- ახლა მხოლოდ ნაკრების თამაშზე ვფიქრობ, რაც შეეხება საკლუბო საკითხს, ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებ. ისე კი, ეს საკითხი მალე დადებითად გადაწყდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 21. შესარჩევი მატჩების წინ

## გაბელია მოითხოვს:

# ბურთმა სწრაფად იმოძრაოს!

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა საგურამოში ივარჯიშა. ამ მშვენიერ ბაზას ყოველთვის გამოარჩევდა ხარისხიანი საფარი, მაგრამ ამჟამად ბალახი საკმაოდ შელახულია...

**ოთარ გაბელიამ** ყველა საინტერესო ფეხბურთელი შეკრიბა: მეკარეებს - **რევაზ თევდორაძესა და როინ კვასხვაძეს დავით გვარამაძე** ავარჯიშებდა. ეროვნული ნაკრების ყოფილი კიპერის ვარჯიშები ცოცხალი, საინტერესო და სასარგებლო ჩანდა, რადგან არც ერთი მეკარე არ ისვენებდა, საწვრთნელ პროცესში ორივე აქტიურად იყო ჩართული. ეს თანამედროვე მეთოდია, რომელიც საწვრთნელი დროის ოპტიმალურად გამოყენებას გულისხმობს.

ზემოთ დასახელებული მეკარეების გარდა, გუშინდელ შეკრებაზე იყვნენ: **გიორგი ხიდეშელი, ალექსი ბენაშვილი, ბუბა დაუშვილი** (ყველა ზესტაფონი), **ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი ჯანელიძე, დავით ხურცილავა** (ყველა ვიტ ჯორჯია), **გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა** (ორივე დინამო), **გიორგი ხატიაშვილი** (ლოკომოტივი), **გიორგი ჭედია, გიორგი რეხვიაშვილი** (ორივე ოლიმპი), **ლაშა თოთაძე** (გაგრა), **ნიკა მაისურაძე, თემურ შონია** (ორივე სპარტაკი), **ლევან კუტალია** (სლავია, ბოსნია), **გიორგი გუგავა** (არენასი, ესპანეთი), **გიორგი ივანიშვილი** (ვოლენი, შვეიცარია).

ამ ბოლო დროს სხვადასხვა ასაკობრივ გუნდში მწვრთნელები თეორიულ ვარჯიშებს დიდ დროს უთმობენ, გაბელია კი უფრო პრაქტიკას ანიჭებს უპირატესობას. მოთელვებისა და „კვადრატების“ შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა ბიჭები ორ ჯგუფად გაყო და სწრაფი თამაში მოსთხოვა - „სწრაფად იმოძრაოს ბურთმა!“... „მიიღებ? მიეცი! გაგეხსნება? მიეცი!“... ასეთი იყო გაბელიას მითითებები.

სხვათა შორის, გაბელიამ ფეხბურთელებიც უმთავრესად სისწრაფისა და სხარტი აზროვნების მიხედვით შეარჩია. ეს მისი საყვარელი სტილია და იმედოვნებს, რომ ესტონეთსა (5 სექტემბერს, ტალინში) და თურქეთთან (9 სექტემბერს, ზესტაფონში) ჩვენი ნაკრები თანამედროვე ფეხბურთს აჩვენებს.

ჯერ კიდევ ადაპტაციას გადიან სარაევოს „სლავიას“ თავდამსხმელი **ლევან კუტალია** და „არენასის“ ნახევარმცველი **გიორგი გუგავა**. შვეიცარიული „ვოლენის“ ფორვარდი **გიორგი ივანიშვილი** კი სასიხარულოა, რომ გაცილებით ათლეტურად გამოიყურება. რუსთავის „ოლიმპის“ ფეხბურთელის სტატუსით პირველად ივარჯიშა თავდამსხმელმა **გიორგი ჭედიამ**. ნაკრებშია გამოძახებული თბილისის „ლოკომოტივის“ საკმაოდ პერსპექტიული მცველი **გიორგი ხატიაშვილიც**, რომელიც ბოლო დროს სპეციალისტების ყურადღებას იმსახურებს.

**მერაბ მამულაშვილი**



ტრანსფერი



# ოლიმპმა ჭედია დაიმატა

**გიორგი ჭედია მაისიდან ახალ გუნდს ეძებდა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ზუგდიდის „მგლებიდან“ უცხოეთში მოწყობის იმედად წავიდა, მაგრამ დღემდე უგუნდოდ იყო. 20 წლის ფორვარდმა გუშინ „ლელოს“ ეს სიახლე გაუმხილა:**

- დიდი ხანია, ოთარ კორღალიძე „ოლიმპში“ მიწვევდა. კაცი მენდობა და მეც მსურდა მასთან მუშაობა, მაგრამ უცხოეთში გადასვლის იმედად, ფეხს ვითრევდი. საბოლოოდ, ისევ „ოლიმპის“ წინადადებას დავთანხმდი და დეკემბრამდე რუსთავში ვითამაშებ.

**- „მგლებიდან“ წასვლის შემდეგ სად ვარჯიშობდი?**

- რევაზ ძოძუაშვილის უგუნდოთა ნაკრებში. სხვათა შორის, ფიზიკურად კარგად მოვემზადე. იმდენი საკონტროლო შეხვედრა გავმართეთ, მგონი, უმაღლესი ლიგის გუნდებიც ვერ დაიკვეხნიან. ასე რომ, უგუნდობას ვერც ვგრძნობდი. მერე ბულგარეთში სანაკრებო ტურნირი იყო, ლიტვაში ამხანაგური შეხვედრა და მეც მოვემზადე.

**- უგუნდოების ნაკრები სადღა ვარჯიშობდა?**

- ხან სად და ხან - სად. მთავარია, არ გავჩერებულვართ. „დინამოს“, „სიმურგს“ და ბევრ ძლიერ კლუბს შევხვდით და ფორმას ვინარჩუნებდი. რა თქმა უნდა, ოფიციალურ შეხვედრებში სხვა დაძაბულობა და დატვირთვაა, მაგრამ „ოლიმპში“ კონდიციებს მალე ავივდგენ.

**- როგორც ვიცით, უცხოეთში გადასვლას იმედოვნებდი...**

- ლატვიაში წასვლა მსურდა, იყო თურქეთისა და ისრაელის ვარიანტებიც, მაგრამ დარჩენა ვამჯობინე - ზამთარში უფრო გარკვევით მეცოდინება, რომელ კლუბში ჯობია გადასვლა.

**- საქართველოდან ყველა უცხოეთში გარბის და რეალურ წინადადებაზე უარს არავინ ამბობს...**

- ეტყობა, ამ დროისთვის რეალური წინადადება არც იყო. ორჯერ გადადეს სინჯები, მოლაპარაკებაც დროში გაიწელა.

**- როგორც ვიცი, ჟოდინოს „ტორპედო“ დღემდე ფულს ითხოვს შენში.**

- სამწუხაროდ, კონტრაქტი წელიწადნახევარში მიმთავრდება, ბელარუსები კი 30 ათას დოლარს ითხოვენ. „ოლიმპი“ ბელარუსებს არენდის თანხას გადაუხდის. გუნდის ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ დეკემბერში, შესაძლოა, ტრანსფერი სრულად გამოისყიდოს.

**- უცნაური იყო ბელარუსიდან შენი გამობრუნებაც...**

- პატარა ბიჭი ვიყავი და უცხოეთში წასვლაზე ფიქრობდი. ამიტომაც ბელარუსში სიხარულით გადავედი, მაგრამ ვერ გავძელი და თან ცუდი ამბებიც მოხდა. თუმცა გუნდს, ფეხბურთელებსა და პირობებს ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირდა. თუ რა მოხდა, ამაზე ლაპარაკს მოვერიდები. ბელარუსში გაბრუნება აღარ მსურს.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# მიკა გადაიდო, მაგრამ... სპარინგი მაინც იქნება

გუშინდელ ნომერში გამცნობდით, რომ 4 სექტემბერს ზესტაფონში ადგილობრივ გუნდს ერევნის „მიკასთან“ ამხანაგური მატჩი უნდა ჩაეტარებინა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ეტაპზე ეს შეხვედრა არ გაიმართება. როგორც სომხური კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა **ლევან ნოდიამ** „ლელოს“ უთხრა, მიზეზთა გამო „მიკას“ გეგმებში ცვლილება მოხდა. შესაბამისად, ერევნელები საქართველოში ტურნესთვის აღარ ჩამოვლენ. ნოდიას თქმით, „ზესტაფონთან“ მისი გუნდი აუცილებლად გამართავს ამხანაგურ შეხვედრას და ეს ალბათ მომდევნო სანაკრებო პაუზისას მოხდება.

„ზესტაფონი“ კი პაუზას მაინც გამოიყენებს. 12 სექტემბერს, მომდევნო ტურში, **გია გეგუჩაძის** გუნდი „ვიტ ჯორჯიას“ სტუმრად ეთამაშება. ამ თამაშისთვის მოსამზადებლად, იმერლები სპარინგმატჩს ამ დღეებში გამართავენ, ხოლო თუ რომელ გუნდთან, ეს საკითხი დღეს-ხვალ გაირკვევა.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ვარლამ კილასონიასთან

# მტკივნეული განაჩენი

მწვრთნელობაზე უმადური პროფესია არ არსებობს - საკმარისია, ერთი წარუმატებლობა და... უმუშევრობაც გარანტირებულია! მერე, ვილას ახსოვს „გუშინ" თუ „გუშინწინ", იმ მწვრთნელმა გუნდი წუმპედან რომ ამოიყვანა; იმაზე ხომ, საერთოდ, აღარაფერს ვამბობთ, ნებისმიერი გუნდის „შენებას" წლები რომ სჭირდება...

...მაგრამ, ეს, იქ, „ნაღდ" საფეხბურთო ევროპაშია (განსაკუთრებით - ინგლისში), მწვრთნელებს წლების განმავლობაში ნდობა რომ აქვთ გამოცხადებული; აქ კი, ჩვენთან, პარადოქსის წინაშეც ვდგავართ: საქართველოში კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობააო, მუდამ გავიძახით; ამავდროულად, გეომეტრიული პროგრესიით იზრდება ისეთ უმუშევარ სპეციალისტთა რაოდენობა, ცოდნა-განათლებაც რომ არ დაეწუნებათ და სხვადასხვა დროს გარკვეული წარმატებებიც რომ ჰქონიათ. ნურც მეორე და არანაკლებ პარადოქსს დავივიწყებთ: უკვე მერამდენე წელიწადია, ქართველ მწვრთნელებზე... უცხოეთში სერიოზული მოთხოვნა რომ არის. ანუ, „რაღაცას" წარმოადგენენ, თორემ, მხოლოდ გვარ-სახელისა თუ წარსული დამსახურების გამო, არავის მიიწვევდნენ.

...ჩვენთან კი, უმუშევარ მწვრთნელთა სია იზრდება: რევაზ ძოძუაშვილს, კობა ჟორჟიკაშვილს, გიორგი კიკნაძესა და ზაზა ზამთარაძეს, ამ ზაფხულს კიდევ ორი სპეციალისტი დაემატა - ვარლამ კილასონია და რამაზ მუმლაძე. ამ უკანასკნელის „საკუთარი სურვილით" პოსტის დატოვებაზე უკვე ვწერდით, კილასონიას მოულოდნელ გათავისუფლებასაც თავის დროზე გამოვეხმაურეთ. თუმცა, მერე, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირმა საჯაროდ განაცხადა, რომ კილასონია უმუშევარი არ დარჩენილა და თურმე რუსთავის ბავშვთა ფეხბურთს უწევდა კურირებას. არ დაგიმალავთ - ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, ცოტა არ იყოს, დავიბენით კიდეც. ჰო, სხვანაირად ვერც იქნებოდა: ვიცოდით, რომ ეს ფრიად საპასუხისმგებლო მისია სხვა პიროვნებას, რუსთავული ფეხბურთის კიდევ ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს ჩააბარეს...

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სიტუაციაში გარკვევის მიზნით ვარლამ კილასონიასთან გასაუბრება გადავწყვიტეთ...

**- ამჟამად რას საქმიანობთ?**

- არაფერს - უკვე მეორე თვე დაიწყო, რაც უმუშევარი ვარ.

**- საკუთარი ყურით მოვისმინეთ: კილასონიას, რუსთავის ბავშვთა ფეხბურთი ჩავაბარეთო, - „ოლიმპის" ერთ-ერთი გავლენიანი ხელმძღვანელის სიტყვებია...**

- ერთმანეთს ერთი და ორი წელიწადი არ ვიცნობთ და კარგად მოგეხსენებათ, რომ ტყუილი არასდროს მითქვამს; ანუ, არავითარი თანამდებობა არ შემოუთავაზებიათ. ეგ კი არა, გუნდიდან გათავისუფლებასაც ხომ გააჩნია...

**- იმის თქმა გსურთ, რომ მოვლენების ასეთ განვითარებას არ ელოდით?**

- ნებისმიერი მწვრთნელი გუნდში რომ მიდის, ასევე ნებისმიერ დროს მზად უნდა იყოს ყველაფრისთვის. მითუმეტეს, რუსთავული ფეხბურთი... ვარლამ კილასონიათი არც დაწყებულა და არც დასრულდება. უბრალოდ გული იმაზე დამწყდა, რომ წესიერად მიზეზი არავის აუხსნია...

**- ჩვენი ვარაუდით, ამის მიზეზი ევროპის ლიგაზე პოლონურ „ლეგიასთან" მარცხი იქნებოდა; თუმცა, ცოტა არ იყოს, უცნაურად გვეჩვენება ყველაფერი: ნუთუ ვინმეს სჯეროდა, რომ ერთიანად ახალი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „ოლიმპი" პოლონური გრანდის ძლევას შეძლებდა?**

- შეგახსენებთ, რომ „ლეგიასთან" პირველ მატჩამდე „ოლიმპის" ბრაზილიელებმა ჩვენთან ერთად მხოლოდ ორი ვარჯიში ჩაატარეს; აი, ახლა, ხუთივე ბრაზილიელი რომ ჩინებულად არის შეთამაშებული დანარჩენ პარტნიორებთან, კიდევ შეიძლება „ლეგიასთან" ტოლი-ტოლზე პაექრობაზე ფიქრი; მაშინ კი, ალბათ, ყველამ იცოდა, რომ მომზადების დონითა თუ სხვა კომპონენტით, „ლეგიაზე" ძლიერები ნამდვილად არ ვიყავით.

**- უშუალოდ, გათავისუფლების ამბავი როდის გაიგეთ?**

- ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ჩემამდე ეს ამბავი... თქვენმა კოლეგებმა შეიტყვეს. „ლეგიასთან" მატჩის მეორე დღეს (უფრო ზუსტად - დილაუთენია) ორმა ჟურნალისტმა დამირეკა და მკითხა: მართალია, რომ გუნდიდან გაგათავისუფლესო? აბა, როგორია - მე საქმის კურსში არა ვარ და, თურმე, ყველას ყველაფერი სცოდნია. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ დამირეკა კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და გადაწყვეტილება მამცნო. რა ვიცი, ნუთუ იმდენი დამსახურება არ მქონდა, ასეთი რამ ტელეფონით რომ არ შეეტყობინებინათ?

**- ხშირად მწვრთნელი, ასე ვთქვათ, შინაგანად გრძნობს სავარაუდო გათავისუფლებას...**

- გასაგებია, რასაც გულისხმობთ, მაგრამ ამდაგვარი არც არავის უგრძნობინებია, პირიქით - „ლეგიასთან" განმეორებითი მატჩი რომ დასრულდა, კლუბის რამდენიმე ხელმძღვანელთან ერთად ჩემს სამუშაო ოთახში ვიჯექით და სამომავლო გეგმებზე ვმსჯელობდით; ჩემპიონატის დაწყებამდე როგორ მოვმზადებულიყავით, რომელი ფეხბურთელი დაგვემატებინა და ასე შემდეგ; მეორე დილით კი ასეთი სიურპრიზი მელოდა...

**- ისე, რუსთავული გუნდიდან ადრეც გულნატკენი წასულხართ...**

- ფეხბურთელობის დროსაც გული ბევრჯერ მატკინეს; მერე მწვრთნელობა რომ დავიწყე, ანალოგიური სიტუაცია რამდენჯერმე იყო - გუნდს როცა გაუჭირდებოდა, საშველად მიხმობდნენ, თუმცა, მერე უსამართლოდ მექცეოდნენ. მაგრამ, ახლანდელი სიტუაცია, უნდა ვაღიარო, რომ მაინც განსაკუთრებით მტკივნეული იყო...

**- ამჟამად უმუშევარი ვარო, გვითხარით და ფეხბურთთან შეხება საერთოდ აღარ გაქვთ?**

- პატარების ჯგუფს ვავარჯიშებ - მეოთხე წელიწადია, ჩემთან არიან და თავის ასაკში უკვე არაერთ წარმატებას მიაღწიეს. როცა „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი ვიყავი, მაშინაც მაქსიმალურად ვცდილობდი, მათთვის ყურადღება არ მომეკლო. ამჟამად, 10 სექტემბრამდე ისვენებენ და ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ იმათთან საწვრთნელ პროცესს.

**- „ოლიმპის" საშინაო მატჩებს თუ ესწრებით? თანაც, ამ გუნდმა ჩინებული სტარტი აიღო და ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატადაც მოიაზრება.**

- რუსთავში დავიბადე და გავიზარდე; ანუ, როგორც ვიყავი ჩემი ქალაქის გუნდის გულშემატკივარი, ასეთად დავრჩები და ძალიან მიხარია, რომ „ოლიმპი" ასე წარმატებულად ასპარეზობს.



**- პატარებთან მუშაობა საინტერესოა, მაგრამ, დავიჯეროთ, რომ უფრო სერიოზულ დონეზე დაბრუნებას არ აპირებთ?**

- გულახდილად გეტყვით - პირველი ლიგის ორი გუნდიდან მქონდა შეთავაზება, მაგრამ ორივე უამბიციო გუნდი იყო და უარი ვთქვი. აი, რაც შეეხება უმაღლეს ლიგას, კონკრეტული საუბარი არც ერთ გუნდთან არ მქონია.

**გია ტუხაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

I ლიგა. II ტური

### ტორპედო-ქიათურა 8:1

1:0 ფარულავა (4), 2:0 კირკიტაძე (20), 3:0 გურული (26), 3:1 ვაშაძე (29), 4:1 გურული (39), 5:1 ჯიქია (43), 6:1 კირკიტაძე (44), 7:1 მემარნიშვილი (81), 8:1 მემარნიშვილი (86)

*ტორპედო:* მიგინეიშვილი, ზვ. ჩხეტიანი, ფარულავა, შ. ლონლაძე (46. ბიბილაშვილი), ჭანკვეტაძე. გ. ჩხეტიანი, მემარნიშვილი, გ. თურმანიძე, გურული, ლ. კირკიტაძე (46. ჩიხლაძე), შ. ჯიქია (61. ზვ. ქუთათელაძე).

*სათადარიგოები:* ი. კუჭუხიძე, რ. კვერნაძე, ბ. ჩხეტიანი, ხარებავა

*მთავარი მწვრთნელი:* გია გიგატაძე

*ქიათურა:* ბადურაშვილი, გაფრინდაშვილი, მეცხოვრიშვილი, ბრეგვაძე, ცუცქირიძე, სარალიძე (68. ლაშხი), გიორგაძე, ტყემალაძე (57. ტაბატაძე), თემირ მიშველიძე (71. ასანიძე), სევასტოპულო, ვაშაძე.

*სათადარიგოები:* თემურ მიშველიძე, დარბაიძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით იობაშვილი

*გაფრთხილება:* ბადურაშვილი, ტყემალაძე, ზვ. ჩხეტიანი

*გაძევება:* ბადურაშვილი

*არბიტრი:* ვ. ელისაბედაშვილი

### ჩიხურა-მარტვილი (მ)

1:0 მიქაძე (38), 2:0 სტეფანიშვილი (82)

*ჩიხურა:* დოლაძე, გვეტაძე, მგალობლიშვილი, ზივზივაძე, ტყებუჩავა, ჩიკვაიძე, ზ. ნოზაძე (64. სტეფანიშვილი), ზაბახიძე, ბ. პეტრიაშვილი (83. ჭილლაძე), მიქაძე (88. ენუქიძე), კობახიძე.

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, როგავა, ცარციძე

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე.

*მარტვილი:* ჯ. შეროზია, ჩხიკვაძე, ვ. იობაშვილი, ლომიძე, ბერიშვილი, წონორია, ც. ბუკია (43. ძველაია), ბერუაშვილი, ი. ხვადაგიანი (67. გოგიბერიძე), ო. ტორაძე (36. გიორგობიანი), ლ. კუჭუხიძე

*სათადარიგოები:* ფაცაცია, ვარდუაშვილი, კუხიანიძე, თ. თურმანიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

*გაფრთხილება:* ო. ტორაძე, ზ. ნოზაძე, მგალობლიშვილი, წონორია, ძველაია, დოლაძე.

*არბიტრი:* გ. დოგრაშვილი

### კოლხეთი (ფ)-ბათუმი 0:0

*კოლხეთი:* გ. შენგელია, თურქია, ნარსია, ფარცვანია, გელაჭეიშვილი, ლ. გვალია (66. აბურჯანია), ჯოჯუა, მალიჩავა (85. ლ. თედიაშვილი), დ. სიჭინავა, ციცხვაია, წიქარიშვილი (77. ჯ. ავალიშვილი).

*სათადარიგოები:* ჩემია, ცხვიტარია, გულუა, გოგონაია

*მთავარი მწვრთნელი:* ზაზა ინაშვილი

*დინამო:* თ. კაკალაძე, ფარტენაძე, რამიშვილი, თედორაძე, სამსეიშვილი, გ. გოგიტიძე, ზვ. ლობჟანიძე (20. ზოიძე), ბერიძე, ბოხუა, დემურაძე (69. გრიგალაშვილი), ტულუში (56. ბეჟანიძე).

*სათადარიგოები:* ლ. კალანდაძე, გოგიტაური, ხუხია, მამინაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

*გაფრთხილება:* სამსეიშვილი, ფარტენაძე

*არბიტრი:* დ. ხარიტონაშვილი

### მერცხალი-მესხეთი 0:3

0:1 მაკასარაშვილი (18-საკ. კარში), 0:2 ცნობილაძე (25), 0:3 ცნობილაძე (36)

*მერცხალი:* ძაგანია, ვ. რამიშვილი, მ, ქობულაძე (46. ჭკუასელი), ჩხატარაშვილი (30. ს.გ. ჩიგოგიძე), ხამაშურიძე, მაკასარაშვილი, ი. ნაჭყებია, სურგულაძე (28. ქათამაძე), ს.ვ. ჩიგოგიძე, ჭეიშვილი, სიამაშვილი..

*სათადარიგოები:* ლომჯარია, ტუტოიანი, გობრონიძე, გოგუა

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

*მესხეთი:* ძამუნაშვილი, ცნობილაძე (85. ქურდაძე), სუდაძე, თელიაშვილი, ინასარიძე (88. მუმლაძე), გვირჯიშვილი, ბარძიმაძე, ლეკიშვილი, თ. გარგალაშვილი, ყულიჯანიშვილი, პარუნაშვილი (83. მურმანიშვილი).

*სათადარიგოები:* რეხვიაშვილი, ჯაფარიძე, მერაბიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა გოგოლაძე

*გაფრთხილება:* ბარძიმაძე, თელიაშვილი

*არბიტრი:* გ. კიკაჩეიშვილი

### ნ. დინამო-გურია 5:1

1:0 კაკაშვილი (37-პენ), 2:0 მაისურაძე (52), 3:0 მერეჩკო (68), 4:0 ქავთარაძე (70), 4:1 კვერენჩხილაძე (78-პენ), 5:1 მამუდოვი (84)

*ნ. დინამო:* ძაძამია, კობახიძე, კაკაშვილი, სულაძე, მერეჩკო, დაბრუნდაშვილი (38. მამუდოვი), ი. ქავთარაძე, ხვთისავრიშვილი, გ. მაისურაძე (81. ჩუხუა), ი. შენგელია (74. გაბისონია), ლაბარტყავა.

*სათადარიგოები:* ცინცაბაძე, გაჩეჩილაძე, ზვ. კვარაცხელია, შლიმანოვი

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან გაგუა

*გურია:* გორდეზიანი, რ. კუკულაძე, ქურიძე, გოგიბერიძე, ნილოსანი (58. ხ. მგელაძე), კილაძე, ჯაყელი, ტ. კუკულაძე. ლ. ციკოლია (46. იმნაძე), კვერენჩხილაძე, ურუშაძე (58. ხიტირი).

*სათადარიგოები:* ეზიეშვილი, ბრეგაძე, შენირული

*მთავარი მწვრთნელი:* რამაზ ფირცხალაიშვილი

*გაფრთხილება:* გორდეზიანი, იმნაძე, კობახიძე, მაისურაძე, ქავთარაძე

*არბიტრი:* ვ. გუმბერიძე

### IBSU-მეშახტე 5:0

1:0 ბენდიანაშვილი (14), 2:0 ნიკოლაძე (30), 3:0 პირველი (69), 4:0 ა. ნოზაძე (74), 5:0 ბენდიანაშვილი (90)

*IBSU:* ჯოლოგუა, მაჩალაძე, ა. კუჭუხიძე, თავბერიძე, ცხოიძე, პირველი, ბართია (53. ტეტუნაშვილი), ნორაკიძე, გ. ჯიშკარიანი (68. ა. ნოზაძე), ნიკოლაძე (77. გვიჩია), ბენდიანაშვილი.

*სათადარიგოები:* ბილიხოძე, კაკაბაძე, ქუცურუა, ოდიშარია

*მთავარი მწვრთნელი:* გოჩა ჟორჟოლიანი

*მეშახტე:* მემარნიშვილი, ჯიშიაშვილი, გ. ტორაძე, დოლონაძე, ძაგანია (46. ბაბუნიძე), ქომეთიანი (79. ლ. რაზმაძე), გ. სიჭინავა, მიქაბერიძე (74. რ. კალანდაძე), იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე, შ. მუმლაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

*გაფრთხილება:* ჯიშკარიანი, დოლონაძე, იაკობ დეისაძე

*არბიტრი:* გ. ვადაჭკორია

### კოლხეთი (ხ)-ჰერეთი 2:0

1:0 ღლონტი (66), 2:0 გელა ლომაია (81)

*კოლხეთი (ხ):* ჭურღულია, ჯამბურია, კვირკველია, ფიფია, გ. გოგენია, ალანია, კ. გოგენია, ფირცხალავა (72. გაბრავა), სართანია (65. გელა ლომაია), ღლონტი (75. ჩაჩიბაია), გ. გაგუა.

*სათადარიგოები:* გელაშვილი, ლეფსაია, ჩიტაია, ჩარგაზია

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ნოდია

*ჰერეთი:* უ. ტუხაშვილი, ბახტურიძე, მანაგაძე (46. უშურაული), პაპუაშვილი, ნათენაძე, მესხი (70. აბაშიძე), ლომსაძე, დონდოლაძე, ოქრუაშვილი, ხარაიშვილი (46, კურტანიძე), დავითაძე.

*სათადარიგოები:* ფარულავა, ფოფხაძე, მემარნიშვილი, მატვიენკო

*მთავარი მწვრთნელი:* ზურაბ ფოფხაძე

*არბიტრი:* ი. ურუშაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 10-1 | 6 |
| 2. ჩიხურა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3. IBSU | 2 | 1 | 1 | 0 | 5-0 | 4 |
| 4. კოლხეთი (ფ) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 5. ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 6. ნ/დინამოელი | 1 | 1 | 0 | 0 | 5-1 | 3 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 8. მარტვილი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 9. მესხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 1* |
| 10. ჰერეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 11. მერცხალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 12. 35-ე სკოლა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 13. გურია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |
| 14. მეშახტე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-8 | 0 |
| 15. მადაროელი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-11 | 0 |

*ახალციხის მესხეთს 3 დაკლებული აქვს

### დუბლიორთა ჩემპიონატი

III ტური

| | |
|---|---|
| გაგრა-ზესტაფონი | 3:1 |
| ოლიმპი-ლოკომოტივი | 1:4 |
| სიონი-სპარტაკი | 4:1 |
| სამტრედია-დინამო | 0:0 |
| ბაია-ვიტ ჯორჯია | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| 3. გაგრა | 3 | 2 | 0 | 1 | 13-3 | 6 |
| 6. ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 2. ოლიმპი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-5 | 6 |
| 7. დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 9. სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 7-6 | 3 |
| 5. ბაია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 4. ზესტაფონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 8. სამტრედია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-1 | 1 |
| 10. სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-16 | 0 |

### მეორე ლიგა. I ტური

| | |
|---|---|
| ლიდერი (თბ)-ივერია (ხაშური) | 2:2 |
| ალგეთი (მარნე.)-35-ე სკოლა 2 | 1:2 |
| სპარტაკი (ცხ.)-აბული (ახალქ.) | 5:0 |
| ზოოვეტი-დილა (გორი) | 1:1 |
| გვარდია (თბილისი) | ისვენებს |



სტუმარი

# ფინელები საქართველოთი დაინტერესდნენ

ფინეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის, ვალკეაკოსკის „ჰაკას" სპორტული დირექტორი იუჰა ლაჰტინენი საქართველოს ესტუმრა. მისი მასპინძელი ახალციხის „მესხეთის" მთავარი დამფინანსებელი ნუგზარ სარჯველაძეა. სხვათა შორის, „ჰაკა" ის გუნდია, სადაც მცირე ხნის წინ რუსთავის „ოლიმპის" ყოფილი ფეხბურთელი გოგი ფიფია მიიწვიეს, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო, ვერ დატოვეს.

ლაჰტინენი ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელობას შეხვდა და კლუბისთვის საინტერესო ინფორმაციის მიღებას შეეცადა. ამის შესახებ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანი გვესაუბრება:

„ბატონი ნუგზარის თხოვნით, „ჰაკას" სპორტულ დირექტორს პროფესიული ფეხბურთის ლიგისა და ფედერაციის წარმომადგენლები, გოგი ქავთარაძე, უჩა უგულავა და მე შევხვდით. ფინელი სტუმარი დაინტერესდა, თუ როგორი საინვესტიციო გარემოა ქართულ ფეხბურთში, რა დონის პირველობა გვაქვს და როგორია ჩვენი ფეხბურთის პერსპექტივა. მრავალი სხვა ნიუანსიც გამოგვკითხა, ფინეთში ამომწურავი ინფორმაციით რომ გამგზავრებულიყო. ჩვენთვის მოულოდნელი და ამავდროულად, სასიხარულო იყო „ჰაკას" ინტერესი, რადგან ფინელები ქართულ ფეხბურთში საკმაოდ სოლიდური თანხების დაბანდებაზე ფიქრობენ. მანამდე კი ვითარებას დეტალურად სწავლობენ. ეს ახალციხის „მესხეთის" დამფინანსებლის, ნუგზარ სარჯველაძის დამსახურებაა, რომელსაც ბევრი კარგი ჩანაფიქრი აქვს და იმედია, მისი პროექტები მალე განხორციელდება".

ნუგზარ სარჯველაძე „ლელოს" „ჰაკას" სპორტული დირექტორის ვიზიტზე ელაპარაკა.

**- ბატონო ნუგზარ, იუჰა ლაჰტინენი კონკრეტულად რა მიზნით გვესტუმრა?**

- შესაძლოა, ფინური კლუბი ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაში დაგვეხმაროს. „ჰაკას" ხელმძღვანელობა რომ დაინტერესებულია, ეს ვიზიტიც ადასტურებს. თავისი წარმომადგენელი გამოგზავნეს და ახლა ის ადგილზე ვითარებას სწავლობს.

**- ფინელები ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას სამცხე-ჯავახეთში აპირებენ?**

- გუშინ ახალციხეში ვიყავით, დღეს ქუთაისში. ფინელები იმერეთის რეგიონით დაინტერესდნენ, სადაც უდიდესი საფეხბურთო პოტენციალი, სამწუხაროდ, სათანადოდ არაა ათვისებული. ჩანაფიქრი ასეთია: რამდენიმე ასაკის ბავშვებს აწყურში მოვამზადებთ, ძირითადი ჯგუფი კი ქუთაისში გვეყოლება. იუჰა ლაჰტინენი ჯერ კიდევ სწავლობს აქაურ გარემოსა და ვითარებას და მხოლოდ ამ ვიზიტის შემდეგ, დაახლოებით, სექტემბრის ბოლოს გვეცოდინება ფინელების პასუხი.

**- ანუ, შესაძლოა, „ჰაკამ" ქუთაისურ ფეხბურთს მიხედოს?**

- ნაჩქარევი დასკვნები გაკეთება არ მსურს. ყველაფერს სექტემბერში გავიგებთ.

**- როგორც ვიცით, ახალციხის „მესხეთი" დაშლისგან თქვენმა ფინანსურმა ინიექციამ იხსნა.**

- ჩვენს რეგიონს გუნდი პირველ ლიგაში მაინც უნდა ჰყოლოდა და ამიტომაც დავეხმარე.

**- „მესხეთს" ისევ კობა თედიაშვილი გაწვრთნის?**

- არა, ადგილობრივი მწვრთნელი, პაატა გოგოლაძე დავნიშნეთ. სხვათა შორის, „მესხეთის" მეპატრონე და პრეზიდენტი ჩემი ვაჟი, ნიკა სარჯველაძეა და არა - მე.

**- ვიცოდით, რომ „მესხეთი" ადგილობრივი კადრების იმედად რჩებოდა. თუმცა, დიმა ლეკიშვილი, დათო ინასარიძე და ლევან თედიაშვილი ფოთის „კოლხეთის" განაცხადში აღმოვაჩინეთ.**

- პირველ ლიგაში ახალგაზრდული გუნდით ვითამაშებთ.

**- თქვენთან ლაპარაკის საშუალება არ გვქონია და არ ვიცით, რამდენად მართალია, თითქოს, აწყურში სტადიონის აშენებას აპირებთ.**

- სტადიონი ისედაც გვქონდა, მაგრამ მისახედია და რეკონსტრუქციას ვაპირებთ.

ამას გარდა, აწყურში გვსურს საფეხბურთო სკოლის აშენება, რომელსაც საჭირო ინფრასტრუქტურა ექნება. ეს ფინელებთან თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი პუნქტია. აწყურის სკოლა არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ, უმაღლესი ლიგის გუნდებისთვისაც მოსამზადებლად საინტერესო უნდა გახდეს. კარგი ინფრასტრუქტურა და ჩვენი რეგიონის მშვენიერი ბუნება ბევრი სტუმრის მიღების საშუალებას მოგვცემს.

**- „მესხეთს" უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი თქვენ გიკავშირდებოდათ. ზამთარში გუნდის დახმარება რატომ ვერ შეძელით?**

- თურქებთან მოლაპარაკება ომამდე დავიწყეთ და ისინი თანახმა იყვნენ, მაგრამ აგვისტოში ომი დაიწყო, მოლაპარაკება შეჩერდა და სამწუხაროდ, „მესხეთსაც" ვერ დავეხმარეთ.

**მირაბ მამულაშვილი**

## გამოხმაურება წერილზე: რა აკლია საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს? ზაზა ფაჭულია




# ნაკრებში თამაში არ არის ბურთის გორება... ეს ომია!

პირველ რიგში, დიდი მადლობა ბ-ნ მერაბ მეტრეველს ამ წერილისთვის. ცნობილია, რომ ტკივილს მხოლოდ გამოხატვა არ შველის; შეძახება სჭირდება. ტკივილი თრგუნავს ადამიანს, ერს და ვერც ერთი წამალი ვერ გიშველის, თუ საკუთარი არსებიდან ვერ ამოქაჩავ უკანასკნელ რეზერვს, - თუნდაც, კბილების ღრჭიალით!

წარსულის გაიდეალება მხოლოდ ჩვენი თვისება არ არის. ეს ყველა ერს ახასიათებს, მაგრამ რა ვქნათ, როცა მართლა გვყავდა მსოფლიო კლასის უდიდესი სპორტსმენები. უპირველეს ყოვლისა, 37-ში დაბადებულ ბიჭებს ვგულისხმობ. ისე, მხოლოდ მისტიკით შეიძლება იმ ფაქტის ახსნა, რომ ოცდაჩვიდმეტში, როცა მასობრივად დაიხვრიტა ინტელიგენტი, მუშა და გლეხი, დაიბადა განუმეორებელი თაობა, რომელმაც გაიბრწყინა ფეხბურთსა და კალათბურთში, ხელბურთში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფრენბურთშიც კი (აღარაფერს ვამბობ ჭიდაობაზე, რადგან ამ სფეროში ნებისმიერ წელიწადს იბადებოდნენ ვარსკვლავები).

და მაინც, მათაც ჰქონდათ ჩავარდნები.

შეძახილზე მახსენდება.

60-იანი წლების დასაწყისში „დინამოში" კრიზისმა იფეთქა. პროცესი იმდენად ღრმა და საშიში იყო, რომ ცნობილ პიროვნებათა ჩართვა გახდა აუცილებელი. მახსოვს ერთობლივი ბლიცინტერვიუ **კონსტანტინე ლორთქიფანიძესა და კონსტანტინე გამსახურდიასთან** ორად ორ კითხვაზე - რატომ არ დადიხართ ფეხბურთზე და რა ეშველება თბილისის „დინამოს"?!

კონსტანტინე ლორთქიფანიძის პასუხი არ დამამახსოვრდა ტრაფარეტულობის გამო, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას „მოქნევა" იმდენად ზუსტად ჩაჯდა ჩემს გონებაში, პატიოსნად შემიძლია ბრჭყალებში ჩავსვა:

*„ადრე ერთი ქართველი ათ გადამთიელს ებრძოდა, ახლა თერთმეტი ქართველი თერთმეტ რუსს ვერ მორევია. ამის შემდეგ რა მინდა ფეხბურთზე?! სანამ სოლოვიოვსა და მის მაყრიონს (მწვრთნელთა შტაბი - ვ. შ.) ძელზე არ გავსვამთ, ხოლო შემდეგ დილეგში არ ჩავაგდებთ, თბილისის „დინამოს" საქმეები არ გამოსწორდება.*

*კ. გამსახურდია ტფილისი, „კოლხური კოშკი".*

ეს შეძახილი იმდენად საჭირო იყო, თან ისე გახლდათ შეფარული იუმორით, რომ მისი დაბეჭდვა არა რომელიღაც გაზეთმა, არამედ „კომუნისტმა" (sic!) გაბედა; თან ფონიც იყო შექმნილი. გაზეთი „ფუტბოლი" ქირქილებდა: **მიხაილ მესხი - კოსაია ნოგა, გეორგი სიჩინავა - ჩუგუნნაია ნოგა!**

და დაიწყო. ყველგან - ასფალტზე, პარკებში, ფასადებზე გაჩნდა პატრიოტთა მიერ ცარცით შესრულებული წარწერები - არავინ ფეხბურთზე!

მართლაც, მომდევნო თამაშზე არავინ მისულა. ათიათასობით მაყურებლის ნაცვლად, ორიოდე ჟურნალისტი ჩანდა ტელეეკრანზე.

„დინამოს" პასუხი არ გაინტერესებთ?

ბიჭებს ცხვირი არ ჩამოუშვიათ, არც გაბუტულან, არც აღშფოთებულან. შეძახილმა შეაღწია მათ პიროვნებაში (რამეთუ პიროვნებები იყვნენ), ბრწყინვალე სტილში „გამოაცხვეს" მოგებათა სერია უკვე გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ. გზად „არარატი" შემოეჭამათ, **მიხეილ მესხმა** 4 გოლი გაიტანა იმ დღეს, მისგან „უყურადღებოდ" დარჩენილმა **ზაურ კალოევმა** კი 30 მეტრიდან გაჭიდა ბურთი „ცხრიანში".

არადა, მესხი არ იყო გოლების გამტანი (სულ 49 გოლი ჩემპიონატებში). ის ქმნიდა გოლებს, ლექსებს წერდა მინდორზე, თან - სახეებით დახუნძლულ ლექსებს.

**ავთანდილ ღოღობერიძის** ბოლო პერიოდის, კალოევისა და **გივი ნოდიას** გოლების უმეტესობა მესხის პასებითაა გატანილი. მახსოვს ლეგენდარული უნგრელი ცენტრფორვარდის **ფლორიან ალბერტის** ნათქვამი - სამწუხაროა, რომ თბილისის „დინამო" ევროთასების გათამაშებაში არ მონაწილეობსო (მაშინ საბჭოთა გუნდები მართლაც არ მონაწილეობდნენ ევროთასების გათამაშებაში)...

ახლა გვიჭირს, ძალიან გვიჭირს. თან მუშაობს ლოგიკა - „როგორი ქვეყანაცაა, ისეთია გუნდიც", მაგრამ ეს არ არის გამამართლებელი საბუთი. როცა კლასი არ გაქვს, მისი კომპენსირება თავდადებით უნდა მოხდეს. თავდადებას კი ერთადერთი წყარო გააჩნია - ღირსება, ნაშობი პატრიოტიზმისგან. მართალია, პატრიოტიზმი ცუდი ტონი გახდა ბევრისთვის, მაგრამ ამასაც ავიტანთ, ამ გრძნობის მიძინება შეიძლება, მოკვლა კი - არასდროს! ვერ ეღირსებიან მავანნი!

მე, რიგითი გულშემატკივარი, არ მივცემ ჩემს თავს უფლებას, ვილაპარაკო მწვრთნელზე, შემადგენლობაზე, ტაქტიკურ სქემებზე, თუმცა კი მაქვს ამაზე საკუთარი აზრი. ვეთანხმები და არ გავიმეორებ ათასჯერ ნათქვამს ბავშვთა ფეხბურთზე, საერთო პირობებზე (უფრო სწორად, პირობების უქონლობაზე), მაგრამ მოვითხოვ თავდადებას. ჰკითხონ, ჩვენმა ფეხბურთელებმა **ვიქტორ სანიკიძეს, გიორგი ცინცაძეს, ზაზა ფაჩულიას...** თუ რა არის ხალხის სიყვარულის შეგრძნება, ერთხელ მაინც აღიქვან ეს ღვთიური ფენომენი და მიხვდებიან, რომ ამისთვის ღირს ოფლის ღვრა, ცხრაპირი ტყავის გაძრობა და, საერთოდ - სიცოცხლეც კი. ზოგიერთი ფეხბურთელის ნათქვამი, არავისზე ნაკლები პატრიოტები ვართო, არ არის დამაჯერებელი, რადგან სიყვარულს მკვეთრად გამოხატული თვისება გააჩნია - ეს არის სიტყვისა და საქმის ერთობლიობა.

რაც შეეხება მაყურებელს, დავესესხები **ნოდარ დუმბაძეს** და პატარა პერიფრაზს გავაკეთებ - ხალხი დედასავითაა. ხალხი სად წავა? ხალხი მოვა, თანაც, მოვა არა ინგლისელთა ან იტალიელთა სანახავად, როგორც ახლა ხდება, არამედ თავის ფეხბურთელებთან შესახვედრად...

იმ წერილში ბატონი მერაბ მეტრეველი ცამდე მართალია, როცა ამბობს - ფეხბურთი კაცებმა უნდა ითამაშონო. მართალია, ძნელია ამის თქმა, მაგრამ რა გაეწყობა, რახან არ იციან, უნდა ვუთხრათ - კაცობა ხომ, სინდისი თავგანწირვა და ერთმანეთის გატანაა უპირველეს ყოვლისა.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ დიდი ვარსკვლავები მხოლოდ კლასის ხარჯზე იგებენ, ძალიან ცდება. ყველას აქვს რაღაც მოტივაცია - პიროვნულიც და ეროვნულიც. ვერავინ დამაჯერებს, რომ ისეთმა დიდმა ვარსკვლავმაც კი, როგორიც **სერგო კოტრიკაძე** იყო, მხოლოდ კლასის ხარჯზე აილო კიევში ორი პენალტი (კი არ მოიგერია, ხელებში გააქვავა ბურთი და ახლაც ჩამესმის ეროსის ჟრუანტელის მომგვრელი ალტაცების ხმა). რასაკვირველია, დარტყმის მომენტში, სერგო საქართველოზე ვერ იფიქრებდა, მაგრამ მის პიროვნებაში ქართველობა იმდენად იყო ჩაკირული და ჩადუღაბებული, რომ ყოველ წუთს, ყოველ წამს გრძნობდა - მის უკან იდგა სამშობლო. კიევის „დინამო" ხომ უკრაინის ნაკრები იყო, თბილისის „დინამო" კი - საქართველოსი.

ზემოხსენებულ წერილში კარგად არის ნათქვამი ლიდერის ფუნქციაზეც, მაგრამ ეს საკითხი გაცილებით რთულია. ლიდერობა თანდაყოლილი თვისებაა და მისი გამომუშავება შეუძლებელი მგონია. ისევ მაგალითს მივმართავ - იმავე კოტრიკაძეს თითქმის ყოველთვის ხელით შეჰყავდა ბურთი თამაშში და აწვდიდა... მხოლოდ **შოთა იამანიძეს**. რატომ? პასუხი მარტივია - შოთა ნამდვილი ლიდერი იყო, ნათელი გონებით და ძლიერი ფეხებით. ისეთი აურა ჰქონდა, ტრიბუნაზე გრძნობდი.

მეორე მაგალითი.

მახსოვს, რომელიღაც თამაშში მესხი იდგა, არ მოძრაობდა (ასეთი მომენტებიც ჰქონდა), რამდენიმე პასი მიაწოდა **ვლადიმერ ბარქაიამ**, მაგრამ გააფუჭა მესხმა. არ მოეშვა ბარქაია, თან რაღაცას უყვიროდა. არ მოეშვა და... „ააფეთქა". ხოლო რას ნიშნავდა აფეთქებული მესხი, დღევანდელი მაყურებელი ვერ გაიგებს, შეუძლებელია მისი მოქმედების სიტყვებით გადმოცემა. ბარქაია კი ნამდვილი ლიდერი იყო, ტყუილად არ ეძახდნენ პროფესორს. ბარქაიას გარეშე მესხი ჩააგდებდა იმ თამაშს...

ყველას ახსოვს, როგორი გუნდი გვყავდა კალათბურთში, ვარსკვლავებით დახუნძლული „დინამო" - ევროპის საკლუბო ჩემპიონი მფრინავი **ვლადიმერ უგრეხელიძითა** და დინჯი, მაგრამ მყისიერად ფეთქებადი **ლევან მოსეშვილით**. და მაინც, გუნდის ტვინი, შემოქმედი და წამყვანი **გურამ მინაშვილი** იყო, და არა მარტო ამპლუის (გამთამაშებელი) გამო, არა, პიროვნება იყო ასეთი.

მოგეხსენებათ, კალათბურთში ხშირია შეცვლები. ხანდახან, უგრეხელიძესა და მოსეშვილსაც ცვლიდნენ, მინაშვილს კი - თითქმის არასდროს. მახსოვს, ერთხელ გურამმა პირდაპირ უყვირა მწვრთნელს - დამასვენე ცოტა ხნითო! **ლევან ინწკირველის** ჟესტი შეუვალი იყო - არა!

ჰო, მაგრამ რა ჰქნას ფეხბურთელმა, ვისაც მაღალი კლასი არა აქვს?! - უნდა იშრომოს, იმუშაოს და იწვალოს. შედეგი აუცილებლად მოვა. ვარსკვლავები არ იყვნენ **ავთანდილ ხელაძე, ჯემალ ზეინკლიშვილი** და **გურამ პეტრიაშვილი**, მაგრამ ტოლსწორად ირჯებოდნენ ისეთი ვარსკვლავების გვერდით, როგორებიც იყვნენ **ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი** (ჩემი კერპი მესხის შემდეგ) და ბუმბერაზი **მურთაზ ხურცილავა**.

აშკარად გამიგრძელდა წერილი. ბოდიშს ვითხოვ, თუ რომელიმე ფეხბურთელს გული ვატკინე. კარგად მახსოვს დიდი მწერლის **ოთარ ჭილაძის** შეგონება - ზედმეტი ზრუნვა შეურაცხყოფაში გადადისო. მაგრამ, ბიჭებო, ნაკრებში თამაში არ არის ბურთის გორება, ეს ომია, ომი - სამშობლოს დასაცავად.

და კიდევ.

ამბობენ, შეძახილმა ხე გაახმოო. არ დაიჯეროთ. შეძახილი ხეს ახმობს მხოლოდ მაშინ, როცა თვითო შეძახილია ბოროტი...

გახსოვდეთ, ვის გორისა ხართ!

**ვალტერ შურღაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა

# სპალეტი რანიერიმ შეცვალა

ეს ცვლილება მოსალოდნელი იყო ჯერ კიდევ გასული სეზონიდან, მაგრამ მოხდა ახლა, როცა სერია A-ს ორ სასტარტო ტურში „რომამ" ერთი ქულაც ვერ აიღო (ყველაზე ცუდი სტარტი 1950 წლის შემდეგ). ეჭვგარეშეა - **ლუჩანო სპალეტიმ** რაღაც შესძინა „რომას", იტალიურ ელიტაში „ჯალოროსი" ყველაზე არაიტალიურ ფეხბურთსაც თამაშობდა, მაგრამ... ყველაფერს საზღვარი აქვს, მათ შორის, მოთმინებასაც. „რომას" შედეგები კლუბის ხელმძღვანელთა ამბიციებს აშკარად დაშორდა. თუმცა ბევრს ავიწყდება მიზეზი - ფინანსური კრიზისი, ვალები... ბოლო ხანებში ერთთავად იმაზე იყო ლაპარაკი, რომ კლუბი იყიდებოდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით **სენსის** ოჯახის ხელში რჩება.

„რომამ" შეწყვიტა 2005 წელს დაწყებული განვითარების პროცესი. სპალეტის აღარ ჰქონდა რესურსი განახლებისთვის. ასეთ ვითარებაში „ინტერთან", „იუვენტუსთან" და „მილანთან" კონკურენცია გამორიცხული იყო. ახლაც, პირველივე ტურებში გამოჩნდა, რომ ამ სეზონში „რომა" მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებდა, ყოველ შემთხვევაში, სპალეტის ხელში. მწვრთნელს მოტივაცია დაკარგული ჰქონდა...

გუშინ „რომას" პრეზიდენტ **როზელა სენსისთან** შეხვედრის შემდეგ სპალეტიმ გადადგომის განცხადება დაწერა. მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდა კონტრაქტი, რომელიც 2011 წლის ივლისში იწურებოდა. „ჯალოროსი" და სპალეტი ერთმანეთს მეგობრებად დაშორდნენ - მწვრთნელმა კლუბისგან კომპენსაცია არ მოითხოვა, რაც დღეს იშვიათი შემთხვევაა. თუმცა აქ შეიძლება სხვა რამ იყოს მიზეზი - სპალეტი „ზენიტის" მთავარ მწვრთნელად ინიშნება. თქვენ წარმოიდგინეთ, პეტრეს ქალაქში მას გაცილებით მაღალ ხელფასს გადაუხდიან, ვიდრე ერთ-ერთ იტალიურ გრანდში იღებდა...

მოკლედ, სპალეტი და „რომა" უკვე წარსულია. ჰოდა, ბარემ აქვე შევაჯამოთ - ამ სპეციალისტთან ერთად „ჯალოროსიმ" ზედიზედ ორჯერ (2006/07 და 2007/08) მოიგო იტალიის თასი, ხოლო 2005/06 წლების სეზონში ფინალისტი იყო. ამას გარდა, სპალეტის ნადავლი გახდა ქვეყნის სუპერთასიც, რომელიც „რომამ" ასევე ზედიზედ ორჯერ (2007, 2008) დაისაკუთრა. ხოლო ზედიზედ სამჯერ (2005/06, 2006/07, 2007/08) „ინტერის" შემდეგ მეორე ადგილს დასჯერდა.

სპალეტის შემცველი გუშინვე გამოუჩნდა. კლუბის პრეზიდენტი სენსი უმალ **კლაუდიო რანიერის** დაუკავშირდა. საგულისხმოა, რომ მანამდე ის დაახლოებით ერთ საათს ესაუბრა გუნდის კაპიტან **ფრანჩესკო ტოტისა** და ნახევარმცველ **დანიელე დე როსის**. როგორც ჩანს, პრეზიდენტს გუნდის ორი წამყვანი მოთამაშის აზრიც აინტერესებდა. სხვათა შორის, ჩინებული ჟესტია...

დავუბრუნდეთ რანიერის. „იუვენტუსიდან" წასვლის შემდეგ ის უმუშევარი იყო და რა გასაკვირია, რომ როზელას ზარს მაშინვე გამოეხმაურა. სიმბოლურია, რომ ბოს ქალბატონთან მისმა შეხვედრამ 90 წუთს გასტანა. რანიერისა და სენსის კომენტარები არ გაუკეთებიათ. პრესა მხოლოდ მწვრთნელის ადვოკატ **მატია გრასანის** სიტყვებს დასჯერდა:

*„დიახ, ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას „რომას" ხელმძღვანელობასთან. გადაწყვეტილია, რომ კონტრაქტი 2-წლიანი იქნება. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კი გაიმართება პრესკონფერენცია და რანიერის შთაბეჭდილებებსა თუ გეგმებზე სწორედ ამ პრესკონფერენციაზე გაიგებთ".*

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ რანიერისთან კონტრაქტი დღეს გაფორმდება. ის რომაელია და გუნდის ქომაგთა აზრით ეს თურმე მნიშვნელოვანი პლუსია. ფეხბურთელობის ჟამს (1973/74) „რომაში" მას მხოლოდ 6 მატჩი აქვს ჩატარებული. თუმცა იტალიური სამწვრთნელო სკოლის პატრიარქი **კარლო მაცონე**, რომელიც „ჯალოროსის" 1993-1996 წლებში თავკაცობდა (ტოტი სწორედ მან დააწინაურა მთავარ გუნდში), დარწმუნებულია, რომ ამ გუნდში რანიერის, როგორც მწვრთნელის, კარიერა გაცილებით ხანგრძლივი და წარმატებული იქნება.

**გიორგი გელაშვილი**



სასჯელი

# ალქაჯებზე ნადირობა უეფაში

რა გააკეთა არსენალელმა **ედუარდომ** ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპის საპასუხო შეხვედრაში გლაზგოს „სელტიკის" წინააღმდეგ, საყოველთაოდ არის ცნობილი - იგი მოწინააღმდეგის საჯარიმოში შეიჭრა და მსაჯს პენალტი გამოსტყუა. ეს თაღლითობა ტელეკამერებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, რასაც საბოლოოდ დიდი ამბავი მოჰყვა. და აი, უეფას ვერდიქტიც: ჩრდილოლონდონელთა ბრაზილიური წარმოშობის ხორვატი ჩემპიონთა ლიგის ორ შეხვედრას გამოტოვებს.

შესაბამისად, **არსენ ვენგერს** ედუარდო 16 სექტემბერს ლიეჟის „სტანდარდთან" და 29 სექტემბერს „ოლიმპიაკოსთან" არ ეყოლება. ამ ცნობამ „მეთოფეთა" ფრანგი თავკაცი ძალიან გააბრაზა:

*„ეს განაჩენი სრულ უპატივცემულობას გამოხატავს. ძნელია კაცმა დაიჯეროს, რომ სადისციპლინო კომიტეტმა მართლა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. რასაკვირველია, შესაძლოა ვიკამათოთ იმაზე, იყო პენალტი თუ არა, მაგრამ ეს ყველაფერი ალქაჯებზე ნადირობაში არ უნდა გადაგვეზარდოს. ჩემს ფეხბურთელს ვიდეოჩანაწერზე დაყრდნობით დააბრალეს, რომ მას წინასწარ ჰქონდა განზრახული მსაჯის მოტყუება და გამიზნულად ითაღლითა, თუმცა, ის ვიდეოჩანაწერი რამდენჯერაც გნებავთ იმდენჯერ დაატრიალეთ, ის ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. გამოვიდა, რომ უეფამ ამოირჩია ერთი ფეხბურთელი და მთელი ევროპის წინაშე თაღლითად გამოაცხადა".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ესპანური მიდი-მოდი




რასინგის ახალწვეულები, სისკო და ენრიკე




მიგელ ტორესმა რეალი ხეტაფეზე გაცვალა

# გიჟური დასასრული: საათში ერთი ტრანსფერი პრიმერაში

სატრანსფერო სეზონის უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში 40-ზე მეტი ისეთი ტრანსფერი განხორციელდა, რომელიც ესპანურ კლუბებს შეეხო. ქვეყნის ჩემპიონმა „ბარსელონამ" ერთი ფეხბურთელი შეიძინა და ორი გაუშვა. შაბათს უკრაინელმა **დმიტრო ჩიგრინსკიმ** სამედიცინო შემოწმება გაიარა და კვირას „შახტარის" ყოფილმა ცენტრალურმა მცველმა „ბლაუგრანას" 5-წლიან ხელშეკრულებაზე მოუწერა ხელი. დმიტროს დამატება **ლაპორტას** ხაზინას 25 მილიონი ევრო დაუჯდა. სატრანსფერო ფანჯრის დახურვის დღეს კი „ბარსელონა" ორ ფეხბურთელს დაემშვიდობა, ერთს - სამუდამოდ, მეორეს კი დროებით. 30 წლის ისლანდიელი ვარსკვლავი **ეიდურ გუდიონსენი** კარგა ხანია **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდს ზედმეტ ტვირთად აწვა, მისი სარფიანი გაყიდვა „ბარსელონამ" ვერ შეძლო და გადაწყვიტა გუდიონსენის უსასყიდლოდ გაშვება. სამშობლოს გარდა, ჰოლანდიასა და ინგლისში მოთამაშე ფეხბურთელი კიდევ ერთ ლიგას დააგემოვნებს - ფრანგულს. გუდიონსენმა 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და განაცხადა, რომ არჩევანით კმაყოფილია:

*„ჩემი კარიერის ახალ ეტაპზე დიდი პატივია „მონაკოს" ცნობილი ფერებით ვითამაშო და ამ გუნდისთვის გავიტანო. ვიმედოვნებ, რომ მეც და ჩემს ახალ გუნდსაც წინ წარმატებები გველის. 9 ნომერი მაისური ბევრს მავალებს და ყურადღების ცენტრში ყოფნის გარანტიაა, მაგრამ, ჩემი აზრით, ფეხბურთელი უკეთ თამაშობს, როცა ყურადღების ცენტრში იმყოფება და მის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებენ. მსურს „მონაკოს" გათამაშების ცხრილის სათავეში მოქცევაში დავეხმარო".*

ჩიგრინსკის „ბარსაში" გადასვლის შემდეგ 22 წლის ბრაზილიელის, **ენრიკე ადრიანოს** გუნდში გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა და ის კატალონიელებმა სანტანდერის „რასინგში" გაანათხოვრეს. ბოლო სეზონი ენრიკემ იჯარით ლევერკუზენის „ბაიერში" გაატარა.

„სამეფო კლუბისგან" ბევრი ელოდა ჰოლანდიელი **რაფაელ ვან დერ ვაარტის** გასხვისებას, მაგრამ სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და ვან დერ ვაარტი „რეალში" დარჩა. საინტერესო ინფორმაციას მივაკვლიეთ რაფაელის პირად საიტზე, 31 აგვისტოს მან გამოაქვეყნა ცნობა, რომ შეხვედრა ჰქონდა „რეალის" ხელმძღვანელობასთან, რომელთაც ფეხბურთელს „სამეფო კლუბში" დარჩენა მიულოცეს და ჩამორთმეული 23-ნომრიანი მაისურა უკან დაუბრუნეს. ახალგაზრდა **ესტებან გრანეროს** ამ სეზონში 24-ნომრიანი მაისურით მოუწევს თამაში. ბოლო სატრანსფერო დღეს „რეალი" შეელია 23 წლის მარჯვენა მცველ **მიგელ ტორესს**. 31 აგვისტოს ტორესი 2 მილიონ ევროდ „ხეტაფეში" გადავიდა. მიგელ ტორესმა 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, პირველი ორი წლის განმავლობაში „რეალს" მცველის გამოსყიდვის უფლება ექნება.

ბოლო სატრანსფერო დღემ მშვიდად ჩაიარა „სევილიის" ოფისში, ორიოდე დღის წინ მათ პორტუგალიელი მარცხენა ფლანგელი **დუდა** „მალაგაში" გაანათხოვრეს და მთლიანად გადაერთვნენ საფეხბურთო ბატალიებზე. „ვალენსიამ" უკანასკნელი 48 საათი ფეხბურთელების გასხვისებისთვის გამოიყენა. გამოცდილი შემტევი ნახევარმცველი **მიგელ ანხელ ანგულო**, რომელსაც მთელი კარიერა (1995 წლიდან) „ვალენსიაში" ჰქონდა გატარებული თავისუფალი აგენტის სტატუსით ლისაბონის „სპორტინგში" გადავიდა. „ღამურების" შემადგენლობაში ანგულომ 300-ზე მეტი მატჩი გამართა და 50-მდე გოლი გაიტანა. „ვალენსიამ" ტრადიცია არ დაარღვია და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **აარონ ნიგუესი** კვლავ გაანათხოვრა. ფეხბურთელი 2006 წლიდან გუნდში ირიცხებოდა, მაგრამ მთავარ გუნდში ერთხელაც არ უთამაშია, მან საფეხბურთო სეზონები „ხერესში", „ირაკლისში" და „რეინჯერსში" გაატარა, ახლა ნიგუესი ვიგოს „სელტაში" თამაშს დააგემოვნებს. შეგახსენებთ, რომ „ლოს სელესტესი" დღეისათვის სეგუნდა დივიზიონის მაჩანჩალა გუნდად ითვლება.

სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარხა მადრიდის „ატლეტიკომ", კვლავ გასხვისების კუთხით. მადრიდელებმა სარფიანად გაყიდეს ჰოლანდიის ნაკრებიც უნივერსალი მცველი **ჯონ ჰეიტინგა**, ინგლისურმა „ევერტონმა" 25 წლის ჰოლანდიელის სანაცვლოდ 7,5 მილიონი ევრო გადაიხადა. ჰეიტინგა შარშან „აიაქსიდან" გადავიდა „ატლეტიკოში" და იოლად დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

პრიმერას კიდევ ერთმა ფავორიტმა „ვილიარეალმა" გათვლა მომავალზე გააკეთა - 31 აგვისტოს 19 წლის ცენტრალური მცველი **მატეო მუსაკიო** შეიძინა. მუსაკიო არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრების წევრია და ის ესპანეთში „რივერ პლეიტიდან" გადავიდა. სეზონს მუსაკიო „ვილიარეალ ბ-ში" დაიწყებს, რომელიც სეგუნდა დივიზიონში ასპარეზობს. „ვილიარეალის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **ტიაგო დუტრა ლადო დვალიშვილის** თანაგუნდელი გახდა, „ელ სუბმარინომ" ტიაგო „მაქაბიში" გაანათხოვრა. მოკლედ, ჩემპიონთა ლიგაში დვალიშვილს პასებით ტიაგოც მოამარაგებს.

ზემოთ სანტანდერის „რასინგი" ვახსენეთ და კანტაბრიის დედაქალაქის გუნდმა ბოლო სატრანსფერო დღეს ორი შენაძენი გააკეთა და ორი ფეხბურთელიც გაასხვისა. ბრაზილიელ ენრიკეზე უკვე მოგახსენეთ და მასთან ერთად გუნდმა იჯარით ფორვარდი **ფრანსისკო ხიმენესიც** (იგივე **სისკო**) აიყვანა. 23 წლის ფორვარდი, რომელმაც თავი ადრე „დეპორტივოში" თამაშით გამოიჩინა „ნიუკასლ იუნაიტედის" წევრია. სამაგიეროდ „რასინგმა" 19 წლის არგენტინელი **ბრიან სარმიენტო** „ხირონას" დაუთმო, ხოლო **ხუან ხოსე ესპოზიტო** „კორდობაში" გაანათხოვრა.

„მალაგამ", რომელსაც შესანიშნავი სტარტი გამოუვიდა პრიმერაში, დუდუს გარდა „ლას პალმასიდან" **რობერტო სანტამარია** დაიმატა, ოთხი ფეხბურთელი კი გაუშვა - **პოპო** „ლოგრონიესში", ვეტერანი ბომბარდირი **სალვა ბალესტა** „ალბასეტეში", **პერე მარტი** „მურსიაში", ნახევარმცველი **ჩელი** „ლეიდაში".

ბალეარის კუნძულების წარმომადგენელმა სამი ფეხბურთელით შეძლო გაძლიერება, „მალიორკამ" „ალვარესიდან" ვენესუელელი შემტევი ნახევარმცველი **ხულიო ალვარესი** უსასყიდლოდ შეიძინა. ურუგვაელი **პაულო პესოლანო** იჯარის წესით მონტევიდეოს „ლივერპულიდან" გადავიდა. ბოლო სეზონში მან ურუგვაიში 8 თამაშში 9 გოლი გაიტანა. კიდევ ერთი შენაძენი „ნისლიანი ალბიონიდანაა", „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა" „მალიორკას" **ბორხა ვალერო** ათხოვა. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი სწორედ „მალიორკიდან" გადავიდა ინგლისში 2008 წელს.

„სარაგოსა" 30 წლის **ანტონიო იდალგოს** შეელია, შემტევი ნახევარმცველი „ალბასეტეში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. „ალმერიამ" „ატლეტიკო ბ-დან" **ალექს ქუილო** აიყვანა. „ვალიადოლიდმა" ნიგერიის ნაკრების ფორვარდი **ბართლომე ოგბეჩე** „კადისში" გაანათხოვრა. „ტარაგონამ" ესპანიოლელი **ალეიქს ვიდალი** თავისუფალი აგენტის სტატუსით აიყვანა. „ტენერიფემ" სტრანსფერო მოღვაწეობა „რეალ სოსიედადის" 22 წლის მცველი **ტონიო რამირესი** სეზონის ბოლომდე ითხოვა. აგვისტოში პრიმერას დებიუტანტი „ხერესი" რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდა, მნიშვნელოვანი დამატება გუნდმა 31 აგვისტოს გააკეთა - „ლანსისგან" იჯარით მალელი ნახევარმცველი **სიდი კეიტა** აიყვანა. სიდი კეიტა წარსულში ცნობილი მალელი ფეხბურთელის, **სალიფ კეიტას** ძმისშვილია, რომელსაც 70-იან წლებში „სენტ ეტიენში", „მარსელში", „ვალენსიასა" და „სპორტინგში" უთამაშია და ამ გუნდებში ჯამში 200-ზე მეტი გოლი გაუტანია.

დაბოლოს, „სევილიას" დარად ბოლო საათებში სატრანსფერო ბაზარზე საერთოდ არ უაქტიურიათ, ბილბაოს „ატლეტიკს", „ოსასუნასა" და ხიხონის „სპორტინგს".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბუნდესლიგა



მარიო გომესი ყველაზე ძვირი ღირს

# კრიზისი არა, ისა!

## 226 მილიონი! ბუნდესლიგამ რეკორდი დაამყარა

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, ბუნდესლიგამ სატრანსფერო ბაზარზე რეკორდი დაამყარა. ამ ზაფხულს გერმანულმა კლუბებმა იმდენი ფული დახარჯეს, რამდენიც აქამდე არასდროს გაულიათ: 226.25 მილიონი ევრო და 166 ახალი ფეხბურთელი შეიძინეს.

აქამდე სარეკორდო 2007 წლის ზაფხული გახლდათ, როცა ბუნდესლიგის კლუბებმა 194.38 მილიონი დახარჯეს, ახლა კი პირველად გადაკვეთეს 200 მილიონიანი ზღვარი. სამაგიეროდ, ბუნდესლიგელებმა 138 ფეხბურთელი გაასხვისეს და 111.66 მილიონი ჩაიჯიბეს.

სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და გთავაზობთ გერმანიაში განხორციელებული უძვირესი ტრანსფერების ჩამონათვალს:

| ფეხბურთელი | საიდან | სად | ფასი |
|---|---|---|---|
| 1. მარიო გომესი | შტუტგარტი | ბაიერნი | 30 მილიონი |
| 2. არიენ რობენი | რეალი | ბაიერნი | 24 მილიონი |
| 3. ანატოლი ტიმოშჩუკი | ზენიტი | ბაიერნი | 11 მილიონი |
| 4. ობაფემი მარტინსი | ნიუკასლი | ვოლფსბურგი | 10.5 მილიონი |
| 5. ლუკას პოდოლსკი | ბაიერნი | კიოლნი | 10 მილიონი |
| 6. მარკუს ბერგი | გრონინგენი | ჰამბურგი | 10 მილიონი |
| 7. ელერო ელია | ტვენტე | ჰამბურგი | 9 მილიონი |
| 8. მარკო მარინი | ბორუსია (მ) | ვერდერი | 8.2 მილიონი |
| 9. ზდრავკო კუზმანოვიჩი | ფიორენტინა | შტუტგარტი | 8 მილიონი |
| 10. დანიელ პრანიჩი | ჰერენვენი | ბაიერნი | 7.7 მილიონი |
| 11. იოზიპ შიმუნიჩი | ჰერტა | ჰოფენჰაიმი | 7 მილიონი |
| 12. ძარიმ ზიანი | მარსელი | ვოლფსბურგი | 7 მილიონი |
| 13. კლაუდიო პისარო | ჩელსი | ვერდერი | 6 მილიონი |
| 14. დავიდ როზენალი | ლაციო | ჰამბურგი | 4.9 მილიონი |
| 15. პაველ პოგრებნიაკი | ზენიტი | შტუტგარტი | 4.8 მილიონი |
| 16. ფრანკო ძუკულინი | აველიანედა | ჰოფენჰაიმი | 4.6 მილიონი |
| 17. მაიკოს უელი | ბოტაფოგო | ჰოფენჰაიმი | 4.5 მილიონი |
| 18. რაულ ბობადილია | გრასჰოპერსი | ბორუსია (მ) | 4.2 მილიონი |
| 19. მატს ჰუმელსი | ბაიერნი | ბორუსია (დ) | 4.2 მილიონი |
| 20. ზე რობერტო | ბაიერნი | ჰამბურგი | 4 მილიონი |
| 21. ერენ დერდიოკი | ბაზელი | ლევერკუზენი | 3.8 მილიონი |
| 22. თომას კალენბერგი | ოსერი | ვოლფსბურგი | 3.7 მილიონი |
| 23. ხუან არანგო | მალიორკა | ბორუსია (მ) | 3.6 მილიონი |

გოტფრიდ ლენცი

წარდგენა

# ბუნდესგუნდის ახალი ფორმა

გუშინწინ გერმანიის ნაკრები კიოლნში შეიკრიბა და მომავალი მატჩებისთვის მზადება დაიწყო. ბუნდესგუნდის ფეხბურთელებმა პირველად მოირგეს ის ფორმები, რომლითაც გერმანია მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ითამაშებს. „ადიდასმა" სარეკლამო კლიპიც გადაიღო და ეს ფორმა გერმანიაში ნოემბრიდან გაიყიდება. აღსანიშნავია, რომ ახალ ფორმაზე არწივი შავ ფონზე ზის, ნომრები კი ძველებურ სტილშია ნაწერილი. არწივი შავ ფონზე - გერმანიის ნაკრებს ასეთი ფორმა ბოლოს 1996 წელს, ევროპის ჩემპიონატზე ეცვა. აღსანიშნავია, რომ მაშინ გერმანია ევროპის ჩემპიონი გახდა და მას მერე დიდი ტურნირი არ მოუგია. საინტერესოა ისიც, რომ „ადიდასის" „სამი ზოლი" მკლავებზე წყდება.

გოტფრიდ ლენცი



გერმანიის ნაკრების ახალი სამუნდიალო მაისურა

ბაიერნი

# რიბერი: ვან გაალთან დაძაბული ურთიერთობა მაქვს!

## ჰოლანდიელმა ექსპერტებს ბოიკოტი გამოუცხადა

*„ჰეი, ფრანკ, შენ რატომ არ ვარჯიშობ?"* - აი, ამ სიტყვებით დაიწყო „ბაიერნის" მწვრთნელ **ლუის ვან გაალისა** და **ფრანკ რიბერის** ურთიერთობა. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა გაოცება ვერ დამალა იმის გამო, რომ ფრანგი ნახევარმცველი მაშინ მოედანზე სავარჯიშოდ მხოლოდ გეტრებით გავიდა, უფრო სწორად, ვარჯიშს არ აპირებდა, რადგან ფეხი წამოსტკივდა, მაგრამ ამის შესახებ ვან გაალს არაფერი უთხრა.

როგორც ჩანს, მას მერე ვან გაალმა და რიბერიმ ურთიერთობა ვერ დაარეგულირეს, რადგან ფრანგული „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში რეკორდმაისტერის ფრანგი ვარსკვლავი პირდაპირ ამბობს, მწვრთნელთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა მაქვსო. *„ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის ნდობა უნდა იყოს. ვან გაალთან სწორედ ამ მხრივ მაქვს პრობლემა. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ყველაფერი კარგად არის,"* - აცხადებს რიბერი.

როგორც ჩანს, ფრანგი ვან გაალს ვერ შეეწყო. არადა, **ოტმარ ჰიტცფელდისა** და **იურგენ კლინსმანის** ხელში თავს შესანიშნავად გრძნობდა. ვარჯიშების დროს ხშირად ხუმრობდა და ცელქობდა, რასაც ვან გაალთან ვერ ახერხებს. რიბერი პირდაპირ ამბობს, ვან გაალის ხელში ყველა ფეხბურთელი ზედმეტად სერიოზული და შებოჭილიაო. *„ვოლფსბურგთან" მატჩის წინაც შევამჩნიე, რომ ფეხბურთელები ზედმეტად დასერიოზულებულები არიან, არავინ იცინის და არავინ არაფერს ამბობს. ასე არ შეიძლება,"* - ამბობს რიბერი.





ფრანკ რიბერი და ლუის ვან გაალი

ჰოლანდიელი მწვრთნელი წინამორბედებისგან კარდინალურად განსხვავდება. მაგალითად, მან „ვოლფსბურგთან" მატჩის შემდეგ პირდაპირ ეთერში **ფრანც ბეკენბაუერთან** და „ვოლფსბურგის" მწვრთნელ **არმინ ფეესთან** ერთად დისკუსიაში მონაწილეობა იუარა. „კაიზერი" და ფეე ვან გაალს რამდენიმე წუთის განმავლობაში ამაოდ ელოდებოდნენ. როგორც გაირკვა, ლუისს მხოლოდ რეპორტიორებისთვის ინტერვიუების მიცემა სურს, თანაც სტადიონზე და არა სტუდიაში. მას არ უნდა კოლეგებთან ან ექსპერტებთან დისკუსიაში შესვლა. ტელეკომპანია „სკაიზე" ბეკენბაუერი ყოველთვის პირდაპირ ეთერშია ხოლმე - ექსპერტის რანგში. გამოდის, რომ თუ ვან გაალის გამოჩენა ძალიან უნდოდათ, ბეკენბაუერი სტუდიიდან უნდა გაეყვანათ. „სკაის" კორესპონდენტი ამბობს, ამას ვერ დავუშვებდითო.

*„ვან გაალი ამბობს, ინტერვიუზე უარს არასდროს ვიტყვი, მაგრამ დისკუსიაში ჩართვა არ მსურსო,"* - ეს „ბაიერნის" პრესატაშე **მარკუს ჰიორვიკის** სიტყვებია.

ფრანც ბეკენბაუერი: *„რაკი ასე უნდა, ვერაფერს დავუშლით ან ვუბრძანებთ. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მიმაჩნია, რომ შეეძლო, სტუდიაში შემოსულიყო. მას ნამდვილად არავინ უკბენდა!"*

გოტფრიდ ლენცი

დაპირისპირება



4 თამაშში 4 გოლი. მიუხედავად ამისა, შტეფან კისლინგი გერმანიის ნაკრებში არ მიიწვიეს

# კისლინგი განრისხდა: მეტი რა უნდა გავაკეთო?!

## ლევერკუზენის თავდამსხმელი ლიოვზე გაბრაზდა. გადაწყდა: რუსეთთან ბუნდესგუნდის კარს ენკე დაიცავს. მუნდიალზეც?

ვინ უნდა დაიცვას გერმანიის ნაკრების კარი მსოფლიოს ჩემპიონატზე? როგორც იცით, ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** კონკურენცია დააწესა, რომელშიც რამდენიმე გოლკიპერი ჩაება. საუკეთესო შანსები **რობერტ ენკეს** (ჰანოვერი) და **რენე ადლერს** (ლევერკუზენი) აქვთ და ლიოვს ჯერ ოფიციალურად ისიც კი არ გაუცხადებია, ვინ იქნება გერმანიის პირველი მეკარე შემოდგომაზე, რუსეთთან უმნიშვნელოვანეს მატჩში. მაგრამ ჩვენს გერმანელ კოლეგებს უკვე ეჭვი აღარ ეპარებათ იმაში, რომ რუსეთთან გერმანიის პირველი ნომერი ენკე იქნება. მართალია, ლიოვი სამხრეთ აფრიკასთან ტესტმატჩში ადლერს ათამაშებს (ამაზე ვწერდით), სამაგიეროდ, მუნდიალის შესარჩევ შეხვედრაში, აზერბაიჯანთან, კარს ისევ ენკე დაიცავს. ერთი სიტყვით, ყველა მნიშვნელოვან შეხვედრაში ენკე თამაშობს, რაც იმის წინა პირობაა, რომ რუსეთთანაც გამოცდილი ჰანოვერელი ითამაშებს.

ამრიგად, თუ ენკე ტრავმას არ მიიღებს, მომავალ სამ საკვალიფიკაციო მატჩში (აზერბაიჯანთან, რუსეთსა და ფინეთთან) სწორედ ის იასპარეზებს. გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელმა **ანდრეას კიოპკემ** „ბილდს" დაუდასტურა, ენკეს უკეთესი შანსი აქვს, ძალიან კარგ ფორმაშია და რუსეთთან ალბათ ის ითამაშებსო. *„კიოპკეს ეს განცხადება ჩემთვის ძალიან სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ არ უნდა მოვეშა,"* - აცხადებს 32 წლის მეკარე. აღსანიშნავია, რომ ენკეს ნაკრებში დღემდე მხოლოდ რვა მატჩი აქვს ჩატარებული. კიოპკეს თქმით, დღევანდელი გადასახედიდან საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ლიოვი რუსეთთან და ფინეთთან მატჩებისთვისაც ენკეს, ადლერსა და ნოიერს გამოიძახებს. გამოდის, რომ ბრძოლას გამოეთიშა ბრემენელი **ტიმ ვიზე**, რომელიც ლიოვზე ძალიანაა განაწყენებული. *„გერმანიის ნაკრების მწვრთნელის ყურადღება ვერაფრით დავიმსახურე. როგორც ჩანს, ძალიან ცუდი მეკარე ვარ,"* - ირონიულად ამბობს ვიზე.

ტიმი ერთადერთი ფეხბურთელი არ არის, რომელიც ლიოვზე გაბრაზდა. უკმაყოფილოა **ტორსტენ ფრინგსიც** და გუშინ განრისხება ველარც „ლევერკუზენის" თავდამსხმელმა **შტეფან კისლინგმა** დამალა. ეს უკანასკნელი **ერენ დერდიოკთან** ერთად ჯერჯერობით ბუნდესლიგაში თავდასხმის საუკეთესო დუეტს ქმნის (ორივეს ერთად 7 გოლი აქვთ გატანილი) და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანელი ფორვარდებიდან საუკეთესო ფორმაშია, მიუხედავად ამისა, მაინც განაცხადს მიღმა დარჩა. *„უბრალოდ ვერ ვიგებ, რატომ არ მიძახებს ლიოვი. კარგად ვთამაშობ, გოლები გამაქვს. ვერ გავიგე, მეტი რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ ნაკრებში მიხმონ?"* - გაურკვევლობაშია კისლინგი.

*„შტეფანი იოახიმ ლიოვს უკეთეს პასუხს მოედნიდან გასცემს. ჩემი აზრით, ასეთ ფორმაში მყოფი კისლინგი ლიოვს აუცილებლად უნდა გამოეძახებინა,"* - ეს „ლევერკუზენის" სპორტული დირექტორის, გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორის, **რუდი ფიოლერის** სიტყვებია. ფაქტი ერთია: ლიოვი მუდმივად იმეორებს, ნაკრებში მხოლოდ იმ ფეხბურთელებს ვიწვევ, რომლებიც საუკეთესო ფორმაში არიანო. მაშინ რატომ არიან გამოძახებულები **მიროსლავ კლოზე** (2 თამაში, 0 გოლი) და **ლუკას პოდოლსკი** (3 თამაში, 0 გოლი), ხოლო კისლინგი (4 თამაში, 4 გოლი) კი არა?!

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი ყველაზე...


მარუან ფელანი



ანდრეი არშავინი


უეინ რუნი

# საუკეთესო ბოლონამღლები

დღეს, უკვე 2 სექტემბერია - გუშინ სატრანსფერო სეზონი დაიხურა. სხვა სიტყვებით, უკვე ყველა თავის გუნდშია და საშობაო ბაზრობამდე ფეხს ვეღარ მოიცვლის.

ასეთი მკაცრი ვადები ფიფამ 2002/03 წლის სეზონში შემოიღო და მას მერე ფეხბურთში ახალი ინტრიგა გაჩნდა: აბა, რა მოხდება ფეხბურთელებით ვაჭრობის ბოლო დღეს? და მას მერე, მართლაც ბევრი ბოლო წამის გამორჩეული ტრანსფერი განხორციელდა, ისეთი, რომ მთელ მსოფლიოს გაოცების შეძახილი რომ გამოსტყუა. როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგმა მათგანმა გაამართლა, ზოგიც ჩაფლავდა.

დღევანდელ რუბრიკაში გვინდა, „ათი ყველაზე" წარმატებულ ტრანსფერთა „სანისეული" ჩამონათვალი შემოგთავაზოთ.

**10. დენი მერფი** („ტოტენჰემიდან" „ფულჰემში", თანხა უცნობია) 2007 წლის 31 აგვისტო.

ამ ტრანსფერიდან უკვე მთელი სეზონი იყო გასული, ანუ ბოლო სატრანსფერო დღის ამბავი აღარავის ახსოვდა, 2007-08 წლების ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში კი „ფულჰემს" „პორტსმუთის" კარში ვერა და ვერ გაჰქონდა გოლი - სხვა სიტყვებით, პრემიერლიგიდან ვარდებოდა. როდესაც ამ გავარდნამდე სულ რაღაც 14 წუთი რჩებოდა, **დიომანსი კამარამ** ჯარიმიდან ჩაკიდა „პომპეის" კართან ბურთი, ხოლო მერფიმ თავური დაჰკრა და გაიტანა გოლი, რომლის წყალობითაც ლონდონელებმა უმაღლეს ინგლისურ დივიზიონში შეინარჩუნეს ადგილი.

**9. რობინიო** („რეალიდან" „მანჩესტერ სიტიში", თანხა: 52,62 მილიონი დოლარი) 2008 წლის 31 აგვისტო.

ეს გახლდათ პერიოდი, როდესაც „აბუ დაბი იუნაიტედ გრუპმა" „მანჩესტერ სიტი" იყიდა და მთელი მსოფლიოსთვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ პრემიერლიგაში ძალიან სერიოზული განზრახვითაა მისული. რობინიო მადრიდის „რეალში" ველარ ჩერდებოდა და „ჩელსისთან" აწარმოებდა მოლაპარაკებებს. მეტიც, სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღეს მას თავი უკვე „ჩელსის" ფეხბურთელი ეგონა, როდესაც საქმეში ისტლენდელები შეცვივდნენ და ბრაზილიელი „მოიტაცეს".

ჰოდა, რობინიომ გაამართლა. ახალ გუნდში გატარებულ პირველსავე სეზონში მან 14 გოლი გაიტანა და „სიტის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა, სრულიად პრემიერლიგის მეგოლეთა დავაში კი მეოთხე ადგილზე გავიდა.

**8. ეშლი კოული** („არსენალიდან" „ჩელსიში", თანხა: 8 მილიონ დოლარს პლუს **უილიამ გალასი**) 2006 წლის 31 აგვისტო.

კოული „არსენალიდან" სკანდალურად წავიდა - „მეთოფეებმა" ის კლუბის ზურგს უკან „ჩელსის" წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებში ამხილეს, რის გამოც ფანებმა შეიძულეს და საბოლოოდ გადაინაცვლა კიდეც ჩრდილოდან დასავლეთ ლონდონში.

„სტემფორდ ბრიჯზე" გადასვლის შემდეგ კოულმა ორჯერ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგო და ერთხელ ლიგის თასი, მასში გაცვლილი გალასი კი, ვაგლახ, უტიტულოდ დადის.

**7. მარუან ფელანი** („სტანდარდიდან" „ევერტონში", თანხა: 25,9 მილიონი დოლარი) 2008 წლის 31 აგვისტო.

ფელანიმ ყურად არ იღო „მანჩესტერ იუნაიტედის", „ასტონ ვილას", „რეალისა" და „ბაიერნის" ინტერესი და „ევერტონს" მიაშურა. ფული, რომელიც ლივერპულელებმა მასში გადაიხადეს, კლუბისთვის სარეკორდო გახლდათ.

ფელანიმ ახალ გუნდში, პირველსავე სეზონში, 30 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა და „გუდისონ პარკის" გმირად იქცა, რაც მისი ენერგიული სტილის გარდა ვარცხნილობის დამსახურებაც უნდა იყოს.

**6. მეტიუ აპსონი** („ბირმინგემიდან" „ვესტ ჰემში", თანხა: 9,7 მილიონი დოლარი) 2007 წლის 31 იანვარი.

მოკლედ და მარტივად უნდა ითქვას: რაც „ვესტ ჰემში" გადავიდა, თავი კომფორტულად იგრძნო და ლონდონელთა დაცვის ბურჯად იქცა. „არსენალის" ოდინდელი მოთამაშე „ვესტ ჰემის" წყალობით **ფაბიო კაპელოსეული** ინგლისის ნაკრების მუდმივი წევრი გახდა.

**5. გლენ ჯონსონი** („ჩელსიდან" „პორტსმუთში", თანხა: 6,5 მილიონი დოლარი) 2007 წლის 31 აგვისტო.

„ჩელსიში" ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ 51 შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ როგორც კი „პომპეიში" გადავიდა, გულშემატკივართა წინაშე სხვა სახით წარმოჩნდა. ის გახლდათ ერთ-ერთი მთავარი გმირი, როდესაც „პორტსმუთმა" ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიპოვა, „ჰალს" კი დაახლოებით 30 მეტრიდან ისეთი გოლი გაუტანა, რომ სეზონის შედევრად აღიარეს.

მოგეხსენებათ, ჯონსონი ამ ზაფხულს „ლივერპულში" გადავიდა და იქაც გამორჩეულად თამაშობს. აგრეთვე გახლავთ ინგლისის ნაკრების მუდმივი წევრი.

**4. ჟერმენ დეფო** („ტოტენჰემიდან" „პორტსმუთში", თანხა: 14,6 მილიონი დოლარი) 2007 წლის 31 იანვარი.

რაც სამხრეთ სანაპიროზე გადაბარგდა, ყოველ მეორე შეხვედრაში გოლი გაჰქონდა და **პიტერ კრაუჩთანაც** ჩინებული პარტნიორობა ააწყო. დღეს, დეფო კვლავ „სფურზში" დაბრუნდა, სადაც, „პომპეიში" ჩინებულად დაწყებულ საქმეს ჩინებულადვე განაგრძობს.

**3. კარლოს ტევესი** („კორინთიანსიდან" „ვესტ ჰემში", თანხა: 19,43 მილიონი დოლარი) 2006 წლის 31 აგვისტო.

იმ წელიწადს „ვესტ ჰემმა" არგენტინული წყვილის, კარლოს ტევესისა და **ხავიერ მასკერანოს** ერთად შეძენით მთელი მსოფლიო გააოცა. შემდეგ, დაიწყო სეზონი და მასკერანოს ახალ გუნდთან შეგუება გაუჭირდა, ტევესი კი „აპტონ პარკის" გმირად იქცა, განსაკუთრებით სეზონის ბოლო დღეს, როდესაც თვით „მანჩესტერ იუნაიტედს" გაუტანა ერთადერთი გოლი და ლონდონის გუნდი პრემიერლიგაში დატოვა.

**2. ანდრეი არშავინი** („ზენიტიდან" „არსენალში", თანხა: 24,3 მილიონი დოლარი) 2008 წლის 31 იანვარი.

არშავინმა საერთაშორისო ყურადღება 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე მიიპყრო. რუსი „არსენალში" გადასვლისთანავე შეეწყო ახალ გარემოს, ხოლო „ენფილდზე", „ლივერპულისა" და „არსენალის" შეხვედრაში ოთხი გოლის გატანით შეიქნა ბოლო 60 წლის განმავლობაში პირველი, ვინც ამდენი მოახერხა.

**1. უეინ რუნი** („ევერტონიდან" „მანჩესტერ იუნაიტედში", თანხა: 32,4 მილიონი დოლარი) 2004 წლის 31 აგვისტო.

„ევერტონში" 16 წლისამ გაიბრწყინა და აიხდინა კიდევაც პატარაობის ოცნება - „მანჩესტერ იუნაიტედში" აიყვანეს. დღეს მისი საქმე ასეა: იგი „ოლდ ტრეფორდის" ვარსკვლავი გახლავთ, წითელი მაისურით უკვე 100 გოლზე მეტი გაიტანა, გახდა ინგლისის სამგზის ჩემპიონი, მოიგო ლიგის თასი და უეფას ჩემპიონთა ლიგა.



რობინიო



ჟერმან დეფო



ეშლი კოული

სკანდალი

# ხორვატებზე ნადირობის სეზონი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ინგლისელთა და ხორვატთა დაპირისპირებამდე ჯერ მთელი კვირაა, მაგრამ „უემბლის" გარშემო ატმოსფერო მეტად დაიძაბა, რომ მხარეები ერთმანეთს აქედანვე შხამიან ისრებს ესვრიან. ამ შეხვედრის შესახებ გუშინდელ „ლელოშიც" მოგახსენებდით: ერთი, რომ ის სატურნირო თვალსაზრისით არის ძალიან მნიშვნელოვანი - გამარჯვების შემთხვევაში ინგლისის ნაკრები სამხრეთ აფრიკის საგზურს იბევებს. და მეორეც, ინგლისელებს ხორვატებზე შური აქვთ საძიებელი - ორი წლის წინ სწორედ „უემბლიზე" მოუგეს ხორვატებმა ინგლისელებს 3:2, რის გამოც ინგლისი ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩა. მართალია, იმ, ბრიტანელთათვის ავადსახსენებელი შეხვედრის შემდეგ გუნდები 2008 წლის 10 სექტემბერს ზაგრებშიც შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც ინგლისელებმა ყოფილი იუგოსლავიელები ბეჭებზე გააკრეს - 4:1, მაგრამ თუ შურისძიება, ლონდონში არ შედგა, სრულყოფილი არ იქნება. და კიდევ: თავის მხრივ, ზაგრებში ნაწნევი 4:1 ხორვატებისთვის არის შურისძიების საბაბი - ისინიც გვარიანად ილესავენ კბილებს. ერთი სიტყვით, დაძაბულობა აქედანვე იგრძნობა და, როგორც თავშივე მოგახსენეთ, მხარეები ერთმანეთს უკვე საყვედურებით და პრეტენზიებით ავსებენ.


ვლატკო მარკოვიჩი


ლუკა მოდრიჩი

კერძოდ, ხორვატიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა **ვლატკო მარკოვიჩმა** განაცხადა, რომ სანაკრებო შეხვედრის წინ პრემიერლიგაში მოთამაშე ხორვატ ფეხბურთელებზე საგანგებო ნადირობაა გამოცხადებული - ინგლისელები მათ განზრახ ასახიჩრებენ. პრემიერლიგაში დაშავებული ხორვატის მოსაძებნად მარკოვიჩს შორს წასვლა არ დასჭირვებია. ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ტოტენჰემელი" **ლუკა მოდრიჩი** ისე დაშავდა, რომ ექვსი კვირის განმავლობაში მკურნალობა მოუწევს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ 18 თვის წინ საზარლად დაშავებული **ედუარდოც** საფეხბურთო თვალსაზრისით ხორვატია, თუმცა სისხლით ბრაზილიელი. მარკოვიჩი შფოთავდა:

*„ჯერ ედუარდო დაამტვრიეს, ახლა მოდრიჩი. სხვა გზა აღარ მაქვს, იძულებული ვარ, საკუთარ თავს ვკითხო, ეს მართლა შემთხვევითობაა, თუ დაგეგმილი აქციები? ვფიქრობ და ვასკვნი, რომ პრემიერლიგაში მოთამაშე ხორვატები ინგლისისა და ხორვატიის სანაკრებო შეხვედრების წინ შემთხვევით არ იმტვრევიან. მოდრიჩის ამბავი რომ ვნახე, თვალებს არ ვუჯერებდი. ლუკა ხომ ჩვენი გუნდისთვის შეუცვლელი იყო".*

მოგეხსენებათ, თავად მოდრიჩმა ბირმინგემელი ნახევარმცველი **ლი ბოიერი** ტრავმაში არ დაადანაშაულა, მან თქვა, ბოიერი გამგელებული არ დამჯახებია, უბრალოდ არ გამიმართლაო. გასაოცარია, რომ ზემოხსენებულმა ედუარდომ, რომელიც მოედანს სულ ახლახან დაუბრუნდა და უკვე საჯარიმოში საპენალტე თაღლითობისთვის საზოგადოების რისხვაც დაიმსახურა, საშინელი ტრავმა იმავე „ბირმინგემთან" შეხვედრაში მიიღო - ის **მარტინ ტეილორმა** დააშავა.

*„მოდრიჩი ჩვენი ნაკრების ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. ხორვატიის ეროვნული გუნდი მისით იწყება და მასზე მთავრდება. ლუკა ჩვენთვის იგივეა, რაც ანდრეს ინიესტა „ბარსელონასთვის" ან მიხაელ ბალაკი რამდენიმე წლის წინანდელი „ბაიერნისთვის". საუბედუროდ, ახლა ველარაფერს შევცვლით, ერთადერთი ის შეგვიძლია, იხტიბარი არ გავიტეხოთ და „უემბლიზე" საბრძოლველად გავიდეთ,"* - თქვა მარკოვიჩმა.

თუმცა ინგლისელები რისი ინგლისელები იქნებოდნენ, ასეთი ბრალდებები ვინმესთვის შეერჩინათ. მართალია, მათ საპასუხო დარტყმა ასოციაციის პრეზიდენტის დონეზე ჯერ არ უკადრებიათ, მაგრამ ჟურნალისტებმა ზაგრების 4:1 გაიხსენეს - ცხადია, ძალიან მწარედ - და თან ნაკრების ბანაკიდან ასეთი კომენტარი გამოიტანეს:

*„ზაგრებში გამარჯვება ძალიან ლამაზი იყო, ხორვატი ფეხბურთელების საქციელი კი ულირსი. ბიჭებს ის საღამო არ დაავიწყდებათ. ხშირი იყო უხეშობა ისეთი მოთამაშეების წინააღმდეგ, რომლებიც ბურთს ფლობდნენ, განზე იდგნენ ან გადაადგილდებოდნენ. ვერ ვიტყვით, რომ მომავალ შეხვედრაში ჩვენც იმავეთი უნდა ვუპასუხოთ, მაგრამ ორთაბრძოლებში ორმაგი ძალით რომ უნდა ვიმოქმედოთ, გასაგებია. და კიდევ, ორი წლის წინანდელის გამო შურია საძიებელი, ამას წყალი არ გაუვა,"* - თქვა მავანმა, ვისაც დაეჯერება.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერები

## პეიტინგამ ლესკოტი შეცვალა

სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს „ევერტონმა“ მადრიდის „ატლეტიკოსგან“ 6 მილიონ ფუნტად ანუ 9,71 მილიონ ამერიკულ დოლარად ჰოლანდიელი მცველი **ჯონ ჰეიტინგა** შეიძინა. 25 წლის ჰეიტინგა, რომელსაც ნარინჯისფერთა გუნდში 47 მატჩი აქვს ჩატარებული, გუშინ „გუდისონ პარკზე“ ხუთი წლით გადასახლდა. ლივერპულელებმა მას „მანჩესტერ სიტიში“ ამას წინათ გაქცეული **ჯოლეონ ლესკოტის** მეხუთენომრიანი მაისურა მისცეს.

„ევერტონის“ აღმასრულებელმა შეფმა, **რობერტ ილსტოუნმა** განაცხადა: *„ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ მოლაპარაკება შედგა და ჰეიტინგა „გუდისონ პარკზე“ გადმოვიდა. ის ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია. მისი კარიერა მოიცავს ისეთ გუნდებს, როგორებიც „აიაქსი“ და მადრიდის „ატლეტიკოა“. დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ დევიდ მოიესი მოუთმენლად ელის მის საქმეში ჩართვას“.*

## ბენ ჰაიმი პორტსმუთშია

- „პორტსმუთმა“ ოთხწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა ცენტრალურ მცველ **ტალ ბენ-ჰაიმს**. აქამდე ბენ-ჰაიმი „მანჩესტერ სიტის“ წევრი გახლდათ. საინტერესოა, რომ ისრაელის ნაკრების ვარსკვლავისთვის „პორტსმუთი“ მეხუთე პრემიერლიგური კლუბია. „სიტიმდე“ ის გამოდიოდა „ბოლტონის“, „ჩელსის“, და „სანდერლენდის“ შემადგენლობებში.

*„მინდა „პომპეის“ კარგი შედეგების მოპოვებასა და ცხრილში ღირსეულ ადგილზე გასვლაში დავეხმარო,“* - უთხრა მცველმა ჟურნალისტებს.



ივან კლასნიჩი

## კლასნიჩი ბოლტონს კლასს შემატებს

„ბოლტონმა“ ხორვატი თავდამსხმელი **ივან კლასნიჩი** დაიმატა. გუნდს თავდამსხმელი ძალიან სჭირდებოდა. სამ პრემიერლიგურ შეხვედრაში „უონდერერზს“ მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გატანილი და, ალბათ, ამიტომაც წერია ცხრილში ბოლოს წინა ადგილზე, უქულოდ.

„ბოლტონამდე“ კლასნიჩი ფრანგულ „ნანტში“ გამოდიოდა, სადაც ერთ წელიწადში, 33 შეხვედრაში 10 გოლი შეაგდო, თუმცა სულ თავიდან ფორვარდმა, რომელიც დღეს უკვე 29 წლისაა, სახელი ბრემენის „ვერდერში“ გაითქვა.

„ბოლტონის“ მწვრთნელი **გერი მეგსონი:** *„ივანი ის ფეხბურთელია, რომელსაც კარგა ხანია ვაკვირდებოდით და რომლის შეძენაც ძალიან გვინდოდა. ის საუცხოოდ თამაშობს სანაკრებო დონეზეც და გოლების გატანის მაჩვენებელიც მაღალი აქვს“*

**ილია ბაბუნაშვილი**

იუვენტუსი



იტალიაში უკვე დიეგომანიაა

# სრულყოფილი ოპერაცია

### ტიფოზები დიეგოს უკვე პლატინისა და ზიდანს ადარებენ

„რომას“ ტიფოზები ცნობილები არიან იმით, რომ როცა მათი საყვარელი გუნდი იგებს, აღფრთოვანებას უჩვეულოდ გამოხატავენ. შესაბამისად, „რომას“ ტიფოზები იმითაც არიან ცნობილები, რომ თუ მოწინააღმდეგე გუნდი სძულთ, მთელი მატჩის განმავლობაში არნახულად შეურაცხყოფენ. ტურინის „იუვენტუსი“, ჩრდილოელი რეკორდსმენი, „რომას“ ტიფოზერიისთვის ერთ-ერთი ყველაზე საძულველი მეტოქეა და ამრიგად, გასულ უქმეებზე გამართული მატჩის 84-ე წუთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. „ბებერი ქალბატონი“ 3:1-ს იგებდა, როცა ტურინელთა თავკაცმა **ჩირო ფერარამ დიეგო რიბას და კუნია** მოედნიდან გაიყვანა - ფეხბურთელი, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა და „რომას“ 2 გოლი გაუტანა. და რა ქნეს რომაელმა ქომაგებმა? დედაქალაქის პუბლიკა ბრაზილიელ გამთამაშებელს ფეხზე წამოუდგა და აპლოდისმენტებით გააცილა! თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალიან დიდი ხანია, უცხოელ ლეგიონერს სერია A-ში ქომაგების გული ასე სწრაფად აღარ მოუგია - „რომას“ ფანები მოწინააღმდეგე, თანაც, საძულველი მეტოქის ფეხბურთელს ტაშს საუკუნეში ერთხელ უკრავენ ხოლმე.

მატჩის შემდეგ დიეგოს დოპინგკონტროლზე დაუძახეს და შემოწმება, რა თქმა უნდა, წარმატებით გაიარა. ამ დროს კი, იტალიელი ექსპერტები „იუვეს“ ბრაზილიელი ახალწვეულის ქებით ილლებოდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კომპლიმენტი კი თვითონ „იუვენტუსის“ თავკაც ფერარას „წამოსცდა“, რომელმაც თქვა, „ავოკატოს“ დიეგოს თამაში ძალიან მოეწონებოდაო. შეგახსენებთ, რომ „ავოკატოში“ აწ განსვენებული **ჯანი ანიელი** იგულისხმება, „ფიატის“ ყოფილი მფლობელი და „იუვენტუსის“ ექსპატრონი. ანიელი „იუვეს“ ისტორიის სიმბოლოა და იტალიაში დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ 24 წლის დიეგო „ბებერი ქალბატონის“ უდიდეს ისტორიას იდეალურად ესადაგება უკვე ყველა ვარაუდობს, რომ ის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო იუვენტინო იქნება.

*„წლებია, „იუვენტუსში“ ასეთ გრანდიოზულ ფეხბურთელს არ უთამაშია,“* - ამბობს **ჯანლუიჯი ბუფონი** დიეგოზე, რომელიც „იუვემ“ ბრემენის „ვერდერისგან“ 25 მილიონ ევროდ შეიძინა. კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ჟან-კლოდ ბლანმა** კი ბრაზილიელის ტრანსფერს „სრულყოფილი ოპერაცია“ უწოდა. ის, რაც ბოლო წლებში გერმანულ პუბლიკას აღაფრთოვანებდა, ახლა იტალიაში იწვევს ალტაცებას: ფლეიმეიკერი, რომელიც არა მარტო შესანიშნავი რეჟისორი და დრიბლიორია, არამედ მეტოქის შეტევების ჩაშლაზეც ზრუნავს, მოწინააღმდეგეებს ბურთსართმევს და მიუხედავად მოკრძალებული სიმაღლისა (1.74 მეტრი), საკუთარი გუნდის საჯარიმოს წინაც ხშირად ჩნდება ჩამშლელი ნახევარმცველის რანგში.

*„მას არა მარტო ფანტაზია და ტექნიკა აქვს, არამედ გუნდური მოთამაშეა და მცველებსაც ეხმარება,“* - ამბობს ბუფონი. „კორიერე დელო სპორტმა“ „მეფე დიეგო“ უკვე შეადარა ისეთ გიგანტებს, როგორებიც იყვნენ **მიშელ პლატინი, დიეგო მარადონა და ზინედინ ზიდანი.** დიეგომ არა მარტო „რომასთან“, არამედ პირველ ტურში, „კიევოსთანაც“ გენიალურად ითამაშა და ტურინელთა შემადგენლობაში საუკეთესო იყო. „რომასთან“ კი უკვე ორი გოლი გაიტანა და ორივე ერთმანეთზე უკეთესი: კონტრშეტევებზე, დრიბლინგის წყალობით. პირველი გოლის დროს დიდი სლალომი განახორციელა და რომაელთა მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა, მეორე გოლის დროს კი ფინტებით **მექსესი** გააბრუა და მერე აულებელი დაარტყა. სეზონის დაწყებამდე იტალიაში ბევრს საუბრობდნენ წასული ვარსკვლავების, **კაკასა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის** შესახებ. ახლა კი სერია A-ს უკვე ახალი გმირი ჰყავს, რომელმაც საფეხბურთო იტალიას უკვე დაავიწყა კაკაც და იბრაჰიმოვიჩიც.

ორი თამაში, ორი გოლი და ერთი საგოლე პასი - თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიეგო უკვე სრულყოფილი ტურინელია. ზოგადად ფეხბურთში ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება ხოლმე და ბრაზილიელისთვისაც ორი თამაში საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „იუვეს“ ტიფოზების გულები მოეგო. ისინი მასში ახალ ზიდანს ხედავენ. გარკვეულ ნაწილს კი უკვე ზიდანზე უკეთეს ფეხბურთელადაც კი მიაჩნია (?!). აღსანიშნავია, რომ ზიდანს თავის დროზე კვირები დასჭირდა იმისათვის, რომ ახალ გუნდში სრულყოფილად ინტეგრირებულიყო და სერია A-ს სიმკაცრეს შეგუებოდა. დიეგომ კი მაშინვე თავისი ადგილი დაიკავა და უკვე გუნდის ლიდერია.

*„მის გამო გუნდმა ტაქტიკა შეცვალა. ერთი თვის განმავლობაში სპეციალურად იმაზე ვვარჯიშობდით, რომ დიეგო „იუვენტუსს“ იდეალურად მორგებოდა. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად გამოგვივიდა,“* - აცხადებს ტურინელთა დაცვის ბურჯი **ფაბიო კანავარო.**

**ალესანდრო დელ პიერო** ბერდება, ახალგაზრდა **სებასტიან ჯოვინკოს** კი ფერარა ჯერჯერობით სრულყოფილად ვერ ენდობა. შესაბამისად, დიეგოზე უკვე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩვენი იტალიელი კოლეგები ბრაზილიელს ყველაზე მეტად იმის გამო აქებენ, რომ ამ ორ თამაშში დაცვაში ჩასვლას არ თაკილობდა.

*„ჩემპიონთა ლიგა თუ სერია A? მე საკითხს ასე არ ვაყენებ. ჩვენ ორივე ტიტულის მოგება გვინდა,“* - თამამად ამბობს ბრაზილიელი და იქვე დასძენს, - „იუვეში“ თავს არ დავზოგავ. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ძალიან მინდა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში. ბუფონი ამბობს, სეზონის ყველა თამაში ასეთ დონეზე უნდა ჩაატაროსო. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ბრაზილიის ნაკრების დამრიგებელი **კარლოს დუნგა** დიეგოს მუნდიალზე არა მარტო წაიყვანს, არამედ ათამაშებს კიდეც...

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერები

## ბოლო დღეს გაპარებული

პორტსმუთელი ხორვატის **ნიკო კრანჩარის** ხელში ჩასაგდებად „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** „ევერტონს“ 11- საათიანი ბრძოლა მოუგო. ასე და ამგვარად, ნახევარმცველი ამიერიდან „უაით ჰარტ ლეინზე“ ითამაშებს, რაშიც რედნაპმა 2,5 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

ახალ შენაძენზე „სფურზის“ თავკაცმა განაცხადა: *„ძალიან კმაყოფილი ვარ, ეს საქმე რომ გამოვიდა. მე „პორტსმუთიდან“ საუცხოო ფეხბურთელი და ძალიან კარგი ბიჭი გადმოვიყვანე. მინდა შეგახსენოთ, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ ორი ხორვატი უკვე თამაშობს, ლუკა მოდრიჩი და ვედრან ჩორლუკა. ისინი თანამემამულეს ჩვენს გუნდთან შეგუებაში დაეხმარებიან“.*

25 წლის კრანჩარს, რომელიც, თუ ყველაფერი კარგად იქნა, „ტოტენჰემში“, კონტრაქტის თანახმად ოთხ წელიწადს გაატარებს, ხორვატიის ნაკრების ხელმძღვანელებმა ერთი დღით ბანაკიდან გასვლის ნება მისცეს - გუშინ, იგი „სფურზის“ ექიმებმა გამოიკვლიეს.

**ილია ბაბუნაშვილი**



ნიკო კრანჩარი

## კოლინზი ვილაში გადავიდა

ბირმინგემის „ასტონ ვილამ“ ლონდონის „ვესტ ჰემიდან“ მცველი **ჯეიმს კოლინზი** შეიძინა. დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ, როგორც ამბობენ, „ვილამ“ კოლინზში 5 მილიონი ფუნტი გადაიხადა. აღსანიშნავია, რომ კოლინზის შეძენა „სტოკ სიტისაც“ სურდა, მაგრამ ხელი მოეცარა. ბირმინგემელები ახალ ფეხბურთელს საქმეში სარეზერვო გუნდის პირველსავე შეხვედრაში გამოცდიან და ბედის ირონიით, ეს შეხვედრა მათ სწორედ „ვესტ ჰემთან“ უწევთ.

*„ბედნიერი ვარ, რომ გიჟური 24 საათის შემდეგ ყველაფერი დალაგდა,* - თქვა კოლინზმა მას მერე, რაც გაცხადდა, რომ ის უკვე ბირმინგემელია - *„ასტონ ვილა“ საოცარი კლუბია, რომლის რამდენიმე ფეხბურთელი ჩემი ძმაკაცია. „ვესტ ჰემში“ დიდებული პერიოდი გავატარე, მაგრამ ვფიქრობ, ნაბიჯის წინ გადადგმის დრო მოვიდა“*

ძიუდო

# საქართველო ბეჭებზე

## ჩვენი ძიუდო ჩვენი ცხოვრების მორევში

### 18 18-წლამდე ასაკის ძიუდოისტებო ამ წერილს ნუ წაიკითხავთ: გული გაგიტყდებათ

ქართულ ძიუდოში შექმნილ სავალალო ვითარებაზე სათქმელი იმდენია, საიდან დავიწყოთ, არც ვიცით. თუმცა, საიდანაც უნდა დავიწყოთ, ეს იმდენად ღრმა და ვრცელი თემაა, ერთ წერილში ვერც ამოვწურავთ და პერიოდულად ისევ დავუბრუნდებით, დღეს კი იმ გახმაურებულ დაპირისპირებაში მონაწილე სამი მხარის - ფედერაციის, ნაკრების მწვრთნელისა და სპორტის მმართველი სახელმწიფო ინსტანციების როლზე გვსურს საუბარი, რადგან „როტერდამის" სათავედ სწორედ ის დაუმთავრებელი სკანდალები მიგვაჩნია, რომელთა მონაწილეც, ნებით თუ უნებლიეთ, სამივე რგოლი აღმოჩნდა. გუნდი, რომელშიც ისეთი ამბები ხდება, რასაც საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებში მიმდინარე სეზონში ვხედავთ, წარმატების ღირსი არაა, რადგან მაშინ ღირსეულს უნდა წაართვას კუთვნილი. როტერდამში ფორტუნამაც სამართლიანად განსაჯა.

ღმერთია მოწმე, ნიშნის მოგებით არ ვლაპარაკობთ. ეს წერილი მხოლოდ იმ განზრახვით იწერება, ახლა დაშვებულ შეცდომებზე, საგულდაგულოდ მიმალულ პრობლემებზე ქართული ძიუდოს საკეთილდღეოდ ხმამაღლა ვთქვათ, თორემ "როტერდამისებური" მწარე მუშტი კიდევ არაერთხელ მოგვხვდება ცხვირში. კარგად გვესმის, ჩავარდნა ნებისმიერ ნაკრებში ხდება, მაგრამ ამჯერად ბევრი მიზეზი ხელოვნურად შექმნილი გვგონია. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე მარტივი საკითხის მოგვარება პრობლემას ამოწურავდა. მაგალითად, ერთი-ორი სპორტმენის ალაგმვა, თანამშრომელთა უფლებების მკაცრად დელეგირება და უპირველესად - ფინანსური საკითხების. მოუგვარებლობა სერიოზულად გვაეჭვებს. არ ვამბობთ, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება მაინცდამაინც ჩვენი ნათქვამი იქნება, რადგან ამ ჩახლართულ-გასაიდუმლოებული დავიდარაბის სიღრმისეული დეტალები ბოლომდე არც ჩვენ ვიცით - ტრადიციულად, ამაზე ლაპარაკს ყველა მხარე ერიდება და საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანის ნაცვლად დახურულ კარს მიღმა, ერთმანეთში მოლაპარაკებით ცდილობენ მოგვარებას, შედეგი კი როტერდამში გამოჩნდა. ამ გასაიდუმლოებული ვითარების მიუხედავად, ქართულ ძიუდოში შექმნილ დაპირისპირებაზე იმაზე ბევრად მეტი ვიცით, ვიდრე კონფლიქტის მონაწილეებს წარმოუდგენიათ. რამდენად სწორია ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია, ამაზე დისკუსიისთვის ნებისმიერ მხარესთან მზად ვართ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, დახურულ თემებს ტაბუ ავხსნათ და განხილვის პრეცედენტი დავაფიქსიროთ. ვიცით, რომ სალაპარაკო ბევრს დაუგროვდა, მაგრამ თავს იკავებს.

#### ფედერაცია

ვფიქრობთ, ფედერაცია ბევრად პრინციპული რომ ყოფილიყო და სწორი პოზიცია დაეკავებინა, ნაკრებში ეს კონფლიქტი ასე სერიოზულად არ გაღვივდებოდა. ცოტა ძნელია იმის მტკიცება, ფედერაციამ რამდენად შეუწყო ხელი ამ ყველაფერს, მაგრამ გარკვეული ფაქტების შედარება გვაფიქრებინებს, ბევრი რამ მათი ნებართვითაც ხდებოდა. ფედერაციას რომ ნაკრებში ვითარების არევა სურდა, ამაზე პირველად ხმამაღლა ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** ილაპარაკა 15 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც პირველად დაუპირისპირდა ფედერაციას, უფრო სწორად, პრეზიდენტ **დილარ ხაბულიანსა** და პირველ ვიცე-პრეზიდენტ **დავით ბერძენიშვილს**. ამ დროს ნაკრები ჯერ კიდევ ხაბარელის მხარეს იყო, მაგრამ მერე გავრცელდა ხმები, მთავარი მწვრთნელი ბიჭებს ფულს „უტეხავსო" და მონასტერიც აირია... საინტერესოა, ვის აძლევდა ხელს ამ ხმების გავრცელება, მაგრამ ამას წინ კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი უძღოდა - 14 იანვარს, ზემოაღნიშნული პრესკონფერენციის წინა საღამოს მწვრთნელებმა ფედერაციას ბერძენიშვილის გადაყენების მოთხოვნით განცხადებით მიმართეს, მაგრამ მალევე ერთმა მწვრთნელმა ხელმოწერა უარყო. მაშინ მისი ვინაობა არ დაასახელეს. მალევე გაირკვა, რომ ეს ნაკრების მწვრთნელი **გურამ მოდებაძე** იყო, რომელიც ცოტა ხანში ხაბარელს დაუპირისპირდა და შეკრებაც მიატოვა... საინტერესოა, რომ მოჯანყეთა უმეტესობა მოდებაძის პირადი შეგირდია...

> ***კარგად გვესმის, ჩავარდნა ნებისმიერ ნაკრებში ხდება, მაგრამ ამჯერად ბევრი მიზეზი ხელოვნურად შექმნილი გვგონია. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე მარტივი საკითხის მოგვარება პრობლემას ამოწურავდა. მაგალითად, ერთი-ორი სპორტმენის ალაგმვა, თანამშრომელთა უფლებების მკაცრად დელეგირება და უპირველესად - ფინანსურ საკითხებში.***

სიმართლე გითხრათ, ვის რა „მოუტეხა" ან „წაუტეხა" ხაბარელმა, ამის ბოლომდე გარკვევა ვერ შევძელით - ფინანსური დეტალები ისეა აღრეული, ჩვენ კი არა, მგონი, თვითონ ფედერაციაც ვერ ერკვევა კარგად, თორემ ბევრი რამ არ მოხდებოდა. სამაგიეროდ, კარგად ვიცით, რა თანხის მითვისებაც მწვრთნელს დააბრალეს. მან კი ბოლო თეთრამდე გაწერილი სია დადო, ვინ მიიღო ის ფული. ლაპარაკი იყო მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე გამარჯვებისთვის საერთაშორისო ფედერაციიდან ჯილდოდ მიღებულ 50 000 დოლარსა და ქვეყნის ხელისუფლების 60-ათასლარიან პრემიაზე, თუმცა მოგვიანებით სხვა სახის ფინანსებიც ამოტივტივდა - შეკრებებზე სასტუმროს ფულის ხელით ჩატანა, მწვრთნელებისთვის განკუთვნილი ხელფასები, ნაკრების მწვრთნელის წილი ზემოაღნიშნული პრემიებიდან... იქნებ ვცდებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ნაკრების მწვრთნელს არც სასტუმროში უნდა მიჰქონდეს ფული ხელით და არც პრემიებს უნდა ანაწილებდეს, მაგრამ ესეც, უპირველესად, ფედერაციის ბრალი გვგონია და არა ხაბარელის - მსგავს საქმეებს ის უნდა აგვარებდეს. ან, ფულის ხელით ჩატანა რომელი საუკუნეა?! ქართულ სპორტში და იმავე ძიუდოში წლების განმავლობაში ასე ხდებოდა და ძალიან ცუდი, ეს ტრადიცია ახლაც თუ გრძელდება, მაგრამ წარმოუდგენლად მიგვაჩნია, ფედერაციის პრინციპულობის შემთხვევაში მწვრთნელს წინააღმდეგობა გაეწია! არც იმის გარკვევაა ძნელი, ვის რა პროცენტი ეკუთვნის პრემიიდან და ძალიან გვიკვირს, ეს საკითხი გაურკვეველი რატომ დარჩა. ან, ხაბარელმა თავის წილად ზედმეტი თუ აიღო, დააბრუნებინა ვინმემ ის თანხა?

მთელი ეს პერიოდი ფედერაციიდან ხაბარელის მისამართით წარმოუდგენელი ბრალდებები ისმის! ფედერაციაში ხაბარელი თუ ამდენს წყვეტდა - ანაწილებდა პრემიებს, ნიშნავდა ხელფასებს; განსაზღვრავდა, ვის ემუშავა მწვრთნელად და ვის - არა, თვითონვე ადგენდა ტურნირებზე წამსვლელი დელეგაციების სიებს, მათ შორის - ოლიმპიადაზეც და, რაც ყველაზე მეტად გვიკვირს, თურმე არა მავანთა, არამედ ჟურნალისტების წასვლა-არწასვლაც მისი გადასაწყვეტი იყო, მაშინ იქ ხაბარელი ყოფილა ყველაფერი - პრეზიდენტიც, ვიცე-პრეზიდენტებიც, გენერალური მდივანიც, ალმასკომიც...

ვფიქრობ, ფედერაციას მაშინაც ბევრად უფრო მკაცრი პოზიცია უნდა დაეკავებინა, როცა ნაკრებმა ბაკურიანის შეკრება მიატოვა და ევროპის პირველობისთვის მოსამზადებელი პროცესი სერიოზულად შეაფერხა; როცა მწვრთნელს დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ და, მოარული ხმებით, ოთახშიც კი ჩაკეტეს; როცა ზოგიერთები თანაგუნდელებს ევროპის პირველობაზე გამოსვლის შემთხვევაში „კოჭების დახვრეტით" ემუქრებოდნენ და იარაღსაც ატრიალებდნენ... ბუნებრივია, ფედერაციას სპორტსმენთა პრეტენზიების განხილვაც დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო და მათი უფლებების დასაცავად ყველაფერი ეღონა, მაგრამ, როცა პროტესტმა რეჟიმის დარღვევის სახე მიიღო, მაშინ ოლიმპიური კომიტეტივით მუშტი მაგიდაზე უნდა დაერტყა და სადამსჯელო ღონისძიებები გაეტარებინა. დისციპლინის დასამყარებლად მწვრთნელის გვერდში ამოდგომაც მისი ვალი იყო. ცხადია, როცა ეს არ გააკეთა, ამით ცუდ პროცესებსაც მისცა სტიმული და ჩვენც უფრო დაგვაეჭვა. ამბოხებულთა ზოგიერთ მოთხოვნაში ფედერაციის მაღალჩინოსანთა ფრაზებიც იკითხებოდა, რაც მიგვანიშნებს, რომ ერთიან პოზიციაზე იდგნენ... მაგალითად, ასეთი იყო ევროპის პირველობის წინ დასკვნითი შეკრების თბილისში, „ბატესტაში" და არა ბორჯომში გავლა. მოსამზადებელი გრაფიკი სეზონის დასაწყისში იწერება და ფედერაცია ამტკიცებს. საკითხავია, ბორჯომული შეკრება რატომ აღმოჩნდა მიუღებელი ბუნტის შემდეგ და არა განრიგის დამტკიცებისას? დაგვეთანხმებით, ფედერაციისა და ამბოხებულთა აზრების ასეთი თანხვედრა დაეჭვების საფუძველს იძლევა. თუ ნაკრებს მართლაც ფედერაცია აბუნტებდა, მაშინ მისი დუმილი გასაგებია, მაგრამ აქ ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს - როცა ბიჭებმა შეკრება მიატოვეს, დილარ ხაბულიანი პირადი პრობლემების გამო საზღვარგარეთ იმყოფებოდა და სასწრაფოდ დაბრუნდა საქართველოში, მერე კი ხვეწნად ექცა ბიჭებს... რამდენადაც ამ ეპიზოდს ვიცნობთ, გვიჭირს მის გულწრფელობაში დაეჭვება და არ გამოვრიცხავთ, მართლა არ იყო საქმის კურსში. თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, ნაკრებმა ასეთ რადიკალურ ნაბიჯზე წასასვლელად გარანტიები არა ფედერაციის, არამედ სულაც აღმასრულებელი ხელისუფლებისგან მიიღო, რომელთანაც ერთ-ერთ მათგანს საკმაოდ ახლო ურთიერთობა აქვს. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს საქმის ნამდვილი ვითარება, ხაბულიანს ბევრად მეტი სიმკაცრე მართებდა, თუმცა, იმავე მოარული ხმებით, ბოლოს მთელი ფედერაცია ამბოხებულებთან გარიგებაშიც შევიდა.

ვფიქრობთ, ამ ვითარებაში ბევრად მეტი ევალებოდათ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებს - **თემურ ხუბულურსა** და **შენგელი ფიცხელაურს**. ისინი განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობენ და ძიუდოში ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებზე ბევრად მეტი ეთქმით. პირადად მე მათგან სულ ველოდი სათქმელის ღიად თქმას, ოღონდ არა ვინმეს მისამხრობად, არამედ - მდგომარეობის გამოსასწორებლად. ფედერაციის ხელმძღვანელობა გარკვეული მოვალეობაა, რაშიც დუმილი ნამდვილად არ შედის.

ფედერაცია იმ ჟურნალისტებს, რომლებიც მხარს არ ვუჭერდით ხაბარელის გადაყენებას, არაოფიციალურად გვაბრალებდა მწვრთნელთან გარიგებას. მათ მიერ წაყენებულ ბრალდებებზე ხაბარელმა თავიც იმართლა, ახლა კი ჯერი ფედერაციაზეა - დაგვიმტკიცონ მწვრთნელის დანაშაული და მერე ჩვენ დავუმტკიცებთ, რომ ხაბარელის კი არა, სიმართლის მხარეს ვდგავართ. ცოდვა გამხელილი სჯობს და, პირადად ჩემი „დავერბოვკება" ხაბარელმა არა და, ფედერაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა კი ნამდვილად სცადა.

#### მწვრთნელი

შოთა ხაბარელის მთავარ ნაკლად დიპლომატიური დუმილი მიმაჩნია. მისგან ძალიან ბევრჯერ ველოდებოდით სიმართლის ხმამაღლა თქმას, მაგრამ, მუდამ ერიდებოდა მოტივით, მდგომარეობა არ გავამწვავოთო. თუმცა ის ყოველთვის ჩუმად არ იყო. როცა შოთა ხაბარელი ხარ და სიტყვაც გეთქმის, კიდეც უნდა თქვა. მით უფრო, საზოგადოების მხარდაჭერაც ექნებოდა როგორც წარმატებულ მწვრთნელს. ამის ნაცვლად, უმეტესად გაუმართლებელ დუმილს არჩევდა. მეტიც - მან **კედელაშვილის** ინციდენტზე კომენტარიც არ გააკეთა - პირდაპირ შეფასებებს ან ზოგადი დიპლომატიური ფრაზებით აერიდა, ან - საერთოდ გაექცა ჟურნალისტებს. მან გაუმართლებელი უპრინციპობა გამოიჩინა ნაკრების დაკომპლექტებისასაც და ახლა ამის შედეგს აუცილებლად მოიმკის - წარუმატებლობისთვის პასუხსაც მოსთხოვენ. არადა, მოუმზადებელი ხალხი შინ რომ დაეტოვებინა, თავის გასამართლებლად ბევრად მეტი საბაბი ექნებოდა. ვფიქრობ, ის არც ფინანსურ საკითხებში უნდა ერეოდეს - ამისთვის ფედერაცია არსებობს. იგი ახლაც მოიპოვებს საზოგადოების ნდობას, თუ სიმართლეს იტყვის, თორემ ქომაგი ნამდვილად არ დაიჯერებს, რომ ვინც წაიყვანა, ყველა კარგად იყო მომზადებული და მხოლოდ მსაჯებმა დაგვჩაგრეს.

> ***ფედერაციას მაშინაც ბევრად უფრო მკაცრი პოზიცია უნდა დაეკავებინა, როცა ნაკრებმა ბაკურიანის შეკრება მიატოვა და ევროპის პირველობისთვის მოსამზადებლი პროცესი სერიოზულად შეაფერხა; როცა მწვრთნელს დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ და, მოარული ხმებით, ოთახშიც კი ჩაკეტეს; როცა ზოგიერთები თანაგუნდელებს ევროპის პირველობაზე გამოსვლის შემთხვევაში „კოჭების დახვრეტით" ემუქრებოდნენ და იარაღსაც ატრიალებდნენ...***

იყო თუ არა ხაბარელი დამოუკიდებელი ნაკრების დაკომპლექტებისას? ეს კითხვა კიდევ დიდხანს დარჩება საზოგადოებაში. მწვრთნელი ყოველგვარ ჩარევას კი უარყოფს, მაგრამ, როცა როტერდამში წასვლამდე ტელეფონით ვესაუბრე, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საკუთარი სურვილის წინააღმდეგ იქცეოდა. ერეოდნენ თუ არა მწვრთნელის საქმეში, ამის გამორკვევა ძალზე იოლია, თუ პროკურატურის სანქციის საფუძველზე ზემდგომნი მის ტელეფონზე განხორციელებულ ზარებს გადაამოწმებენ, მაგრამ გვეეჭვება, ეს მოხდეს.

ხაბარელი ის მწვრთნელია, რომელმაც საქართველოს ნაკრები ევროპაში უძლიერესად აქცია, მსოფლიოს მასშტაბით კი მხოლოდ იაპონიას თუ ჩამოუვარდება (ესეც საკამათოა, რადგან მათთვის გუნდურშიც გვიჯობნია და პირადის შედეგებითაც). თავის დროზე მის გაშვებას ამიტომაც ვეწინააღმდეგებოდით და ნაკრებიდან ასე ნაგებულად წასასვლელად ახლაც გვენანება, მაგრამ მართვის სადავეებიც იმდენად გაექცა... როცა ნაკრების წევრები ისე ჩხუბობენ, დალილავებულები საერთაშორისო ტურნირში საჭიდაოდ ველარ მიდიან; როცა მთელი სეზონის განმავლობაში გუნდის ნაწილი სისტემატურად აცდენს ვარჯიშებს, აწყობს ალტერნატიულ შეკრებებს, ხოლო სპორტსმენები მთავარი მწვრთნელის გვერდის ავლით ისეთ ტურნირებზე მიდიან, რომლებიც საერთოდ არ შედის ნაკრების მოსამზადებელ გეგმაში; როცა მწვრთნელი, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, ერიდება შეგირდების კრიტიკას, სადავეების გაქცევა თუ არა, სხვა რა უნდა ვუწოდოთ. ამასთან, ნაკრებში უკვე იმდენად აირია სიტუაცია, იმდენად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ჩატეხილი ხიდის აღდგენა ძალიან გვეეჭვება.

ჩვენი ინფორმაციით, მსოფლიოს ჩემპიონატამდე კარგა ხნით ადრე ხაბარელის ბედით ხელისუფლების უმაღლეს წრეებშიც დაინტერესდნენ, როგორც სახელოვანი მწვრთნელისა და მკაცრად მოითხოვეს ობიექტურობის დაცვა. ვერ გეტყვით, „ზევით" მისი ბედი გადაწყვეტილია თუ არა, მაგრამ დარჩენის შემთხვევაში მეტი პრინციპულობა და სამართლიანობა მართებს. მას წარმატებით მუშაობა და ნაკრების ჩამოყალიბება ნამდვილად შეუძლია, არც მის სამწვრთნელო კვალიფიკაციას ვაყენებთ ეჭვქვეშ, მაგრამ დისციპლინის გარეშე ასეთი ჩავარდნები ყოველთვის ექნება. უდისციპლინოდ ნებისმიერი საქმე განწირულია. თუმცა ყველაზე უფრო დიდი უსამართლობა ის იქნება, ხაბარელი გაუშვან და ფედერაციამ ხელები დაიბანოს.

#### სპორტის დეპარტამენტი

ამ უწყებასაც ბევრად მეტი სიმკაცრე მართებდა და საჭირო იყო, ისევე ოპერატიულად დაესაჯა აბუნტებული სპორტსმენები, როგორც ეს ოლიმპიურმა კომიტეტმა გააკეთა. მათ საკმაოდ გვიან მოუხსნეს ხელფასები, ისიც - გარკვეული წრეების ჩარევის შემდეგ, მაგრამ მალევე აღუდგინეს, პირობა მოგვცეს, რეჟიმს აღარ დაარღვევენო! ვფიქრობთ, სპორტსმენებს მათგან მეტი სიმკაცრე რომ ეგრძნოთ კანონიერი ჩარევით, ბევრი რამ გაცილებით ადრე და იოლად მოგვარდებოდა. პოზიცია, არაადეკვატური მოგვეჩვენა კედელაშვილის ინციდენტთან დაკავშირებითაც - სახელმწიფო სტრუქტურას ნამდვილად ევალება თავისუფალი მედიის, სიტყვის თავისუფლების დაცვა და ამით დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობა.

ვიცით, რომ სპორტის დეპარტამენტი ერთ-ერთი ის სტრუქტურაა, რომელიც ქართულ ძიუდოში შექმნილი მდგომარეობის განხილვას აქტიურად მოითხოვს. ამ სურვილს ნამდვილად მივესალმებით და ვიმედოვნებთ, საერთო ძალისხმევით ვითარება რეალურად დალაგდება და არა მოსაჩვენებლად, რაც მუდმივი აფეთქების საშიშროების წინაშე დაგვტოვებს.

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი

*ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან*

# გავშიფროთ ბელარუსი



**მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრებს პლეი ოფში საქმის გარკვევა ბელარუსთან მოუწევს, მეტოქეზე არაერთი სტატია დავწერეთ. ბელარუსზე საუბრისას ძირითადად ინტერნეტ-გამოცემების არსებულ ინფორმაციებს ვეყრდნობოდით. ვფიქრობთ, არანაკლებ საინტერესოა მეტოქის მატჩების მნახველის მონათხრობი – იგორ კოკოშკოვის ასისტენტ დავით უსტიაშვილს მთავარ მწვრთნელთან ერთად ბელარუსის შეხვედრების არაერთი ჩანაწერი აქვს გაშიფრული. მოვუსმინოთ ბატონ დავითს:**

- ბელარუსს კარგი ნაკრები ჰყავს. მათი შვეიცარიასთან მატჩის ჩანაწერი გვაქვს, რომელშიც 66:70 დათმეს. თუმცა ბელარუსებმა ჯგუფში ყველა დანარჩენი მატჩი მოიგეს. გარდა ამისა, სეზონის დაწყებამდე მათ ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე ჩერნოგორიასთან დამატებით დროში წააგეს... ჩერნოგორია რა დონის გუნდია, ეს ყველას კარგად მოეხსენება.

**- ბელარუსის პლუსი რა არის?**

- მსროლელი გუნდია. ტრადიციულად ბელარუსები აქცენტს პერიმეტრიდან ტყორცნაზე აკეთებდნენ და ახლაც მათი პლუსი გარედან თამაშია. სწორედ ამის წყალობით მოიგეს 7 მატჩი. ჩვენც სერიოზული ბრძოლისთვის ვემზადებით.

**- გვაქვს სათანადო რესურსი ტანდაბალი ბელარუსების შესაჩერებლად?**

- ეს უშუალოდ მატჩებისას გამოჩნდება.

**- უკანა ხაზში ბელარუსების წამყვანი კალათბურთელი ვინ არის?**

- კუდრიავცევი. კარგი მოთამაშეა. შეტევათა უმეტესობას სწორედ ის იწყებს.

**- უკანა ხაზისგან განსხვავებით, მეტოქეს ფარქვეშ საქმე დალხინებულად არ აქვს...**

- მათ ერთი ახალგაზრდა ცენტრი ჰყავთ, მიკალაი ალიაკსეიუ, რომელიც უნგრეთში თამაშობს. წესით, მან დიდი თავსატეხი არ უნდა გაგვიჩინოს. თუმცა მეტოქეს წინა ხაზში გუნდის ლიდერი ჰყავს – ალექსეი მეშერაკოვი, რომელიც რუსეთის ჩემპიონატში თამაშობს.

**- მეშერაკოვი კონკრეტულად რომელ პოზიციაზეა?**

- მძიმე ფორვარდია. იგი საკმაოდ გამოცდილი კალათბურთელია.

**- წესით, წინა ხაზში პრობლემები არ უნდა გვქონდეს...**

- სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ფარქვეშ უპირატესობა უნდა გვქონდეს. ბელარუსებს მოხსნებში არცთუ მაღალი მაჩვენებელი აქვთ, ჩვენ კი ამ კომპონენტში ლიგაში პირველები ვართ. თუმცა, მთავარია არა სტატისტიკა, არამედ კონკრეტული მატჩისთვის გუნდის მომზადება. თამაშის დღეს ვინც უკეთესად ითამაშებს, ის გაიმარჯვებს. პლეი ოფში ხომ ერთმა მატჩმა შეიძლება ყველაფერი გადაწყვიტოს.

**- ბელარუსის დაცვა გადაულახავი ბარიერი ხომ არ არის?**

- ისინი გუნდურ კალათბურთს თამაშობენ და თავს მწყობრად იცავენ. დაცვაში კარგად დგანან. თუმცა ჩვენ ჩვენსას ვცდილობთ.

**- სხვათა შორის, ბოლო მატჩებში საქართველოს ნაკრების დაცვაზეც ვერ ვიტყვით აუგს...**

- საერთო ჯამში დაცვაში ჩვენი გარჯით კმაყოფილი ვარ. კარგად გავისარჯეთ სლოვაკეთთან და შვედეთთან, თუმცა გვქონდა ჩავარდნები, რომლებზეც ვმუშაობთ...

**- ყველაზე დიდი ჩავარდნა ლუქსემბურგთან მოგვივიდა – მესამე პერიოდის დასაწყისში მეტოქეს სამი სამქულიანი ჩავაგდებინეთ...**

- არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ ეპიზოდში დიდი სხვაობით ვიგებდით. ასეთ დროს მეტად ძნელია კონცენტრაციის შენარჩუნება. თუმცა ბიჭებმა საბოლოოდ ეს შეძლეს.

**- შაბათს სერიოზული ბრძოლა გელით, მზადაა გუნდი ბელარუსში სათამაშოდ?**

- თითოეული კალათბურთელი აცნობიერებს შაბათის მატჩის მნიშვნელობას და საქმეს მონდომებით ეკიდება. სათანადო კონდიციებშიც ვართ და ვიმედოვნებ, თბილისური შეხვედრის შემდეგ ქომაგს გავახარებთ.

**- ბელარუსული მატჩის მერე?**

- სტუმრად რომ გავიმარჯვოთ, დამშვიდებულნი მაინც ვერ ვიქნებით, რადგან გასვლაზე თუნდაც 10-ქულიანი გამარჯვება საბოლოო წარმატების გარანტიად არ გამოდგება. მთავარი ბრძოლა თბილისში გველის.

**- ყველა ჯანმრთელადაა?**

- თორნიკე შენგელიას ვირუსი აქვს და შინ მკურნალობს. ვიმედოვნებთ, რომ იგი ბელარუსში გამგზავრებამდე გამოჯანმრთელდება და ჩვენთან ერთად გამოემგზავრება. არის მცირე ტრავმები, თუმცა იმდენად სერიოზული არა, რომ ვინმეს მოედანზე გასვლაში ხელი შეუშალოს.

**- რადგან ტრავმებზე ვსაუბრობთ, მანუჩარ მარკოიშვილზე გკითხავთ. იგი იტალიიდან საქართველოში აღარ დაბრუნდება?**

- მანუჩარსაც და ჩვენც ძალიან გვსურდა, მოედანზე გასვლა შესძლებოდა. შარშან უკრაინის ჩემპიონატის მატჩებში მარკოიშვილის თამაშს თვალყურს ვადევნებდი. იგი ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ძალაა. დასანანია, რომ წლეულს მის გარეშე გვიწევს თამაში, ჯანმრთელობის პრობლემის გამო მანუჩარი ვერც აქამდე დაგვეხმარა და ვერც ბელარუსთან მატჩებში ითამაშებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი

ლეგიონერები

# ქართველთა ჩამოქვეითების სამი მიზეზი



წლეულს საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში უჩვეულოდ ბევრი ქართველი მორაგბე იასპარეზებს. ამ დივიზიონის 12 გუნდში 26 ქართველი ირიცხება, რაც რეკორდული რაოდენობაა.

ჩვენი მორაგბეების ასეთ სიმრავლეს ნახევრად სამოყვარულო დივიზიონში რამდენიმე ახსნა აქვს. ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ პროფესიული კლუბები ფინანსური კრიზისის პირობებში უცხოელი მორაგბეების რაოდენობას ამცირებენ და უპირატესად ადგილობრივ მორაგბეებს ასაქმებენ.

მეორე: საფრანგეთის რაგბის პროფესიულმა ლიგამ ახალახან მიიღო კანონი, რომელიც უცხოელი მორაგბეების რაოდენობას ელიტურ, პირველ და მეორე დივიზიონებში ხელოვნურად ამცირებს. შესაბამისად, ჩვენს მორაგბეებს ამ დივიზიონებში მოხვედრა მომავალშიც ძალიან გაუჭირდებათ, რადგან კონკურენცია ძალიან დიდია. თავად განსაჯეთ: ფრანგული კლუბები სავსეა არგენტინელი, რუმინელი, იტალიელი, სამოელი, ფიჯელი, ახალზელანდიელი, ტონგელი და ბრიტანელი მორაგბეებით. ამდენად, ელიტაში თამაში მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულების ხვედრი იქნება.

მესამე, რაც ხელს უშლის ჩვენი მორაგბეების დაწინაურებას ფრანგულ სარაგბო დივიზიონებში, პრესტიჟის შელახვაა. საქართველოს ნაკრების მიერ შოტლანდიურ და ამერიკულ ტურნეებში ნაჩვენებმა თამაშმა ბორჯღალოსანთა ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეარყია, რაც მსოფლიო რეიტინგშიც ნათლად აისახა. ჩვენი გუნდი მე-13 ადგილიდან მე-17-ზე ჩამოქვეითდა.

ნიშანდობლივია, რომ უკვე ნახსენები მიზეზებით, ანალოგიური პრობლემები საფრანგეთში ყველა ექსპორტიორ სარაგბო ქვეყანას შეექმნა.

ახლა უშუალოდ ფედერალ 1 დივიზიონის შესახებ. აქ 48 გუნდი 6 ჯგუფშია განაწილებული. მეორე ჯგუფურ ეტაპზე თითოეული ჯგუფიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო გავა. შეიქმნება ისევ ექვსი ჯგუფი, რომლებშიც ამჯერად ოთხ-ოთხი გუნდი იქნება განაწილებული. ორწრიანი გათამაშების შემდეგ პლეი ოფში ექვსი პირველადგილოსანი და ორიც საუკეთესო მეორეადგილოსანი გუნდი მოხვდება. პლეი ოფის ფინალისტები კი ელიტური, მეორე დივიზიონის საგზურს მოიპოვებენ.

ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან მეორე დივიზიონში აღზევებისთვის, სავარაუდოდ, **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიე“, **გია ლაბაძის** „მარსელი“, **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, დავით დადუნაშვილის** „პერიგო“ და „ყველაზე ქართული“ ფრანგული კლუბი, **შალვა სუთიაშვილის, რეზო გიგაურის, დავით აშვეთიას, ალექსანდრე ესაკიას, არჩილ კობაურისა** და **გიორგი ნემსაძის** „მასი“ იბრძოლებენ. შეგახსენებთ, რომ „მასის“ მთავარი მწვრთნელიც ქართველია. საქართველოს ნაკრების ყოფილი მეორეხაზელი **ვიქტორ დიდებულიძე** პარიზელთა გუნდს მეორე სეზონია, თავკაცობს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების მთელი უკანა ხაზი ამ სეზონს ფედერალ დივიზიონში გაატარებს. ამათგან სამი სულაც ფედერალ-2 დივიზიონში დაქვეითდა. **მერაბ კვირიკაშვილი** და **მალხაზ ურჯუკაშვილი** ფედერალ 2-ის „ფიჟაკის“ ღირსებას დაიცავენ. ბირჯღალოსანთა კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე** ამავე დივიზიონის „ოსერში“ ითამაშებს.

ფედერალ 1 დივიზიონში „სენტ ეტიენის“ ღირსებას დაიცავს ჩვენი ეროვნული ნაკრების გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი**, რომელიც აქ ელიტური, მეორე დივიზიონის „აჟენიდან“ გადმობარგდა. „ნიცაში“ ითამაშებს შუამარბი **დავით კაჭარავა.** მეორე დივიზიონის „დაქსიდან“ „შამბერიში“ გადავიდა ბორჯღალოსანთა კიდევ ერთი შუამარბი **ირაკლი გიორგაძე.** უკვე მესამე სეზონია, „პერიგოს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა **თედო ზიბზიბაძე.**

გათამაშება ფედერალ 1 დივიზიონში 20 სექტემბერს დაიწყება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საფრანგეთი. ფედრალ-1.**

ორლეანი: ავთანდილ კოპალიანი; სენ ნაზერი: თენგიზ გელანტია; ლილი: დავით ბოლღაშვილი, სოსო ნიკოლაენკო; მასი: დავით აშვეთია, ალექსანდრე ესაკია, რევაზ გიგაური, არჩილ კობაური, გიორგი ნემსაძე, შალვა სუთიაშვილი; ბეზიე: ლაშა მალაღურაძე; ნიცა: დავით კაჭარავა; სენტ ეტიენი: შოთა მელიქიძე, შოთა საყვარელიძე, ირაკლი მაჩხანელი; შამბერი: ირაკლი გიორგაძე, ვასილ კაკოვინი, ვახტანგ მაისურაძე; მარსელი: გია ლაბაძე; ვალანსი: გიორგი მჭედლიშვილი; ლე ბუგე: დიმიტრი ბასილაია, დავით გასვიანი, ნიკოლოზ მალალდაძე; პერიგო: დავით დადუნაშვილი, ირაკლი ნინიძე, თედო ზიბზიბაძე

**ფედერალ-2**

ოსერი: ირაკლი აბუსერიძე; დომონი: ზურაბ მჭედლიშვილი, ალექსანდრე მარგველაშვილი; კარკუირანი: ილია ზედგინიძე; ფიჟაკი: მერაბ კვირიკაშვილი, მალხაზ ურჯუკაშვილი




ძიუდო

*მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი*

# ჩვენზე უარესებიც არსებობენ

ქართული ძიუდოს დღევანდელობის შემხედვარეთ, საქმე სასიხარულოდ ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ ჩვენს იქით, მსოფლიოს ძიუდოში ისეთი ლაფსუსებიც ხდება, თავის დამშვიდებაც შეგვიძლია, ვილაცას რალაცაში ხომ ვჯობივართო. იმ დროს, როცა ჩვენ მართლაც მაღალ დონეზე ვუმასპინძლეთ ევროპის ორ პირველობას - უფროსებში ძიუდოისტებისას და ახალგაზრდებში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებისას, ჩვენზე ბევრად დალაგებულმა და დიდ ტურნირებს გაშინაურებულმა საბერძნეთმა ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას თავი ვერ გაართვა და ეს უფლება პარიზს გადაულოცა. ათენს მსოფლიოს პირველობისთვის 22-25 ოქტომბერს უნდა ემასპინძლა, მაგრამ ამ დღეებში ქალაქში ჩასულმა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ინსპექტორებმა მოსამზადებელი ტემპები არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს და მასპინძლობის უფლება ჩამოართვეს. პარიზთან ერთად ახალი პრეტენდენტი ამერიკული ორლანდოც იყო, მაგრამ ზემდგომთ არჩევანი საფრანგეთზე შეაჩერეს. აღსანიშნავია, რომ ეს საერთაშორისო ფედერაციის ინსპექტორთა პირველი ვიზიტი არ იყო ათენში და ასეთ მკაცრ ვერდიქტამდე მასპინძლებს მკაცრი გაფრთხილებაც არაერთხელ მისცეს.

ბერძენთაგან მსგავსი უთავბოლობა არ გვიკვირს - ახალგაზრდული მსოფლიოს პირველობა კი არა, 2004 წელს კინაღამ ოლიმპიადა ჩაშალეს, სპორტულ არენებს იმდენად ნელა აშენებდნენ. პრაქტიკულად, სამუშაოები მაშინ ოლიმპიადის მიმდინარეობისას დაასრულეს, თუმცა ახლანდელი უგერგილობა მაინც გვიკვირს - მსოფლიოს პირველობამდე ორი თვეა დარჩენილი, ამ პერიოდში კი მონდომებული კაცი ახალ დარბაზს ააშენებდა, არათუ კოსმეტიკური რემონტის ჩატარებას მოახერხებდა. საკვირველია, იმხელა ათენში, ნაოლიმპიადარ ქალაქში ერთი ისეთი დარბაზი როგორ ვერ გამოძებნეს, თუნდაც ამ ორ თვეში გაემზადებინათ და ასეთი სირცხვილი არ ეჭამათ! თბილისში საერთაშორისო სტანდარტების არათუ შესაფერისი, მიახლოებულიც კი მხოლოდ სპორტის სასახლეა, მაგრამ ამ პერიოდში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მისი გამზადებაც მოესწრებოდა.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი

# რევაზ ჩომახიძე საქართველოს დაუბრუნდა

შვეიცარიულ ლუგანოში 5 სექტემბრიდან წყალბურთელ ვაჟთა ევროპის B ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩები დაიწყება. ამ შეჯიბრებისთვის მთავარი მწვრთნელის — **ვლადიმერ ისელიძის** ხელმძღვანელობით მონდომებით ემზადება ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომელიც ამჟამად საფრანგეთში იმყოფება და მასპინძლებთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას გადის. გუშინ საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ბითაძემ** მეტად სასიამოვნო ინფორმაცია მოგვაწოდა — საწყლოსნო სახეობების მსოფლიო ფედერაციის (ლენ-ის) გადაწყვეტილებით, ორგზის ევროპის საუკეთესო წყალბურთელი **რევაზ ჩომახიძე** ლუგანოში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებს, ხოლო 5 ნატურალიზებულ წყალბურთელს ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა 2010 წლის პირველი მარტიდან შეეძლება.

სპორტის დამსახურებული ოსტატი რევაზ ჩომახიძე 1973 წელს არის დაბადებული (სიმაღლე 196 სმ, წონა 105 კგ). წყალბურთის თამაში ქუთაისში დაიწყო **გიორგი ქუთათელაძის** ხელმძღვანელობით. 1989-1993 წლებში თბილისის „დინამოში“ გამოდიოდა, შემდეგ მრავალ გუნდში გამოცადა საკუთარი შესაძლებლობები. იყო „რარი ნანტესის“ (იტალია, 1993-1997), მოსკოვის „დინამოს“ (1997-2000), „პრო რეკოს“ (იტალია, 2000-2001) ზაგრების (ხორვატეთი) „მლადოსტის“ (2001-2004) წევრი, 2004 წლიდან ჩეხოვის (მოსკოვის მიმდებარე) „შტურმი 2002-ში“ თამაშობს. 1997 წელს რუსეთის ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს. მომდევნო წელს კეთილი ნების თამაშებზე პირველი ადგილი დაიკავა, 2000 წლის სიდნეისა და 2004 წლის ათენის ოლიმპიადებზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა, 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა 2002 წელს მსოფლიო ლიგის თამაშები და მსოფლიოს თასი მოიგო. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მოსკოვის დიპლომატიური აკადემია.

— საქართველო 1993 წელს დავტოვე, — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში რევაზ ჩომახიძემ. — მაშინ ჩემს სამშობლოს ეკონომიკურად და პოლიტიკურად რთული პერიოდი ედგა, წყალბურთისთვის არავის ეცალა. 19 წლის ვიყავი და თამაში მინდოდა, ამიტომ იტალიას მივაშურე. ძალიან გამიჭირდა შეგუება... უცხო ქვეყანაში მოვხვდი, უცნობ ხალხში, განსხვავებული ჩვეულებებითა და ცხოვრების წესით. ხშირად მომდიოდა კონფლიქტი მწვრთნელებთან, თანაგუნდელებთან, მაგრამ თანდათან ყველაფერს მივეჩვიე, ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

**— დიდი ხნის განმავლობაში გამოდიოდით რუსეთის ნაკრებში. მრავალ წარმატებასაც მიაღწიეთ, თუმცა ოლიმპიური ოქრო ვერ მოიგეთ...**

— ათენში ძალიან ახლოს ვიყავით მიზანთან. მიკერძოებულმა მსაჯობამ ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. მეოთხედფინალში არბიტრებმა თითქმის უმიზეზოდ სამი გაფრთხილება მომცეს, მერე კი მატჩის ბოლომდე სარბიელი დამატოვებინეს, რასაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მოჰყვა და ჩვენმა გუნდმა ნახევარფინალიც დათმო. საბოლოოდ მესამე ადგილს დავჯერდით. არადა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის შანსი გვქონდა. პატრიოტიზმით, თუნდაც გამოცდილების ხარჯზე, წარმატებას ვერ მიაღწევ.

**— თქვენ რომ ყოფილიყავით?**

— ეს არაფერს შეცვლიდა. ვიმეორებ, რომ რუმინეთის შესარჩევ ტურნირში ის 11 წყალბურთელი თამაშობდა, რომლებმაც სიდნეიში ჩემთან ერთად მოიპოვეს ოლიმპიადის ვერცხლის მედლები. ახალი გუნდის მშენებლობა ჯერ კიდევ 2005 წლიდან უნდა დაწყებულიყო, ათენის თამაშების შემდეგ, როცა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები ჩავაგდეთ. ობიექტური მიზეზების გამო ნაკრებში ჩემი თამაში უაზროდ ჩავთვალე. წარმატების მიღწევა შეუძლებელია, საამისოდ სათანადო პირობები თუ არ შექმენი.


რევაზ ჩომახიძე

მართალია, ჩემპიონობა უკეთესი იქნებოდა, თუმცა ოლიმპიური „ვერცხლი“ და „ბრინჯაოც“ როდია ურიგო.

**— რუსეთის ეროვნულ გუნდში თამაშზე უარი რატომ თქვით?**

— ნაკრებში უამრავმა პრობლემამ იჩინა თავი. თანაც ამდენი ხეტიალით დავიღალე და ტრავმებმაც ხელი შემიშალა.

**— უძლიერესი ცენტრალური თავდამსხმელის გარეშე შარშანწინ რუსეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ოთხთა ტურნირში სამივე მატჩი წააგო, მერე პეკინის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო შეჯიბრებაშიც კრახი განიცადა. ზოგზოგები ამ წარუმატებლობას თქვენ გაბრალებენ...**

— მთავარი უბედურება ნაკრებში არსებული პრობლემებია. თავად განსაჯეთ: ფედერაციამ და ნაკრების მწვრთნელთა შტაბმა ვერ მოახერხეს ან არ ისურვეს გუნდისთვის თუნდაც ერთი საკონტროლო შეხვედრა მოეწყოთ შესარჩევ ტურნირზე გამგზავრებამდე. ნაკრებში თავი მოუყარეს ვეტერანებს, რომელთაგან ზოგიერთებს, სადაც არის, 40 წელი შეუსრულდებათ. შიშველი

**— „შტურმში“ როგორ მოხვდით?**

— სპორტში ბევრ წარმატებას მივაღწიე როგორც ნაკრებში, ისე საკლუბო დონეზე. მაგალითად, ჯერ კიდევ მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში რუსეთის ჩემპიონიც გავხდი და ევროპის თასების მფლობელთა თასიც მოვიგე. 2002-2003 წლებში ევროპაში საუკეთესოდ მაღიარეს. ბუდაპეშტში კონტინენტის რჩეულ წყალბურთელთა დაჯილდოების ცერემონიალზე საუკეთესო მოთამაშის პრიზი მომცეს, აი, ფეხბურთში რომ არის „ოქროს ბურთი“, იმის მსგავსი. სამწუხაროდ, ყველამ როდი იცის ეს. ვფიქრობ, რომ ერთი კაცისთვის საკმარისი საქმე გავაკეთე წყალბურთში, ამიტომ გადავწყვიტე დიდი სპორტიდან წასვლა. ჩეხოვის გუნდის მესვეურებმა მთხოვეს, კარიერა ცოტათი გამეხანგრძლივებინა. თანაც „შტურმში“. კარგი გუნდი შეიკრიბა, პირობებიც შესანიშნავი აქვთ და რატომ უნდა მეთქვა უარი. არც ვნანობ. „შტურმთან“ ერთად რუსეთის ჩემპიონატის ოქროს მედლები ოთხჯერ მოვიპოვე (2005, 2006, 2008, 2009) თანაც 2008-ში ლენ-ის თასის ფინალი უნგრეთის „ეგერს“ მოვუგეთ (12:7, 8:8).

**— თქვენ ცენტრალური თავდამსხმელი ხართ და ყოველთვის მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებით მეტოქეთა მჭიდრო მეურვეობის ქვეშ. პრესინგით თამაშისას მოწინააღმდეგე ხშირად აკრძალულ ილეთებს მიმართავს. განსაკუთრებით წყალქვეშ, რაც არცთუ იშვიათად, მსაჯებისთვის შეუმჩნეველი რჩება. უხეშობაზე თქვენც უხეშობით პასუხობთ?**

— ყველაფერი კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული. სერიოზული თამაშებისას მთავარია, წონასწორობა შეინარჩუნო და პროვოკაციაზე არ წამოეგო. ახალგაზრდობისას, ასე ვთქვათ, თავს კონტროლს ვერ ვუწევდი, ახლა კი საკუთარი თავის მართვა ვისწავლე.

**— ბატონო რეზო, მთავარი სათქმელი ბოლოსთვის შემოვიტოვე. დღეს საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ფედერაციამ საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლება დაგრთოთ......**

— დიახ, ვიცი, გახარებული და ბედნიერი ვარ, ეს დიდი პატივია ჩემთვის, რადგან საქართველოს ნაკრებში თამაშით, ფაქტობრივად, სამშობლოს ვუბრუნდები. 19 წლისამ დავტოვე იქაურობა, რადგან მაშინ ჩვენთან წყალბურთის თამაშის არანაირი პერსპექტივა არ იყო. ახლა გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს ნაკრებმა დიდ სარბიელზე ფრთები გაშალოს. ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია, ამ საქმეში ჩემი წვლილი შევიტანო. დიდი მადლობა გია ნაცვლიშვილსა და სანდრო ბითაძეს, ამის საშუალება რომ მომცეს.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრებს ლუგანოში რა შანსები აქვს?**

— მართალია, ჩვენს გუნდში არ მითამაშია, მაგრამ ნაკრების წევრთა ერთ ნაწილს ვიცნობ — რუსეთის ჩემპიონატში შევხვედრივართ ერთმანეთს. ფაქტობრივად, ახალგაზრდული ნაკრები გვყავს, პერსპექტიული. მომავლის გუნდია, თუმცა შვეიცარიაში წარმატებაზეც არ ვიტყვით უარს. ჩვენი მთავარი მიზანია, ევროპის B ჩემპიონატის პირველ ექვსეულში მოვხვდეთ, რათა გაისად ელიტაში გადასვლაზე ვიზრუნოთ. როგორც ვიცი, ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ მიზნის მისაღწევად არაფერს დავიშურებთ......

— რევაზ ჩომახიძის დამატებით საქართველოს ნაკრები აშკარად გაძლიერდება და ქვეჯგუფის საუკეთესო სამეულში მოხვედრის მეტი შანსი გაგვიჩნდა, — დასძინა ალექსანდრე ბითაძემ, როცა გუშინ ლენ-ის გადაწყვეტილება მაცნობა.

ღმერთმა ქნას, თბილისში კვლავაც ვიხილოთ დიდი წყალბურთი.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი


მაკა ჩახნაშვილი

# სლოვენიაში, გიგულისთვის

სლოვენიის ქალაქ მარიბორში ქალთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს 25-ათასიანი საპრიზო ფონდით. მას შემდეგ, რაც საკვალიფიკაციო ბადე 17 წლის **ეკა გორგოძემ** (487) ვერ დაძლია, ერთეულთა თანრიგში მხოლოდ ერთი ჩვენებური დარჩა - **მაკა ჩახნაშვილი** (237). მაკა ტურნირის მე-5 ჩოგანია. მისი პირველი მეტოქე კი 18 წლის უნგრელი **რეკა-ლუკა იანია** (346). მაკამ წლეულს უნგრელს ბუდაპეშტში აჯობა სამ სეტში. წყვილთა თანრიგში ჩახნაშვილი არ თამაშობს, სამაგიეროდ, ბედს ეკა გორგოძე ცდის, რომელიც რუმინელ **ლიანა-გაბრიელ უნგურთან** დუეტში თამაშობს. ისინი პირველ ნომრად განთესილებს, გერმანელ **იასმინ ფოირს** (96 წყვილებში) და უნგრელ **კატალინ მაროშის** (184) ეთამაშებიან.

ჰოლანდიის ქალაქ ალმერეს მცირე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) **სოფიო ქვაცაბაია** (497) მონაწილეობს. ქართველი მე-7 ნომრად არის განთესილი და რუმინელ **კრისტინა-ანდრეა მიტუს** (619) ეთამაშება. წყვილებში ქვაცაბაია არ თამაშობს. შეგახსენებთ, რომ იტალიურ ბასანო დალ გრაპაში (10 ათასი $) თამაშობენ **სოფიო შაფათავა** (358) და **მანანა შაფაქიძე** (577).

ნიკოლოზ ნეფარიძე

კრივი

მსოფლიოს ჩემპიონატი

# ღვამიჩავამ გამარჯვებით დაიწყო

გუშინ მილანში, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ დღეს ქართველთაგან მხოლოდ 64 კილოგრამში მოასპარეზე **ლევან ღვამიჩავა** გავიდა რინგზე. მან მავრიტანიელი **ლუის კოლინის** წინააღმდეგ იჩხუბა და 21:9 მოიგო.

48 კილოგრამში მოასპარეზე **ერანოზ ჩეჩელიანი** ბრძოლაში პირველივე წრიდან ჩაერთვება და ხვალ თურქ **ფერჰათ ფეჰლივანს** დაუპირისპირდება; წილისყრამ პირდაპირ მეორე ეტაპზე გაიყვანა **მერაბ თურქაძე** (51 კგ), რომელიც ზეგ უნგრელ **ნორბერტ კალუჟას** შეხვდება; ასევე მეორე წრიდან დაიწყებს ასპარეზობას **გიორგი კილანავა** (54 კგ), 5 სექტემბერს მისი მეტოქე უნგრელი **კრისტიან ლაკატოში** იქნება; მეორე წრეშია **იროდიონ ონაშვილიც** (57 კგ), რომელიც 6 სექტემბერს სერბ **ბრანიმირ სტანკოვიჩს** დაუპირისპირდება; **კობა ფხაკაძე** (60 კგ) დღეს ატარებს პირველი წრის ორთაბრძოლას ლიტველ **აურიმას ნაუძიდისთან**; **კახაბერ ჟვანია** (69 კგ) პირველი წრის შეხვედრას ხვალ გამართავს იაპონელ **იუშიუკი ჰირანოსთან**; **ლევან გულედანიც** (75 კგ) დღეს იწყებს კანადელ **სტივ როლსთან** ბრძოლით; წილისყრამ მეორე წრეში გაიყვანა **რევაზ ქარელიშვილი**, იგი 6 სექტემბერს ფინელ **ეომელი კატაისტოს** შეხვდება; 91 კილოგრამში მოასპარეზე **დავით ნიკლაური** კი პირველი წრის ბრძოლას ხვალ ჩაატარებს არგენტინელ **მაქსიმილიანო სოსასთან**.

ლევან ჯანეზაშვილი

ჭადრაკი

# მეორე ტური მეტი დანაკარგებით

იტალიის ქალაქ ფერმოში გრძელდება 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელშიც 46 ქვეყნის 862 წარმომადგენელი მონაწილეობს. ქართველმა გოგონებმა და ვაჟებმა კარგი სტარტი აიღეს — პირველ ტურში 18 პარტიიდან 15 მოიგეს, ერთი ყაიმით დაამთავრეს და მხოლოდ ორი მოჭადრაკე დანებდა მეტოქეს. საგულისხმოა ისიც, რომ 16 წლის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა **ნაზი პაიკიძემ** 18-წლიანებში გადაწყვიტა საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა.

შარშანდელი მსგავსი შეჯიბრებიდან ჩვენებურები ორი ოქროს მედლით დაბრუნდნენ (პაიკიძე და **მერი არაბიძე**). საქართველოს წარგზავნილები ეცდებიან, წლეულს უფრო უხვი ნადავლით გაგვახარონ.

აქვე გაცნობებთ გუშინდელი მეორე ტურის შედეგებს, რომელშიც დანაკარგებმა, სამწუხაროდ, იმატა:

10-წლიანები: **ნინო დახუნდარიძე**-დინარა დორჟიევა (რუსეთი) 0:1, **ალექსანდრე ურდულაშვილი**-ჯაკომო ნესპეკა (იტალია) 1:0.

12-წლიანები: ანა სტიაშკინა (რუსეთი)-**ადა ქაჯუთია** 1:0, ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი)-**ნინო ხომერიკი** 0,5:0,5, **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი**-სიარ იარანი (თურქეთი) 0,5:0,5, **გიორგი სიბაშვილი**-ფრანჩესკო მარტელა (იტალია) 1:0.

14-წლიანები: **ლიკა კობეშავიძე**-ნასტასია ზიაზიულკინა (ბელარუსი) 0:1, მონიკა გრაზოვა (სლოვაკეთი)-**ნატო იმნაძე** 0:1, **ირაკლი ბერაძე**-რიკარდო მარსილი (იტალია) 1:0.

16-წლიანები: მარიელა პერერა (ესპანეთი)-**მერი არაბიძე** 1:0, ანიკა ფროივისი (ავსტრია)-**მარიამ დანელია** 0:1, მარსელ კანარეკი (პოლონეთი)-**ნოდარ ლორთქიფანიძე** 1:0, ალვარო რიობო (ესპანეთი)-**ზურაბ ჯავახაძე** 0,5:0,5, **გიორგი ცირეკიძე**-საჩო ანდრეევი (ბულგარეთი) 0,5:0,5.

18-წლიანები: იოვანა ერიკი (სერბეთი)-**ნაზი პაიკიძე** 0,5:0,5, ინა აგრესთი (შვედეთი)-**ქეთი წაწალაშვილი** 0:1, ალბერტო მარტინი (ესპანეთი)-**ლუკა პაიჭაძე** 0:1, **დავით ბენიძე**-ალესიო გალუკი (იტალია) 0,5:0,5.

ვაჟა დანელია


მაია ჩიბურდანიძე

# ვიეტნამით ვიწყებთ

დღეს ჩინურ ნინბოში მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ტურის პარტიები გათამაშდება. შეჯიბრებაში 9 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. ასპარეზობის სტარტზე საქართველოს ნაკრები (**მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი, სოფიო ხუხაშვილი**, კაპიტანი **ნინო გურიელი**, მწვრთნელები - **ზურაბ სტურუა** და **დავით არუთინიანი**) ვიეტნამის გუნდს დაუპირისპირდება.

მოგებისთვის ნაკრებს 2 ქულა ეწერება, ფრედ დამთავრებული შეხვედრისთვის - 1, ხოლო მარცხისთვის 0 ქულა.

# ნახევარი ქულა დააკლდა

იტალიის ქალაქ პორტო-სან-ჯორჯოში დამთავრდა 21-ე საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც შვეიცარიული სისტემით ერთმანეთს პირველობას 142 მონაწილე ეცილებოდა, მათ შორის 18 დიდოსტატი იყო.

9 შესაძლებლიდან 7-7 ქულით პირველი-მეოთხე ადგილები რუსმა **ვლადიმირ ეპიშინმა**, ხორვატმა **ოგნიენ იოვანიჩმა**, ინგლისელმა **ლოურენს ტრენტმა** და უკრაინელმა **ალექსანდერ კოვჩანმა** გაინაწილეს.

ქართველმა დიდოსტატმა **თორნიკე სანიკიძემ** ტურნირზე 6,5 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა. მან ზედიზედ მოიგო 4 პარტია, დანარჩენ ხუთ ტურში კი მეტოქეებს დაუზავდა.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ცხელი ზაფხულის მოლოდინში

წლევანდელი ზაფხული საკმაოდ რთული გამოდგა თავისუფალი აგენტებისთვის. ბენ გორდონმა, ჰედო თურქოგლუმ და ანდერსონ ვარეჟაომ 50-მილიონიანი (და მეტი) კონტრაქტების გაფორმება მოახერხეს, მაგრამ მთლიანობაში, კლუბების მენეჯერები თანხებს დიდი სიფრთხილით ეპყრობოდნენ, რისი მიზეზიც გლობალური ეკონომიკური კრიზისი გახლავთ.

სამაგიეროდ, 2010 წელს ყველა „ცხელ“ ზაფხულს ელოდება. მართალია სახელფასო ბიუჯეტის მაქსიმალურ ზღვარს 5-10 პროცენტით ამცირებენ, მაგრამ NBA-ის სუპერვარსკვლავები, რომლებიც თავისუფალი აგენტები გახდებიან, ძალიან დაძაბავენ სიტუაციას სატრანსფერო ბაზარზე. მოდი, ერთი წლით წინ გავიხედოთ და ვივარაუდოთ, ვინ აღმოჩნდება 2010 წლის ზაფხულში საყოველთაო ყურადღების ცენტრში.

გთავაზობთ ათი კალათბურთელის სიას, რომლებსაც გაისად უფლება ექნებათ გააგრძელონ კონტრაქტი თავიანთ კლუბთან ან გაწყვიტონ ხელშეკრულება. ასე რომ, ნებისმიერ მათგანს შეუძლია 2010 წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდეს.

## ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)

ფორვარდი, 24 წლის

2008/09 - 28,4 ქულა, 7,6 მოხსნა, 7,2 პასი, 1,7 ჩაჭრა, 1,2 დაფარება

კარიერა - 27,5 ქულა, 7,0 მოხსნა, 6,7 პასი, 1,8 ჩაჭრა, 0,9 დაფარება

მომავალ ზაფხულს NBA-ში ყველაზე ხმაურიანი იქნება „კლივლენდიდან“ **ლებრონ ჯეიმსის** სავარაუდო წასვლის შესახებ ატეხილი აჟიოტაჟი. მით უმეტეს, რომ ამ თემასთან დაკავშირებით მსჯელობას უკვე რამდენიმე წელია ვისმენთ. ზოგიერმა გუნდმა განვითარების მრავალწლიანი სტრატეგიაც კი შეიმუშავა იმისთვის, რომ ლებრონის ან ამ სიაში მოყვანილი სხვა რომელიმე კალათბურთელის ხელში ჩაგდების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდეს.

თუმცა სპეციალისტებს ეჭვი აქვთ - მოინდომებს თუ არა თავად „მეფე“ „კლივლენდის“ დატოვებას. ჯეიმსის გადაბირების მთავარ პრეტენდენტად „ნიუ იორკი“ და „ნიუ ჯერსი“ ითვლებიან, ორივე კლუბს საკმარისი თანხა აქვს ბიუჯეტში NBA-ის მთავარი ვარსკვლავის შესაძენად. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ „ნიქსსა“ და „ნეტსს“ ფულის გარდა სხვა არაფრით შეუძლიათ ლებრონის მოხიბვლა. მათ სუსტი შემადგენლობები ჰყავთ და უახლოეს წლებში ჯეიმსის დახმარებითაც ვერ შეძლებენ ჩემპიონობაზე პრეტენზიის გამოცხადებას. კიდევ რამდენიმე გუნდს, მათ შორის „ჩიკაგოსა“ და „მაიამის“ შეეძლებათ სუპერვარსკვლავის შეძენა, მაგრამ აქაც ყველაფერი ლებრონის სურვილზე იქნება დამოკიდებული.

სავარაუდოდ, ჯეიმსი მაინც „კლივლენდში“ დარჩება. მაგრამ 2010 წელს მასზე გამოცხადებული ნადირობა ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს.

## დუეინ უეიდი (მაიამი)

მცველი, 27 წლის

2008/09 - 30,2 ქულა, 5,0 მოხსნა, 7,5 პასი, 2,2 ჩაჭრა, 1,3 დაფარება

კარიერა - 25,2 ქულა, 4,9 მოხსნა, 6,7 პასი, 1,8 ჩაჭრა, 1,0 დაფარება

მომავალ თავისუფალ აგენტ **დუეინ უეიდზე** გაცილებით ნაკლებს ლაპარაკობენ, ვიდრე ლებრონზე. რატომ? ჯერერთი, NBA-ის მიმომხილველთა უმეტესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ უეიდი „ჰიტთან“ კონტრაქტს გააგრძელებს. გარდა ამისა, იანვარში ის 28 წლის ხდება. უეიდი უკვე აღარ არის იმდენად ახალგაზრდა იმისთვის, რომ მის გარშემო ახალი კლუბის განვითარება დაიგეგმოს.

მიუხედავად ამისა, მომავალ ზაფხულს უეიდის შეძენით ბევრი კლუბი იქნება დაინტერესებული - „ნიუ იორკი“, „ნიუ ჯერსი“, „ჩიკაგო“ და „ჰიუსტონი“ აუცილებლად მიაქცევენ მას ყურადღებას. „მაიამის“ ხელმძღვანელობა კი თავის მხრივ, სწორედ გასულ სეზონის საუკეთესო სნაიპერს გამოიყენებს იმისთვის, რომ რომელიმე ვარსკვლავური თავისუფალი აგენტი ჩაიგდოს ხელთ და თავად უეიდიც შეინარჩუნოს.

## კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)

მცველი, 31 წლის

2008/09 - 26,8 ქულა, 5,2 მოხსნა, 4,9 პასი, 1,5 ჩაჭრა, 0,5 დაფარება

კარიერა - 25,1 ქულა, 5,3 მოხსნა, 4,6 პასი, 1,5 ჩაჭრა, 0,6 დაფარება

დღემდე გაურკვეველია, დარჩება თუ არა **კობი ბრაიანტი** ამ სიაში. მას შეეძლო წელს გამხდარიყო თავისუფალი აგენტი და იგივე უფლება ექნება 2011 და 2012 წლებში, მაგრამ პრაქტიკულად არანაირი შანსი არ არსებობს იმისა, რომ კობი უარს იტყვის „ლეიკერსში“ თამაშზე. დღეს ის მოლაპარაკებებს აწარმოებს კლუბთან კონტრაქტის სამი წლით გახანგრძლივების თაობაზე და სავარაუდოდ, ამ ხელშეკრულებას უკვე შემოდგომაზე მოაწერება ხელი.

მეორე მხრივ, თუ სიტუაცია კარდინალურად შეიცვლება და ბრაიანტი თავისუფალი აგენტი გახდება, მისი პიროვნებისადმი ინტერესს უკვე ჩამოთვლილი კლუბები გამოთქვამენ. განსაკუთრებით ეს „ნიუ იორკს“ ეხება. კობისა და „ნიქსის“ დამრიგებელ **მაიკ დ'ენტონის** შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ.

## კრის ბოში (ტორონტო)

ფორვარდი, 25 წლის

2008/09 - 22,7 ქულა, 10,0 მოხსნა, 2,5 პასი, 0,9 ჩაჭრა, 1,0 დაფარება

კარიერა - 19,6 ქულა, 9,2 მოხსნა, 2,2 პასი, 0,8 ჩაჭრა, 1,2 დაფარება

გასული წლიდან მოყოლებული ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ **კრის ბოში** აუცილებლად დატოვებს კანადური კლუბის რიგებს და თავისუფალი აგენტი გახდება. „რეპტორზს“ გარკვეული პრობლემები გააჩნდა და შედეგს ვერ აღწევდა, ბოში კი არ მალავდა ამერიკაში დაბრუნების სურვილს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ხელაღებით იმის მტკიცება, რომ კრისის წასვლა გადაწყვეტილია, მაგრამ „ტორონტოს“ ხელმძღვანელობა ამ საკითხით სერიოზულად არის შეშფოთებული. მომდევნო სეზონში გუნდმა აუცილებლად უნდა გააუმჯობესოს თამაში, რათა ბოშის შენარჩუნების შანსი მიიღოს.

დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ნებისმიერი გუნდი, რომელმაც თავისუფალი აგენტების შესაძენი მნიშვნელოვანი ბიუჯეტი გააჩნია, ბოშის ყიდვას შეეცდება. მაგალითად, „ჰიუსტონი“ მოინდომებს კრისის მშობლიურ ტეხასში დაბრუნებას. მაგრამ ყველაზე მაცდური ვარიანტია „მაიამი“ - წყვილი ბოში-უეიდი შეუდარებელი იქნება. ნუ დავივიწყებთ „ჩიკაგოსაც“. „ბულზს“ ბოშის შეძენა და ახალგაზრდა და ნიჭიერ მცველ **დერიკ როუზთან** შეწყვილება უნდა - ერთად მათ დიდი მომავალი ექნებათ.

## ამარე სტაუდმაიერი (ფინიქსი)

ფორვარდი, 26 წლის

2008/09 - 21,4 ქულა, 8,1 მოხსნა, 2,0 პასი, 0,9 ჩაჭრა, 1,1 დაფარება

კარიერა - 21,1 ქულა, 8,9 მოხსნა, 1,4 პასი, 0,9 ჩაჭრა, 1,5 დაფარება

როცა ამარეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ აწუხებს, ის ლიგის საუკეთესო მძიმე ფორვარდია. სტაუდმაიერი მხოლოდ 26 წლისაა, ძალიან ათლეტურია და ბრწყინვალედ თამაშობს შეტევაში. მაგრამ მტკივანმა მუხლებმა, ტრავმირებულმა თვალმა და ხშირად საქმისადმი არაპროფესიულმა მიდგომამ მისი პოზიციები შესამჩნევად შეარყია. ამიტომაც მის გადასაბირებლად ბრძოლა ისეთი დაძაბული არ იქნება, როგორიც წინა ოთხი კალათბურთელის შემთხვევაში. როგორც ჩანს, „სანზი“ მასთან კონტრაქტის გაგრძელებას მოისურვებს, მაგრამ დიდია ალბათობა იმისა, რომ თავად კალათბურთელმა მოინდომოს წასვლა - ეს იმ შემთხვევაში, თუ „ფინიქსი“ შედეგებს ვერ გააუმჯობესებს. ასევე შესაძლებელია ვარიანტი, რომლის მიხედვითაც კლუბი ამარეს გაცვლას შეეცდება.

იმ შემთხვევაში, თუ სტაუდმაიერი თავისუფალი აგენტი გახდება, მოვლენათა განვითარების ყველაზე რეალური ვარიანტი „ნიუ იორკში“ (სადაც ის თავის ყოფილ მწვრთნელ დ'ენტონის შეუერთდება) ან „ტორონტოში“ (აქ „ფინიქსის“ ყოფილი გენერალური მენეჯერი **ბრაიან კოლანჯელო** მუშაობს) გადასვლა იქნება.

## დირკ ნოვიცკი (დალასი)

ფორვარდი, 31 წლის

2008/09 - 25,9 ქულა, 8,4 მოხსნა, 2,4 პასი, 0,9 ჩაჭრა

კარიერა - 22,7 ქულა, 8,6 მოხსნა, 2,7 პასი, 0,9 ჩაჭრა, 1,0 დაფარება

დირკს ივნისში შეუსრულდა 31 წელი, მაგრამ ის კვლავაც უმაღლეს დონეზე თამაშობს. საკითხავი ის არის, რამდენად დიდხანს შეძლებს გერმანელი იმ ბრწყინვალე ფორმის შენარჩუნებას, რომელშიც ახლა იმყოფება. „დალასში“ იმედი აქვთ, რომ ნოვიცკი კიდევ რამდენიმე სეზონი „გაქაჩავს“, ამიტომაც ყველაზე შესაძლებელი ვარიანტი ისაა, რომ გერმანელი სწორედ „მავერიქსთან“ გააგრძელებს კონტრაქტს. კლუბის მფლობელმა **მარკ ქიუბანმა** მრავალწლიანი კონტრაქტები გაუფორმა **ჯეისონ კიდსა** და **შონ მერიონს** და ამის გათვალისწინებით ნოვიცკიც კლუბში დარჩება.

## იაო მინი (ჰიუსტონი)

ცენტრი, 28 წლის

2008/09 - 19,7 ქულა, 9,9 მოხსნა, 1,8 პასი, 0,4 ჩაჭრა, 2,0 დაფარება

კარიერა - 19,1 ქულა, 9,3 მოხსნა, 1,6 პასი, 0,4 ჩაჭრა, 1,9 დაფარება

ჩინელი გიგანტი აუცილებლად იქნებოდა ამ სიის საუკეთესო ხუთეულში, მაგრამ უმძიმესი ტრავმის გამო მის კარიერას საფრთხე ემუქრება. ჩინელი სავარაუდოდ სრულად გამოტოვებს მომდევნო სეზონს. „როკეტსის“ ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ **იაო მინი**, ისევე როგორც, თავის დროზე **ჟიდრუნას ილგაუსკასი** (ლიტველს ტერფის ასეთივე მოტეხილობა ჰქონდა), გამოჯანმრთელების შემდეგ რამდენიმე პროდუქტიული სეზონის ჩატარებას შეძლებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ იაო მინი მომავალ ჩემპიონატში არც ერთ მატჩს არ ჩაატარებს, 2010 წლის ზაფხულში არავითარ შემთხვევაში არ გაწყვეტს თავის კონტრაქტს. თუ მაინც გარისკავს, თავისუფალი აგენტი გახდება და დაამტკიცებს, რომ მთლიანად გამოჯანმრთელდა, მრავალი კლუბის მხრიდან ინტერესი გარანტირებული იქნება.

## პოლ პირსი (ბოსტონი)

ფორვარდი, 31 წლის

2008/09 - 20,5 ქულა, 5,6 მოხსნა, 3,6 პასი, 1,0 ჩაჭრა, 0,3 დაფარება

კარიერა - 22,9 ქულა, 6,3 მოხსნა, 3,9 პასი, 1,6 ჩაჭრა, 0,7 დაფარება

**პოლ პირსი** კატეგორიულად აცხადებდა, რომ მთელი ცხოვრება „სელტიქსის“ რიგებში დარჩენა სურს და როგორც ჩანს, ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდის. ნოემბერში მას 32 წელი უსრულდება. პირსი ჯერჯერობით თავისი ფორმის პიკზე იმყოფება და კიდევ ორი-სამი სეზონი გაძლებს მწვერვალზე. თითქმის ასი პროცენტით შეიძლება იმის თქმა, რომ „სელტიქსი“ გააგრძელებს კონტრაქტს თავის მუდმივ ლიდერთან, რომელმაც კლუბთან ერთად ბევრი რამ გამოიარა.

## ტაისონ ჩენდლერი (შარლოტი)

ცენტრი, 26 წლის

2008/09 - 8,8 ქულა, 8,7 მოხსნა, 0,5 პასი, 0,3 ჩაჭრა, 1,2 დაფარება

კარიერა - 8,2 ქულა, 9,0 მოხსნა, 0,9 პასი, 0,5 ჩაჭრა, 1,4 დაფარება

მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტების ბაზარზე მაღალი დონის ცენტრების დეფიციტი იქნება. თუ **ტაისონ ჩენდლერი** კარგად ჩაატარებს 2009-10 წლების სეზონს და ტრავმებს აიცილებს თავიდან, გარისკვა და კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტა შეეძლება. ზოგიერთი გუნდი აუცილებლად მოინდომებს ფულის დახარჯვას და ცენტრისთვის სოლიდური კონტრაქტის შეთავაზებას, რითაც მრავალწლიან პერსპექტივაში ჩენდლერთან ერთად საინტერესო კოლექტივის შექმნა შეეძლება.

## რიჩარდ ჯეფერსონი (სან ანტონიო)

ფორვარდი, 29 წლის

2008/09 - 19,6 ქულა, 4,6 მოხსნა, 2,4 პასი, 0,8 ჩაჭრა, 0,2 დაფარება

კარიერა - 17,7 ქულა, 5,3 მოხსნა, 3,0 პასი, 0,9 ჩაჭრა, 0,4 დაფარება

„სპურსის“ ხელმძღვანელობამ **რიჩარდ ჯეფერსონი** „მილუოკიდან“ ისეთი გუნდის შესაქმნელად შეიძინა, რომელიც უახლოესი სამი-ოთხი სეზონის განმავლობაში NBA-ის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს. ალბათ, კალათბურთელი არ მოინდომებს თავისუფალ აგენტად ქცევას, რადგან კარგად იცის, რომ არავინ შესთავაზებს იმ თანხას (15 მილიონი), რომელიც 2010-11 წლების სეზონში მას „სან ანტონიომ“ უნდა გადაუხადოს.

გია **თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

კალათბურთი

## იაოს კარიერა გადარჩა

"ჰიუსტონ როკეტსის" გენერალური მენეჯერი **დერილ მორი** აცხადებს, რომ მისი გუნდის ლიდერის იაო მინის კარიერას საფრთხე არ ემუქრება. მეტიც, შესაძლოა, ჩინელმა ცენტრმა მომავალ სეზონშიც მოასწროს თამაში. შეგახსენებთ, რომ იაო მარცხენა ფეხის მოტეხილობის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის.

*"აღდგენითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. თუ ექიმების დასკვნას დავუჯერებთ, კარიერის დასრულების საფრთხე არ არსებობს. ისინი გვარწმუნებენ, რომ ჩინელი სრულად გამოჯანმრთელდება და მომავალ სეზონში იაოს მოედანზე გამოჩენასაც არ გამორიცხავენ"*, - ამბობს მორი.

ჰოკეი

## ფორსბერგი ვანკუვერს უმიზნებს

ლეგენდარული ფორვარდი **პეტერ ფორსბერგი** შვედეთის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდა. "ტრე კრუნურის" მთავარმა მწვრთნელმა **ბენგტ-აკე გუსტაფსონმა** 69-კაციანი სია გამოაქვეყნა და იქ შეყვანილ ნებისმიერ ჰოკეისტს ექნება 2010 წელს ვანკუვერის ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი.

ახალი წლის წინა დღეებში მხოლოდ ამ სიიდან შეირჩევა (ასეთია წესი) ის 23 მოთამაშე, რომელიც ვანკუვერში ოთხი წლის წინ მოპოვებულ ტიტულს დაიცავს.

გაფართოებულ შემადგენლობაში ბევრი ცნობილი შვედი ჰოკეისტი მოხვდა. მაგალითად **დანიელ ალფრედსონი** ("ოტავა"), ტყუპი ძმები - **დანიელ და ჰენრიკ სედინები** ("ვანკუვერი"). ისინი ფორსბერგის მსგავსად ტურინის ოლიმპიადის ჩემპიონები არიან.

მძლეოსნობა

## ვლასიჩის 2,08 მეტრი

ხორვატმა სიმაღლეზე მხტომელმა **ბლანკა ვლასიჩმა** ზაგრებში გამართულ IAAF-ის გრან-პრიზე მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი აჩვენა. მსოფლიოს ჩემპიონი 2 მეტრსა და 8 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო, რაც ერთი სანტიმეტრით ნაკლებია ბულგარელი **სტეფკა კოსტადინოვას** რეკორდზე, რომელიც 1987 წელს არის დამყარებული.

ამის შემდეგ ვლასიჩმა 2,10 მეტრზე მიიტანა იერიში, მაგრამ სამივე ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

*"მსოფლიოს რეკორდის დამყარების შესაძლებლობა კიდევ მექნება. ამ ეტაპზე ეს შედეგიც მაკმაყოფილებს"*, - განაცხადა ბლანკამ ტურნირის შემდეგ.

## ტაისონ გაის ოპერაცია ელის

საუკეთესო ამერიკელი სპრინტერი **ტაისონ გაი** ამ სეზონის დასრულების შემდეგ ოპერაციას გაიკეთებს. მოკლე და გრძელ სპრინტში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს საზარდულის არეში ტკივილები აწუხებს და ექიმების დასკვნით ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს.

ბერლინში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმ მეორე ადგილი დაიკავა 100 მეტრ დისტანციაზე, 200 მეტრზე კი ტრავმის გამო ვერ იასპარეზა. ორი დღის წინ ტაისონმა ბრიტანეთის გეიტსჰედში გამართულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და 100 მეტრზე მოკრძალებული შედეგი - 10,15 წამი აჩვენა.

კრივი

## კლიჩკო წელს არ იჩხუბებს

WBO-სა და IBF-ის ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონმა **ვლადიმირ კლიჩკომ** დაადასტურა, რომ წელს ვერ მოახერხებს რინგზე გასვლას. შესაბამისად, მომავალი წლისთვის გადაიდება უკრაინელის ბრძოლა ამერიკელი **ედი ჩემბერსის** წინააღმდეგ, რომელიც დეკემბერში უნდა გამართულიყო. მიზეზი მხრის ტრავმა გახლავთ.

*"ედი ჩემბერსთან ბრძოლა, რომელიც 12 დეკემბრისთვის იყო დაგეგმილი, ჩემი ტრავმის გამო მომავალი წლის მარტში გაიმართება"*, - განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა. კლიჩკომ უკვე გაიკეთა ოპერაცია ტრავმირებულ მხარზე.

ფორმულა 1

## კორეაში ავტოდრომი იქნება

სამხრეთ კორეის გრან-პრის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ფორმულა 1-ის ტრასის მშენებლობისთვის საჭირო თანხა იშოვეს და ავტოდრომი 2010 წლის ზაფხულისთვის მზადყოფნაში იქნება.

მომავალი რბოლის ოფიციალური პრომოუტერი - კომპანია Korea Auto Valley Operation (KAVO) იქნება, სულ კი მომავალი გრან-პრის ორგანიზატორები ცხრა სხვადასხვა კომპანიისგან 159,7 მილიონ დოლარს მიიღებენ.

სამხრეთ კორეამ რბოლის ჩატარებაზე კონტრაქტი 2006 წელს გააფორმა და ქვეყნის პირველი გრან-პრის ჩატარება 2010 წლის ზაფხულისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ მომავალი კალენდრის წინასწარ ვარიანტში კორეის ეტაპი შეტანილი არ არის.

ფორმულა 1

# მასა წელს ვერ ირბოლებს



"ფერარის" პრესსამსახურმა იმ სამედიცინო შემოწმების შედეგები გამოაცხადა, რომელიც ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** ამერიკაში გაიარა.

კვირას პილოტი მაიამიში ჩავიდა და ნევროლოგიის ინტენსიური ცენტრის ხელმძღვანელთან, პროფესორ **სტივენ ოლვისთან** კომპლექსური შემოწმება გაიარა. გამოკვლევამ პოზიტიური შედეგი აჩვენა: ამერიკელმა სპეციალისტებმა დაადასტურეს, რომ ბრაზილიელს ყველაფერი წესრიგში აქვს და მასას კარიერის გაგრძელების ყველანაირი შანსი ექნება.

თუმცა ფელიპეს თავის ქალაზე პლასტიკური ოპერაციის გაკეთება მოუწევს: ქირურგებმა ზამბარის დარტყმის კვალი უნდა გააქრონ. ოპერაცია უახლოეს დღეებში ჩატარდება, ამას მოჰყვება მოკლე სარეაბილიტაციო კურსი, რის შემდეგაც მასა ვარჯიშებს შეუდგება. ბრაზილიელი, პირველ რიგში, ფიზიკური ფორმის აღდგენაზე იზრუნებს.

*"შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ*, - განაცხადა პილოტმა "ფერარის" ოფიციალურ ვებგვერდზე. - *მცირე ქირურგიული ოპერაციის შემდეგ, სპორტდარბაზს დავუბრუნდები და ფიზიკურ ფორმას მივხედავ. აგრეთვე კარტის მანქანაზე რამდენიმე ტესტს გავივლი"*.

"ფერარის" მიერ გავრცელებულ პრესრელიზი ასეთი სიტყვებით მთავრდება: *"რა თქმა უნდა, მარანელომ აღფრთოვანებით მიიღო გამოკვლევის შედეგები და გუნდს ასპროცენტიანი დარწმუნებით შეუძლია იმის თქმა, რომ ფელიპე მომავალი ჩემპიონატის სტარტზე გამოვა"*.

ბუნებრივია, ისმის კითხვა - ვინ შეცვლის სეზონის დარჩენილ ხუთ რბოლაში მასას? "ფერარი" უახლოეს დღეებში მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. **ფერნანდო ალონსომ** და "რენომ" გამორიცხეს "სკუდერიაში" გადასვლა, არც "ფორს ინდია" აპირებს **ჯანკარლო ფიზიკელას** გაშვებას, ამიტომაც ბოლო ორი დღეა ყველაზე აქტიურად "BMW-ზაუბერის" პოლონელი პილოტის **რობერტ კუბიცას** კანდიდატურა განიხილება.

კრივი

# ალი საპატიო ირლანდიელია

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ლეგენდარული **მუჰამედ ალი** საპატიო ირლანდიელის წოდებით დააჯილდოეს.

ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე ამერიკაში დაიბადა და ამ ქვეყნის მოქალაქე გახლავთ, მაგრამ მისი ბაბუის მამა **ებ გრეიდი** ირლანდიელი იყო. XIX საუკუნის 60-იან წლებში გრეიდი ირლანდიის ქალაქ ენისიდან ამერიკის შტატ კენტუკიში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც შავკანიან ქალბატონზე იქორწინა.

ებ გრეიდის ვაჟი - **ჯონი** ეყოლა. სწორედ ის იყო მოკრივის ბაბუა. მომავალმა ჩემპიონმა დაბადებისას მიიღო სახელი - **კასიუს კლეი**, მაგრამ 1964 წელს ისლამის მიღების შემდეგ მუჰამედ ალი დაირქვა.

ალი ენისის პირველი მკვიდრია, ვინც საპატიო ირლანდიელის ტიტული მიიღო. თავის პროფესიულ კარიერაში მუჰამედმა ირლანდიაში ერთი ბრძოლა გამართა: 1972 წელს დუბლინში **ელ ლუისი** დაამარცხა.

ველოსპორტი

### ვუელტა. III ეტაპი

**ზუტფენი-ვენლო (ჰოლანდია). 185 კმ**

1. **გრეგ ჰენდერსონი** (ა. ზელ, Columbia-HTC) - 4.41,01; 2. **ბორუტ ბოჟიჩი** (სლოვენ, Vacansoleil) - იგივე დრო; 3. **ოსკარ ფრეირა** (ესპ, Rabobank) - იგივე დრო; 4. **ანდრე გრაიპელი** (გერ, Columbia-HTC) - იგივე დრო; 5. **ვილიამ ბონე** (საფ, Bbox) - იგივე დრო; 6. **ტომ ბოონენი** (ბელ, Quick Step) - იგივე დრო... 47. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, Saxobank) - იგივე დრო; 48. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - იგივე დრო... 83. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - იგივე დრო... 103. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - იგივე დრო; 104. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, "ასტანა") - იგივე დრო... 105. **აიმარ სუბელდია** (ესპ, ასტანა) - იგივე დრო... 119. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, "ასტანა") - იგივე დრო... 124. **ენდი შლეკი** (შვეიც, Saxo Bank) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, Saxobank) - 9.29,33; 2. **გრეგ ჰენდერსონი** (ა. ზელ, Columbia-HTC) - +0,06; 3. **გერალდ ჩოლეკი** (გერ, Milram) - +0,08; 4. **ტომ ბოონენი** (ბელ, Quick Step) - +0,09; 5. **ტაილერ ფარარი** (აშშ, Garmin-Slipstream) - +0,12; 6. **იენს მოურისი** (ჰოლ, Vacansoleil Pro Cycling Team) - +0,14; 11. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +0,18; 12. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო... 14. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - +0,19... 39. **აიმარ სუბელდია** (ესპ, ასტანა) - +0,28... 68. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, "ასტანა") - +0,36... 85. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +0,42... 149. **ენდი შლეკი** (შვეიც, Saxo Bank) - +1,08...

ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ლუტონი-ქროული | 3:0 |

**League Trophy**

| | |
|---|---|
| ქრიუ-სტოკპორტი | 1:4 |
| მილტონი-დაგენჰემი | 3:1 |
| უიკომბი-ნორთჰემპტონი | 2:2 პენ. 0:3 |
| როჩდეილი-ბრედფორდი | 1:2 |
| ბარნეტი-მილუოლი | 2:0 |
| ბორნმუთი-იეოვილი | 2:1 |
| ბარტონი-ჩესტერფილდი | 1:5 |
| ჩელტენემი-ტორკი | 1:3 |
| დარლინგტონი-ლინკოლნი | 1:0 |
| ჯილინგემი-კოლჩესტერი | 1:1 პენ.4:3 |
| ჰერეფორდი-როვერსი | 0:0 პენ.4:2 |
| მორეკამბი-კარლაილი | 2:2 პენ. 2:4 |
| ნორვიჩი-ბრენტფორდი | 1:0 |
| ოლდჰემი-აკრინგტონი | 1:2 |
| როტერჰემი-ჰადერსფილდი | 1:2 |
| უოლსოლი-ბერი | 0:0 პენ.4:5 |

**ესპანეთის თასი**

| | |
|---|---|
| სელტა-რეალ უნიონი | 2:1 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ჰაიდენჰაიმი-ერფურტი | 2:2 |
| ვუპერტალი-აუე | 0:2 |
| უნტერჰახინგი-კილი | 3:1 |
| შტუტგარტი A-ბაიერნი | 2:4 |
| ვეენი-ზანდჰაუზენი | 2:1 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კონგსვინგერი-ალტა | 4:2 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სირიანსკა-ლანდსკრონა | 1:2 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| დერი-გალვეი | 1:3 |
| სლიგო-ბოჰემიანსი | 1:0 |

TV პროგრამა

### 2 სექტემბერი. ოთხშაბათი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:35 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:35 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბირმინგემი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ბოკა ხუნიორსი.
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:10 იტალიის ჩემპიონატი. რომა-იუვენტუსი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 სასტვენი.
21:20 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
23:05 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ესტუდიანტესი (LIVE).
01:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:35 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
02:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:05 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ესტუდიანტესი.
05:55 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 კალათბურთი. სტანკოვიჩის თასი. კაცები. ფინალი. ავსტრალია-თურქეთი. ჩანერთი.
10:35 ახალი ამბები.
10:45 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. იტალია.
13:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/4 ფინალი. დეტროიტი-ანაჰაიმი. V მატჩი.
15:00 სპორტული დღე.
15:45 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი.
16:15 ბრძოლა წესების გარეშე.
18:40 ახალი ამბები.
18:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
02:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე. მიმოხილვა
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე (LIVE).

**EUROSPORT**

07:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე (LIVE).
09:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე.
18:30 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
19:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:10 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე (LIVE).

ცურვა

# 72 წლის ჩემპიონი ქურდს გაუსწორდა



ლეგენდარულმა ავსტრალიელმა მოცურავემ, ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **დონ ფრეიზერმა**, რომელსაც 4 სექტემბერს 72 წელი შეუსრულდება, მძარცველის განეიტრალება შეძლო. უცნობი მამაკაცი მოცურავეს მის სახლთან დაესხა თავს, მაგრამ ფრეიზერმა თავდამსხმელის მოგერიება მოახერხა - თმაში წვდა და საზარდულში მუხლი ჩაარტყა.

როგორც კი ფრეიზერმა მძარცველის შეტევა მოიგერია, მის დასახმარებლად მეგობარი მივიდა, რომელიც ქურდი იატაკზე გააკრა და პოლიციის მისვლამდე ვერტიკალურ მდგომარეობაში ჰყავდა.

ფრეიზერი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოცურავედ ითვლება. მან სამ ოლიმპიადაზე მოიპოვა ოქროს მედალი. 1956 წელს მელბურნში 100 მეტრი თავისუფალი სტილი და 4x100 მეტრი ესტაფეტა მოიგო, შემდეგ კი რომისა (1960) და ტოკიოს (1964) თამაშებზე 100 მეტრ დისტანციაზე გაიმარჯვა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# საფინამ ბეწვის ხიდზე გაიარა



ამერიკის ღია პირველობის პირველმა დღემ სენსაციების გარეშე ჩაიარა. იმ მატჩებიდან, რომელთა მიმოხილვაც ვერ მოვასწარით, ერთადერთი შეხვედრის გამოყოფა შეიძლება. ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** გვარიანად ანერვიულა ნიუიორკული პუბლიკა, როცა დიდი გაჭირვებით დაამარცხა რუსი **ვერა დუშევინა**.

თითქმის სამსაათიან ბრძოლაში მაყურებელმა ორივე ჩოგბურთელის მხრიდან ერთდროულად უამრავი სულელური შეცდომა და ულამაზესი დარტყმები იხილა. პირველ პარტიაში ვენუსი ახლოს იყო გამარჯვებასთან. ტაი-ბრეიკზე უილიამსი 5:3-ს იგებდა, მაგრამ მეტოქეს ზედიზედ ოთხი ქულა და სეტი დაუთმო.

დუშევინა მეორე პარტიაშიც კარგად გამოიყურებოდა და დიდი ხანი თანაბრად ებრძოდა ვენუსს. სეტის ბედი 5:5-ზე გაირკვა, როცა მასპინძელმა ჯერ ბრეიკი აილო, შემდეგ კი თავისი გეიმიც და ანგარიში გაათანაბრა.

მატჩის მსვლელობისას უილიამსმა ორჯერ გამოიძახა კორტზე ექიმი. ამერიკელი მტკივანი მუხლით თამაშობდა და შეხვედრის შემდეგ რუსთან გაჭიანურებული ბრძოლა ტრავმას დააბრალა. თუმცა ვენუსს მესამე პარტიაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ ეტყობოდა. მსოფლიოს მესამე ჩოგანმა კლასის ხარჯზე იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 6:3.

გაცილებით რთული მატჩი გადაიტანა გუშინ WTA-ის რეტინგის პირველმა ნომერმა **დინარა საფინამ**. 23 წლის რუსი მსოფლიოს 167-ე ჩოგბურთელს, 18 წლის ავსტრალიელ **ოლივია როგოვსკას** დაუპირისპირდა. ეს ჩოგბურთელები პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

პირველ სეტში უფრო ახლოს მიზანთან საფინა იყო. რუსი 5:3 დაწინაურდა და ერთ გეიმის აღება სჭირდებოდა პარტიის მოსაგებად. როგოვსკამ შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება და სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა, სადაც 7:5 გაიმარჯვა.

მეორე პარტიაში ავსტრალიელმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია საფინას და 34 წუთში დინარამ სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა. ყველა ეგონა, რომ პირველმა ჩოგანმა საბოლოოდ მოიპოვა კონტროლი ამ ურთიულეს მატჩზე, მაგრამ მესამე სეტის სტარტმა ეს მოსაზრება არ დაადასტურა. საფინამ ზედიზედ სამი გეიმი წააგო და 0:3-ზე კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. უკანასკნელად "დიდი სლემის" ტურნირების პირველ წრეში რეიტინგის ლიდერი 2001 წლის უიმბლდონზე გამოეთიშა ბრძოლას - ეს იყო შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი**, რომელსაც ესპანელმა **ვირხინია რუანო პასკუალმა** მოუგო.

მაგრამ ამჯერად საფინა სირცხვილს გადაურჩა. რუსმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო, რის შემდეგაც როგოვსკა კიდევ ერთხელ გავიდა წინ (4:3), თუმცა დინარამ ისევ ზედიზედ სამი გეიმი აილო და ორსაათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ მეორე წრის საგზური მოიპოვა.

რომ არ გვცოდნოდა ამ მატჩში მსოფლიოს პირველი ჩოგანი თამაშობდა, სტატისტიკის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩებოდა, რომ საქმე გვქონდა ორი უკლასო ჩოგბურთელის დაპირისპირებასთან. საფინამ და როგოვსკამ ჯამში 113 უნებლიე და 24 ორმაგი შეცდომა დაუშვეს და 15-ჯერ აილეს ერთმანეთის მოწოდება. ასეთი თამაშით დინარას გაუჭირდება ამერიკის ლიაზე წარმატების მიღწევა.

რუსული პრესა ჯიუტად ამტკიცებს, რომ საფინა დამსახურებულად იკავებს პირველ ადგილს WTA-ის კლასიფიკაციაში. შარშან, როცა რეიტინგს სათავეში **ელენა იანკოვიჩი** ჩაუდგა, ჩვენი რუსი კოლეგები ღვარძლიანად აღნიშნავდნენ, რომ სერბი არ იმსახურებდა პირველობას, რადგან "დიდი სლემის" ტურნირი არასოდეს მოუგია. ასეთი წარმატებისთვის არც საფინამ მიუღწევია, მაგრამ მას დამსახურებულ პირველ ჩოგანს უწოდებენ. ცნობისთვის, წელს მსოფლიოს მეორე ნომერს **სერენა უილიამსს** ავსტრალიის ღია და უიმბლდონი აქვს მოგებული.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## კაცები

### I წრე

**ენდი როდიკი (აშშ, 5)**-ბიორნ ფაუ (გერ) 6:1, 6:4, 6:2; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7)**-ჩეიზ ბუჩენანი (აშშ) 6:0, 6:2, 6:1; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 10)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 7:5, 6:4, 7:5; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 15)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:4, 6:4, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 16)**-რაიან სვიტინგი (აშშ) 7:6, 6:4, 7:6; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 17)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 7:5, 7:5: 6:4; **ტომი ჰაასი (გერ, 20)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 7:5, 4:6, 7:6(7), 6:2; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 21)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:1, 6:4, 7:5; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 23)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:0, 6:4, 6:4; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 30)**-პეტერ ლუჩაკი (ავსტრა) 6:3, 6:3, 1:3, 2:6, 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 31)**-ტიაგო ალვეში (ბრა) 6:0, 6:3, 6:4; **ლეონარდო მაიერი (არგ)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:4, 4:6, 7:5, 6:3; **მარკ ჟიკელი (საფ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:2, 5:7, 6:3, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-ოსკარ ერნანდესი 6:4, 6:4, 6:2; **ჯესი ვიტენი (აშშ)**-იგორ ანდრეევი (რუს, 29) 6:4, 6:0, 6:2; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ფაბიო ფონინი (იტა) 7:5, 7:6(6), 6:4; **მაქსიმო გონსალესი (არგ)**-კაროლ ბეკი (სლოვაკ) 2:6, 1:6, 6:1, 6:4, 6:3; **ორასიო სებალიოსი (არგ)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:3, 7:6(7), 3:6, 6:0; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 4:6, 6:1, 6:3, 6:3; **დენის ისტომინი (უზბ)**-ბრენდან ევანსი (აშშ) 6:4, 6:4, 7:6.

## ქალები

### I წრე

**დინარა საფინა (რუს, 1)**-ოლივია როგოვსკა (ავსტრა) 6:7(5), 6:2, 6:4; **ვენუს უილიამსი (აშშ, 3)**-ვერა დუშევინა (აშშ) 6:7(5), 7:5, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:2, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 6)**-ჯულია გორჯესი (გერ) 6:3, 6:2; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 9)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 6:4, 6:0; **ნადია პეტროვა (რუს, 13)**-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) 6:3, 6:3; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-ვირჟინ რაზანო (საფ, 16) 6:4, 6:3; **ნა ლი (ჩინ, 18)**-იოანა ოლარუ (რუმ) 7:6(4), 6:3; **პატი შნიდერი (შვეიც, 19)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 4:6, 6:3, 7:6(6); **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 20)**-გეილ ბროდსკი (აშშ) 6:4, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 22)**-მეგან შონესი (აშშ) 6:2, 4:6, 6:1; **საბინ ლისიცკი (გერ, 23)**-არავან რეზაი 7:6, 6:7, 6:1; **მორანა კირსტეა (რუმ, 24)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:1, 6:3; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-ალისა კლეიბანოვა (რუს, 27) 6:7, 6:3, 6:2; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-სიბილ ბამერი (ავსტრია, 28) 6:4, 1:6, 7:6(5); **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 30)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 3:6, 6:3, 6:2; **ელენა ვესნინა (რუს, 31)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 6:4, 7:6(5); **მიშელ ლარშერ დე ბრიტუ (პორ)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 1:6, 7:5, 6:1; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:4, 5:7, 6:3; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:3, 6:4; **ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც)**-ვესნა მანასიევა (რუს) 6:3, 6:4; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 6:3, 6:4; **ანა ჩაკვეტაძე (რუს)**-იურიკა სემა (იაპ) 4:6, 6:1, 6:2; **შაარ პეერი (ისრ)**-აგნეს შავაი (უნგ, 32) 6:2, 6:2; **ტატიანა გარბინი (იტა)**-მელორი სესილი (აშშ) 6:0, 6:1; **სტეფანი დუბუა (კან)**-კრისტინა მლადენოვიჩი (საფ) 6:0, 6:4; **სარა ერანი (იტა)**-არანტა რუსი (ჰოლ) 6:0, 6:3; **ანასტასია სევასტოვა (ლატ)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:3, 7:5; **მელანი ოუდინი (აშშ)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 6:1, 6:2; **შუაი პენგი (ჩინ)**-იარმილა გროტი (ავსტრა) 6:2, 6:3; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-სევერინ ბელტრამი (საფ) 6:4, 6:2; **ანასტასია როდიონოვა (ავსტრა)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:0, 4:6, 6:1; **ხისელა დულკო (არგ)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:3, 5:7, 6:4; **ჟული კუანი (საფ)**-ევა ჰრდინოვა (ჩეხ) 6:3, 6:3; **კრისტინა ბაროისი (გერ)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 6:4, 6:4.



## როჯერმა 50 მილიონს გადააჭარბა

ამერიკის ღია პირველობის პირველ წრეში ამერიკელი **დევინ ბრიტონის** დამარცხების შემდეგ, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** პირველი ჩოგბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც კორტზე 50 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

მეორე წრეში გასვლისთვის ფედერერმა 31 ათასი დოლარი გამოიმუშავა. ამ მატჩამდე როჯერის საპრიზო თანხა 49 977 919 დოლარს შეადგენდა. შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელმა "ფლეშინგ მედოუს" კორტებზე ზედიზედ 35-ე შეხვედრა მოიგო და ამერიკის ლიაზე ზედიზედ მეექვსე ტიტულს უმიზნებს.

აი როგორ გამოიყურება ATP-ის ტურის ათი ყველაზე მდიდარი ჩოგბურთელის სია:

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი | 50 008 919$ |
| 2. პიტ სამპრასი | 43 280 489$ |
| 3. ანდრე აგასი | 31 152 975$ |
| 4. რაფაელ ნადალი | 25 182 970$ |
| 5. ბორის ბეკერი | 25 080 956$ |
| 6. ევგენი კაფელნიკოვი | 23 883 797$ |
| 7. ივან ლენდლი | 21 262 417$ |
| 8. სტეფან ედბერგი | 20 630 941$ |
| 9. გორან ივანიშევიჩი | 19 876 579$ |
| 10. მაიკლ ჩანგი | 19 145 632$ |




# თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge